

ოთარ ქვრივიშვილი

უწილ

ქართული კოსმოსი

გამომცემლობა „ნეკერი“  
2010

ნაშრომი ეხება სამეტყველო ენის წარმოშობის საკითხს. მოკლედაა მიმოხილული ამ თემის კვლევის ისტორია და ძველი რელიგიური გაერთიანებების მისტიკური გამოცდილება ბგერათა სულიერი მნიშვნელობების შესახებ.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ენების საერთო საფუძვლები, უპირველეს ყოვლისა, მისი ლექსიკის ბგერით აგებულებაშია საძიებელი. განხილულია ცალკეული ბგერების ის მნიშვნელობები, რომლებიც მსოფლიოს ყველა ხალხისთვის საერთოა. სახასიათო მაგალითები მოყვანილია სხვადასხვა ენებიდან, კერძოდ, განხილულია 27 ენის ლექსიკური მასალა.

ნაშრომი პოპულარულ ენაზეა დანერგილი.

რედაქტორი: *ივანე შატბერაშვილი*

კორექტორი: *ნანა ქვაჩახია*

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: *გიორგი ბაგრატიონი*

© *ოთარ ქვრივიშვილი*, 2010

გამომცემლობა „*ნეკერი*“, 2010

ISBN 978-9941-416-59-0

## სარჩევი:

თავი 1	
ენის წარმომავლობა .....	5
თავი 2	
ბგერათა ჯგუფები .....	38
თავი 3	
თანხმოვნების არქაული მნიშვნელობები .....	47
D, T (დ, ტ, თ) .....	47
G, K (გ, კ, ქ) .....	69
S, Z (ს, ზ, შ, ჟ) .....	91
N (ნ) .....	104
B, P (ბ, პ, ფ) .....	112
R (რ) .....	121
C (ც) .....	132
L (ლ) .....	134
M (მ) .....	144
V, W (ვ) .....	150
H, CH (ჰ, ხ) .....	154
F - .....	160
თავი 4	
ხმოვნების არქაული მნიშვნელობები .....	165
A (ა) .....	165
I (ი) .....	167
E (ე) .....	168
U (უ) .....	170
O (ო) .....	170
თავი 5	
ცალკეული სიტყვების ბგერათმეცყველება .....	172
თავი 6	
ბგერების ასტროლოგიური თანწყობა .....	197
ბოლოთქმა .....	200
შენიშვნები .....	202



## თავი 1

### ენის წარმომავლობა

სამეტყველო ენის წარმომავლობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე ძველი თემაა. ენების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ შორის არსებული თვალსაჩინო მსგავსება ყველა დროში აღძრავდა სურვილს, რომ რაღაც საერთო, უნივერსალური მოდელი მოეძებნათ და ენების საერთო საფუძველი აღმოეჩინათ. ეს მცდელობები ძირითადად მიზნად ისახავდა, ის პირველადი ენა აღედგინათ, რომელიც, როგორც ფიქრობდნენ, ოდესღაც საფუძვლად დაედო ყველა დანარჩენს. მოგვიანებით, აქტუალური გახდა ახალი იდეაც – ისეთი უნივერსალური ენის შექმნა, რომელზეც ყველა ენა დაიყვანებოდა და მომავლის კაცობრიობა ამ ენაზე იმეტყველებდა.

როგორც ჩანს, ზოგიერთ ხალხს წარმართულ ეპოქაშიც ჰქონდა პრეტენზია იმისა, რომ ქვეყნიერების ყველა სამეტყველო ენა მათი ენიდან წარმოიშვა.

ისტორიის ფუძემდებელი, ჰეროდოტე მოგვითხრობს, რომ ეგვიპტის ფარაონის პსამეტიხის ბრძანებით ორი ახლად შობილი ბავშვი მეცხვარეს ჩააბარეს და უბრძანეს, ისინი ცხვრის ფარასთან ერთად აღეზარდა. არავის ჰქონდა უფლება მათი თანდასწრებით რაიმე სიტყვა წარმოეთქვა. მეფეს უნდოდა გაეგო, ასეთ პირობებში აღზრდილი ბავშვები პირველად რა ენაზე იტყოდნენ სიტყვას. ასე იზრდებოდნენ ბავშვები ორი წლის განმავლობაში. ერთხელ, როცა მეცხვარე ქოხში შევიდა, ორივე ბავშვი ფეხებში ჩაუვარდა და წარმოთქვეს სიტყვა „ბეკოს“, რაც ფრიგიულად პურს ნიშნავს. ამით ეგვიპტელებმა დაასკვნეს, რომ ფრიგიული ენა ეგვიპტურზე ძველი ყოფილა<sup>1</sup>.

ბიბლიის გავრცელების შემდეგ პირველადი ენის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

როგორც შესაქმეში ვკითხულობთ, სამყაროს შექმნისას

„თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი“ (დაბადება, 1, 3). „ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე“ (დაბადება, 1, 5).

ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებში გაჩნდა კითხვები: რა ენაზე თქვა ღმერთმა ფრაზა – „იყოს ნათელი!“, ან რა ენაზე უწოდა ღმერთმა ნათელს „დღე“, ხოლო ბნელს – „ღამე“.

ღმერთის ნათქვამის რაიმე ენასთან მისადაგებას თავიდანვე ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რადგან ღმერთის სიტყვისთვის იმავე ნიშნების მინიჭება, რაც ადამიანის სიტყვას აქვს, ბუნებრივია, არაკორექტულად გამოიყურებოდა.

სამაგიეროდ, პირველადი ენის პრობლემა ძალზე აქტუალური ხდება შესაქმეს იმ ფრაგმენტში, როცა ნათქვამია, რომ ღმერთმა ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი „მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა.

დაარქვა ადამმა სახელი ყველა პირუტყვს, ცის ფრინველს და ველის ყველა ცხოველს“ (დაბადება, 2, 19-20).

აქ უკვე არა უფლის, არამედ ადამის ენაზეა საუბარი. კითხვაც მეტ ლეგიტიმურობას იძენს – რა ენაზე დაარქვა ადამმა სახელები ღვთის ქმნილებებს?

წმინდა წერილში შემდეგ გვეუწყება, რომ წარღვნის შემდეგ „ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი“ (დაბადება, 11, 1). ადამიანებმა ბაბილონის გოდოლის მშენებლობა განიზრახეს. ღმერთმა გადანყვიტა, ენა აერია მათთვის. ბაბილონში პირველადი ენის არევის შემდეგ ადამიანები ვეღარ უგებდნენ ერთმანეთს. ისინი ქვეყნიერებაზე გაიფანტნენ და სხვადასხვა ენებზე დაიწყეს ლაპარაკი.

ბიბლიის მიხედვით, ბაბილონის გოდოლამდე კაცობრიობას საერთო ენა ჰქონია. ადამის ენას ბაბილონის გოდოლის მშენებლობამდე მიუღწევია, შემდეგ იგი დაშლილა და მისგან სხვადასხვა ენები ჩამოყალიბებულა. ბაბილონის გოდოლის ისტორია ბიბლიაში იმდენად მკაფიოდაა მოთხრობილი, რომ კაცობრიობის საერთო ენის არსებობის თემა ეჭვქვეშ არასოდეს

დამდგარა. მიუხედავად ამისა, ბიბლიის იმავე ფრაგმენტში ასევე შენიშნული იყო, რომ ბაბილონის მოვლენას წინ უსწრებდა უწყება, რომ წარღვნის შემდეგ გამრავლებული კაცობრიობა ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში დასახლდა. ისინი სემის, ქამის და იაფეტის შთამომავლობის სხვადასხვა შტოებად განიყვნენ და ყოველ მათგანს საკუთარი ენა ჰქონდა. სამივე განშტოებაზე მითითებულია, რომ არიან მათი „ძენი თავ-თავისი ტომის მიხედვით, თავ-თავისი ენის მიხედვით, თავ-თავის ქვეყანაში, თავ-თავის სახლში“ (დაბადება, 10, 5-20-31).

მართალია, ამ ფრაგმენტში საუბარია ბაბილონის წინარე ეპოქაში სხვადასხვა ენების არსებობის შესახებ, მაგრამ ბაბილონში პრაენის დაშლის ისტორია იმდენად შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი, რომ ყველა ეპოქაში იგი მოაზროვნეთა ამოსავალ დებულებას წარმოადგენდა.

ორ ათასწლეულზე მეტია კაცობრიობას არ შეუწყვეტია იმ საკითხის გარკვევა, თუ რომელი იყო ის ენა, რომელზედაც მთელი კაცობრიობა ლაპარაკობდა და მხოლოდ ბაბილონში დაიშალა. იყო თუ არა ეს ენა იგივე, რომელზეც ადამი მეტყველებდა, რომელზეც ადამმა სახელები დაარქვა ქვეყნიერების ცხოველებსა და ფრინველებს.

ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებში ბუნებრივად დამკვიდრდა მოსაზრება, რომ პირველადი ენა ებრაული იყო. ამ დებულების ჭეშმარიტებაში ეჭვი არ ეპარებოდათ არა მხოლოდ ებრაელ, არამედ ქრისტიან მოაზროვნეებსაც. ამ მოსაზრებას ისიც აძლიერებდა, რომ ებრაელებს ჰქონდათ ერთ-ერთი უძველესი ანბანური სისტემა, რომელშიც ყოველი ასო და ბგერა ღრმა მისტიკური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. არც ერთ ასოს არ ჰქონდა შემთხვევითი გრაფიკული მოხაზულობა, რიცხვითი მნიშვნელობა, ან ანბანში განლაგების ადგილი და მათი კომბინირება ძალზე შთამბეჭდავად გადმოსცემდა სამყაროს უღრმეს საიდუმლოებებს.

საეკლესიო მოღვაწეები, ორიგენედან მოყოლებული – ნეტარი ავგუსტინეს ჩათვლით, არ მიიჩნევდნენ საეჭვოდ, რომ კაცობრიობის პირველადი, ანუ ადამის ენა ებრაული იყო. ნე-

ტარი ავგუსტინე, რომელმაც საერთოდ არ იცოდა ებრაული, სწორედ მას მიიჩნევდა კაცობრიობის პრაენად. ნეტარი ავგუსტინე ფიქრობდა, რომ, მართალია, პრაენა ებრაულია, მაგრამ ბიბლიური ჭეშმარიტებების გადმოცემა ლათინურადაც სრულყოფილად შეიძლება, მომავალში კი სასურველია კაცობრიობის საერთო სიმბოლოების ჩამოყალიბება, რათა ადამიანებს კარგად ესმოდეთ ერთმანეთისო. ნეტარი ავგუსტინე ამ სიმბოლიკაში ებრაულის პრაენად აღდგენას არ გულისხმობდა.<sup>2</sup>

ებრაული ენის პირველადობის იდეას პირველად წმინდა გრიგოლ ნოსელი უპირისპირდება, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს, ვიფიქროთ, რომ შესაქმისას ღმერთი ებრაულად საუბრობდა („ევენომის წინააღმდეგ“).

მაღე ებრაულ ენას სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდა ბერძნული და ლათინური ენების სახით. ბევრი საეკლესიო მოღვაწე ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ მაცხოვრის ჯვარზე წარწერა სამ ენაზე იყო შესრულებული, რაც ნიშნავს, რომ ებრაულ ენას, ბერძნულთან და ლათინურთან შედარებით, უპირატესობა არ უნდა მიენიჭოსო.

მამინ, როცა ბერძნული და რომაული კულტურის წარმომადგენლები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ, პრაენის კუთვნილებაზე სერიოზული არგუმენტები წამოაყენეს ირლანდიელმა სწავლულებმა. VII საუკუნეში მათ სცადეს ცივილიზებული სამყარო დაერწმუნებინათ, რომ ირლანდიური ენა ერთადერთია, რომელიც ბაბილონის გოდოლის მშენებლობის შემდეგ უცვლელი სახით შენარჩუნდა. სწორედ მისგან ჩამოყალიბდა ყველა დანარჩენი ენა. ირლანდიურისგან განიყო 72 ენა და თუ მათში რაიმე მნიშვნელოვანი და ღირებულია, ყველაფერი ირლანდიური ენის კანონზომიერებებიდან მომდინარეობსო.<sup>3</sup>

ეს მოაზროვნეები ირლანდიელი გრამატიკოსების სახელით არიან ცნობილი. მათი აზრით, თავად ბაბილონის გოდოლიც სიმბოლურად სწორედ სამეტყველო ენას ნიშნავს – მისი აღნაგობა ენის გრამატიკულ წყობას შეესაბამება.

თუ შუა საუკუნეებამდე ევროპული ცივილიზაციის ინ-



ტელექტუალურ ენას ლათინური წარმოადგენდა, ამ დროიდან უკვე წინა პლანზე ეროვნული ენები გამოდიან. ხშირად აღნიშნავენ, რომ ევროპის ისტორია სწორედ სახალხო ენების წარმოშობით იწყება. შუა საუკუნეებში, როცა ევროპაში ლათინური ენა დეგრადაციას განიცდის, ყველა ადგილობრივი ენა საკუთარი თავის დამკვიდრებას ცდილობს. ანალოგიური სურათია აღმოსავლეთ საქრისტიანოშიც. აქ ეროვნული კულტურები ბერძნული ენისგან განთავისუფლებას ცდილობენ. ეროვნული კულტურის ღირსებების წარმოჩენა აშკარადაა გამოკვეთილი XI საუკუნის ქართველი მოღვაწის იოანე ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“-ში. ერთ-ერთ ასპექტში აქ სწორედ ქართული ენის განსაკუთრებულ ღირსებებზეა საუბარი.

ეროვნული ენის განდიდების ნიმუშს ვხედავთ XIII საუკუნის სომხეთშიც. ვარდან არეველცი სომხურ ენას წარმოადგენს როგორც „გვირგვინს ყოველთა ენათა ქვეყანასა ზედა“<sup>4</sup>.

შუა საუკუნეებში დიდი ხნის დავინწყებული ებრაული კულტურა ევროპელებს ერთხელ კიდევ შეახსენებს თავს. ევროპაში ახალი ძალით აღორძინდა ებრაული მისტიციზმი. იგი კაბალის სახით გადმოიცა. ეს იყო ძველი ებრაული მისტიციზმის ახლებური ფორმით აღორძინება. სიტყვა „კაბალა“ „ტრადიციას“ ნიშნავს. იგი თორის (ანუ ხუთნიგნეულის) კომენტირებას გულისხმობს.

კაბალამ ევროპელებისთვის უჩვეულო ფორმით წარმოაჩინა ებრაული ბგერებისა და ასოების მნიშვნელობები. კაბალისტების აზრით, თორა ღმერთის შექმნილია და მასში ყოველ ასოს განსაკუთრებული სულიერი მნიშვნელობა აქვს. ადამიანის ცოდვით დაცემის გამო ეს ასოები ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შეერთებული უფლისგან განსაზღვრული წესით. ჰარმონიის აღდგენა მხოლოდ მესიის მოსვლისას მოხდება. ღმერთის შეწვევით თორა კაცობრიობის მიერ ჭეშმარიტი, სრულყოფილი სახით წაიკითხება.

იმავე კაბალის მიხედვით, ძველი ებრაული ენის საფუძველზე 70 ენა წარმოიშვა. დროთა განმავლობაში ეს ენები დიდად დაშორდნენ პირველად ენას, მაგრამ მესიის მოსვლის

შემდეგ მთელი კაცობრიობა კვლავ დედაენას დაუბრუნდება. ადამიანები კვლავ ერთ ენაზე ილაპარაკებენ. ეს კი სწორედ იმიტომაა შესაძლებელი, რომ ებრაული ანბანის ყოველ ასოს სრულიად განსაზღვრული, დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და ადამმა ცხოველებსა და ფრინველებს ებრაულ ენაზე სწორედ მათი შინაარსების შესაბამისი სახელები დაარქვა.<sup>5</sup> კაბალის ზეგავლენით, ებრაული ენის სრულყოფილების იდეა კვლავ აქტუალური გახდა.

როგორც ითქვა, ევროპაში სწორედ ამავე პერიოდში ხდება ეროვნული ენების აღორძინება. ამ პროცესს თან ახლავს ეროვნული ცნობიერების გაძლიერებაც. კაცობრიობის პირველადი ენის „საკუთრებაზე“ კონკურენტების რაოდენობა წარმოუდგენლად გაიზარდა.

ადრეულ პერიოდში ებრაული ენის უმთავრეს ღირსებად ის ითვლებოდა, რომ აქ სიტყვების ბგერითი შედგენილობა ზუსტად შეესაბამება ამ სიტყვით გამოხატული საგნების შინაარსს. უკვე XVI საუკუნეში ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ ეს კანონზომიერება სხვა ენებშიც მკვეთრადაა გამოხატული.

1569 წელს იან ვან გორპმა გამოაქვეყნა ნაშრომი („ანტვერპენის წარმოშობა“), სადაც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სიტყვებსა და შესაბამის საგნებს შორის შინაარსობრივი კავშირი ყველაზე ნათლად ჰოლანდიურ ენაშია გამოხატული. კონკრეტულად იგი ანტვერპენულ დიალექტს გულისხმობდა.<sup>6</sup> მკვლევრის აზრით, ანტვერპენელები იაფეტის შთამომავლები იყვნენ, ისინი არ მონაწილეობდნენ ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში და, ამდენად, კაცობრიობის პირველადი ენის უცვლელად შენარჩუნება შეძლეს. იან ვან გორპის უმთავრესი არგუმენტი ისიც იყო, რომ ანტვერპენულ ენაში, სხვა ენებთან შედარებით, ყველაზე მეტი ერთმარცვლიანი სიტყვაა და, ამავე დროს, მას ახალი სიტყვების შექმნისადმი ძლიერი მიდრეკილება აქვს. ნებისმიერი ახალი შინაარსი ან საგანი ადვილად გამოსახება ახალი სიტყვით.

ჰოლანდიურ ენას მალე გამოუჩნდნენ კონკურენტები. 1612 წელს აბრაჰამ მელიუსმა უკვე ბელგიური ენის პრიმატის იდეა

წამოაყენა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფლამანდიული ენის პრაენად გამოცხადების ტენდენცია. ამ იდეამ XIX საუკუნეშიც კი არ დაკარგა აქტუალობა. ბევრი მკვლევარი ფიქრობდა, რომ პირველადი ენა, ანუ ყველა ენების დედაენა არის ფლამანდიული. ყველა დანარჩენი ენა მისგან წარმოშობილად იყო მიჩნეული.

1671 წელს გიორგ სტარჰელმმა უკვე შვედური ენის უპირატესობაზე დაიწყო საუბარი.

ბევრი მეცნიერი ფიქრობდა, რომ ძველი პრაენიდან მომდინარე ყველაზე ნაკლები ცვლილება გერმანულმა ენამ განიცადა და მას ყველაზე უფრო სრულყოფილ ენად მიიჩნევდა. 1641 წელს შოტელი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ გერმანული ენა ყველაზე ახლო იყო ადამის ენასთან.<sup>7</sup>

ანალოგიური პრეტენზიები ჰქონდათ ევროპის სხვა ხალხებსაც. ადამის ენის კუთვნილებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ უნგრელები (ოსტროვსკი), ბრიტანელები (აბატი ფრანსუა), პოლონელები (პრეტორიუსი).

ევროპელთაგან ახალი მიწებისა და ახალი კულტურების აღმოჩენის შემდეგ პრაენის პრეტენდენტებს კიდევ რამდენიმე ენა მიემატა. XVII საუკუნეში ევროპაში უკვე იცინან, რომ ჩინური კულტურა გაცილებით ძველია, ვიდრე ებრაული. ჩინური ენის შესწავლამაც აჩვენა, რომ მისი ფესვები გაცილებით არქაულია. 1669 წელს ჯონ უები გამოთქვამს იდეას იმის შესახებ, რომ ნოეს კიდობანი არარატის მთასთან კი არა, ჩინეთში შეჩერდა და პირველი მოსახლეობაც იქიდან გავრცელდა. რამდენადაც ჩინელები არ მონაწილეობდნენ ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში, მათი ენა უცვლელი დარჩა. ამ თვალსაზრისით კაცობრიობის უძველესი ენა ჩინური უნდა ყოფილიყო.<sup>8</sup>

ეგვიპტური კულტურის ისტორიიდან გამომდინარე, ძალზე ბევრი მომხრე გამოუჩნდა მის ენასაც. ბევრი მეცნიერი სწორედ ეგვიპტურს მიიჩნევდა კაცობრიობის პირველად ენად.

ლაიბნიცი „კელტურ-სკვითურ“ ჰიპოთეზას ემხრობოდა, სწორედ მათი ენა მიაჩნდა პირველად ენად, ებრაულზე უფრო ძველად.

კელტურ ენას, მეცნიერთა შორის, ბევრი დამცველი ჰყავდა. როულენ ჯონსი ამტკიცებდა, რომ პირველადი ენა იყო კელტური, ხოლო იმ დროისთვის შემორჩენილი ენებიდან მხოლოდ ინგლისური ენა იყო მასთან მიახლოებული.

მთელი XVII-XVIII საუკუნეების მეცნიერული აზრი გაჯერებული იყო სხვადასხვა ეროვნული ენების ადამის ენად წარმოდგენის ჰიპოთეზებით.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ევროპის კონტინენტზე ადამის ენის ძიება წარუმატებლად დამთავრდა.

XVIII საუკუნის ბოლოს სანსკრიტული ენის შესწავლამ მკვეთრად გააუფერულა ევროპელთა პრეტენზიები. ჯერ ერთი, იგი ბევრად უფრო ძველი იყო ამ ენებზე და, ამავე დროს, ყოველი მათგანი მკვეთრ მსგავსებასაც ამჟღავნებდა მასთან. ინდოევროპული ენების ერთ ჯგუფში გაერთიანებამ ევროპელ მეცნიერებს ადამის ენის საკუთარ ნაციონალურ ჩარჩოებში ძებნის სტიმული გაუწელა. ევროპის მეცნიერული აზრი თანდათან თანხმდება, რომ ევროპული ენებიც და სანსკრიტიც ერთიან ენობრივ ოჯახში ერთიანდებიან. სანსკრიტი ისეთ ენად მოგვევლინა, რომელსაც კარგად შეეძლო სხვა ენათა თავისებურებების ახსნა. ენათმეცნიერებაში კვლევის ახალი მეთოდები დაინერგა – დაიწყო მონათესავე ენების ურთიერთმიმართებების გარკვევა – ერთი ენის გაშუქება მეორე ენის მეშვეობით. სანსკრიტის მეშვეობით ისეთი ენები, როგორებიცაა გერმანიკული, ბერძნული, ლათინური და სხვა, ერთ დიდ ენობრივ ოჯახში გაერთიანდა. ყველა ისინი მომდინარეობენ რაღაც უფრო ძველი დედა-ენიდან, რომელიც იმ დროისთვის აღარ არსებობდა, თუმცა, ფიქრობდნენ, რომ არსებული მასალის საფუძველზე, შესაძლებელი იყო მისი ხელახლა აღდგენა.<sup>9</sup>

ამ ახალმა კონცეფციამ მძლავრი იმპულსი მისცა კაცობრიობის ერთიანი უნივერსალური ენის შექმნის იდეას. სამეცნიერო სამყარომ ამ მიმართულებითაც ძალზე დიდი ენერგია დახარჯა, თუმცა დღეისთვის ამ იდეის რეალობას უკვე ბევრი უყურებს სკეპტიკურად. მომავლის ენის სულისკვეთებით შე-

ქმნილი ხელოვნური ენები პრაქტიკულად ვერცერთ სფეროში ვერ დაინერგა.

საუკუნეთა მანძილზე იმდენად დიდი მასალა დაგროვდა, ერთი მხრივ, პრა-ენის დადგენის, ხოლო მეორე მხრივ, ახალი უნივერსალური ენის შესახებ და ეს მცდელობები იმდენად წინააღმდეგობრივი იყო, რომ 1866 წელს პარიზის ლინგვისტიკის საზოგადოებამ მიიღო დადგენილება, რომ განსახილველად აღარ მიეღო ამ თემებზე დაწერილი არც ერთი გამოკვლევა.<sup>10</sup>

დღეისთვის ბევრი მეცნიერი მივიდა იმ აზრამდე, რომ რადგან სხვადასხვა ენების წარმოშობა განპირობებულია სხვადასხვა ხალხების სულიერ-ფსიქიკური თავისებურებებით, ვერასოდეს ვერ იქნება შესაძლებელი ერთიანი უნივერსალური ენის შექმნა, რადგან ამისათვის აუცილებელია მათზე მეტყველ სხვადასხვა ერებს ერთი და იგივე სულიერ-ფსიქიკური თვისებები ჰქონდეთ, რაც შეუძლებელია.

ყოველი ხალხი თავისი ნაციონალური ენით, თავისი ეროვნული სულიდან გამომდინარე, თავისებურად გამოხატავს სამყაროსთან მიმართებას. ყოველი ენა ერთ-ერთი კერძო თვალსაზრისია სამყაროს შესახებ. ყოველი ენა სამყაროს თავისებურ მოდელს წარმოადგენს. „ერის წეს-ჩვეულებები მის ენაში ირეკლება, ხოლო მეორე მხრივ, ასევე მნიშვნელოვანწილად, სწორედ ენა აყალიბებს ერს“.<sup>11</sup>

სხვადასხვა ერების ურთიერთობა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ენაზე. როცა ერთი ხალხი მეორის ტერიტორიის კოლონიზაციას ახდენს, მისი ენა ახალ გარემოში გადადის. ეს კი გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ამ ენაში.

ბევრ ქვეყანაში ისე თანაარსებობენ სხვადასხვა ენები, რომ ერთმანეთს არ ერევიან. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში ადგილობრივი ენების გვერდით დამოუკიდებლად არსებობენ ჰოლანდიური და ინგლისური ენები. ეს ენები ამ ტერიტორიაზე კოლონიზაციის შედეგად დამკვიდრდა. ისინი ადგილობრივ ენებს არ ერევიან და დამოუკიდებელ შრეებად არსებობენ მათთან ერთად. ასევეა ესპანური ენა მექსიკაში. ბასკეთში ადგილობრივ ბასკურთან ერთად იყენებენ ფრანგულ და ეს-

პანურ ენებს. ფინეთშიც ერთდროულად ფინური და შვედური თანაარსებობს. საქართველო, ამ მხრივ, უნიკალური ქვეყანაა. აქ მცხოვრებ უამრავ ერს შენარჩუნებული აქვს თავისი ენა და მასში არ ხდება ქართული ენის აღრევა. ენათა დიდი თანაარსებობა აღინიშნება ბალკანეთშიც. მაკედონიაში ერთდროულად არსებობს თურქული, ბულგარული, სერბული, ბერძნული, ალბანური, რუმინული და ა. შ.

მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერება დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბდა, იგი ბუნებრივად მიადგა იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ძველი მოაზროვნეებიც ათეული საუკუნეების მანძილზე იდგნენ. უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა ახალი სიმწვავეთ წამოიჭრა.

ენათმეცნიერება, პირველ რიგში, წარსულის მისტიკური წარმოდგენებისგან განთავისუფლდა და თავისი კვლევის მეთოდები ლოგიკური აზროვნების აპარატზე დააფუძნა.

ენებთან დაკავშირებით ძველი სულიერი სიბრძნისა და ახალი ენათმეცნიერების გზები თავიდანვე გაიყო. მათი უმთავრესი დებულებები ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავიც კი აღმოჩნდა.

ენათმეცნიერება იკვლევს არა მხოლოდ ენათა შორის არსებულ განსხვავებებს, არამედ მათ მსგავსებასაც. სწორედ ამ მსგავსებათა ანალიზის შედეგად იქნა დადგენილი, რომ თურმე ერთმანეთისგან დიდად დაცილებულ ქვეყნებშიც კი ხშირად მონათესავე ენებზე ლაპარაკობენ. ასე აღმოაჩინეს ენათა ისეთი დიდი ოჯახები, როგორებიცაა: ინდოევროპული, სემიტური, ბანტუ და სხვა. ამ ოჯახების შემდგომმა შედარებამ მათ შორის არსებული საერთო ნიშნებიც გამოავლინა, რამაც ზოგიერთ მეცნიერს უფრო ძველი კავშირების ძიებისკენ უბიძგა. ბევრი მეცნიერი უკვე ყველა ენათა საერთო ნათესაობაზე საუბრობდა, თუმცა, ამ ჰიპოთეზას მონინალმდევე უფრო მეტი აღმოაჩნდა. მისი დასაბუთება ენათმეცნიერების პოზიციიდან მეტად რთულ ამოცანად წარმოჩინდა. დროთა განმავლობაში ენებმა იმდენი ცვლილება განიცადეს, რომ ასეთ შორეულ წარსულში დაბრუნება ლინგვისტური კვლევის გზით შეუძლებელი აღმოჩნდა.

ენათმეცნიერების ჩამოყალიბების სანყის ეტაპზე დადგა ფუნდამენტური კითხვა: ცნების შესაბამისი აკუსტიკური ხატი შემთხვევითი ბგერებისგან შედგება, თუ ბგერათა ეს წყობა რაიმე ბუნებრივი აუცილებლობითაა განპირობებული?

ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად იქნა გაცემული. ენათმეცნიერება დაეფუძნა პრინციპს: ენობრივი ნიშანი პირობითია. სიტყვებში შემავალი ბგერების მიმდევრობა არავითარი შინაგანი მოთხოვნით არ უკავშირდება ამ სიტყვით გამოსახულ ცნებას. ამ დებულების უტყუარ დასაბუთებად იქნა მიჩნეული ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ენაზე სრულიად განსხვავებული ბგერითი რიგებითაა გამოსახული<sup>12</sup>. მიჩნეულ იქნა, რომ სხვადასხვა ხალხში მიღებული ცნების სიტყვიერი გამოხატვის ფორმა ძირითადად ამ კოლექტივის ჩვევას, ანუ შეთანხმებას ემყარება. ენათმეცნიერებამ ძირითადად თავი აარიდა ენების წარმოშობის უაღრესად რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე ამოცანის გადაწყებას. ცნობილი მკვლევარი ფერდინანდ დე სოსიური ამგვარად მსჯელობს:

„ენა აშკარა მაგალითია იმისა, რომ საზოგადოებაში მიღებულ კანონს კი არ ირჩევენ, არამედ ემორჩილებიან.

რაც არ უნდა შორს წავიდეთ, ნებისმიერ ეპოქაში ენა მუდამ წარსული ეპოქის მემკვიდრეობად გვევლინება. თუმცა, ეს არასოდეს არავის დაუფიქსირებია, მაგრამ ოდესღაც, საგნებს სახელები დაერქვა. ესე იგი, მოხდა შეთანხმება, გარკვეულ ცნებებს გარკვეული აკუსტიკური გამოხატულებები მინიჭებოდა. ეს რომ ასე უნდა მომხდარიყო, ნიშნის პირობითობის მძაფრმა შეგრძნებამ შთაგვაგონა.

ნებისმიერი საზოგადოება ენას წინა თაობებისგან ყოველთვის მზა სახით, მემკვიდრეობით იღებს. ამიტომაც ენის წარმოშობის საკითხს ისეთი მნიშვნელობა როდი აქვს, როგორც ჰგონიათ ხოლმე. ამ საკითხის დასმაც არაა საჭირო. ენათმეცნიერების ერთადერთი რეალური ობიექტი არის უკვე ჩამოყალიბებული ენის ნორმალური და რეგულარული სიცოცხლე. ენის ნებისმიერი მოცემული მდგომარეობა ისტორიული ფაქტორების პროდუქტია და ეს ფაქტორები ხსნიან ნიშნის უცვლელობას.“<sup>13</sup>



ენათმეცნიერების ეს ფუნდამენტური დებულება წინააღმდეგობაში აღმოჩნდა „წინაპართა“ სულიერი გამოცდილების შედეგებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარი გამოცდილება ძველ აღმოსავლურ რელიგიურ მოძღვრებებს ჰქონდათ. ძალზე შთამბეჭდავი შედეგებით გამოირჩეოდა ახლო აღმოსავლეთის ბევრი რელიგიური მიმართულებაც.

აღმოსავლეთის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებები ძველთაგანვე უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ბგერებთან დაკავშირებულ მისტიკას. ითვლებოდა, რომ ყოველგვარი საიდუმლო სახელშია დაფარული. სახელი იძლევა წარმოდგენას საგნებისა და არსებების შესახებ. იგივე სახელები შეიცავენ საგნებისა და არსებების დაფარულ შინაარსებსაც. ყოველი სახელი იუნწყება საგნისა და არსების როგორც წარსულს, ასევე აწმყოსა და მომავალს. სახელში კი ყველაფერი მნიშვნელოვანია: შემადგენელი თანხმოვნები და ხმოვნები, მათი მონაცვლეობის რიტმი, თითოეული ბგერის ბუნება, ბგერებით გამოსახული მისტიკური რიცხვი, ბგერათა კავშირი პლანეტებთან და ვარსკვლავურ არეებთან.

ყველა ძველ კულტურაში ითვლებოდა, რომ სახელს მძლავრი მაგიური ზემოქმედების უნარი ჰქონდა. ხშირად სახელი გასაიდუმლოებული იყო, რადგან ითვლებოდა, რომ თუ ადამიანის ნამდვილი სახელი ეცოდინებოდათ, შესაძლებელი იყო მასზე მაგიური ზემოქმედების მოხდენა. ესე იგი, ადამიანს ჰქონდა საერო სახელი და ერთგვარი ნათლობის სახელი. იგივე მიმართება არსებობდა ღვთაებრივი არსებების სახელების მიმართაც. ღმერთის სახელი ხშირად არ გამოითქმოდა, რადგან შეუსაბამო ადგილას მის ხსენებას, შესაძლოა ზიანი მოჰყოლოდა მისი წარმომთქმელისთვის.

ითვლებოდა, რომ სახელები მოქმედებენ არა მხოლოდ მათზე, ვისაც გამოსახავენ, არამედ მათ ირგვლივ არსებულ გარემოზეც.

რელიგიურ ტექსტებში ხშირია ეპიზოდები, სადაც მოთხრობილია, რომ ადამიანის სახელის შეცვლამ მთლიანად შეცვალა მისი არსება. იგი თითქოსდა სხვა ადამიანი გახდა.



ვედების მიხედვით, სიცოცხლის პირველი გამოვლინება სამყაროში ბგერითი სახით იყო. სამყარო „ისმინებოდა“. ბიბლიის მსგავსად, აქაც არსებობს დებულება, რომ „პირველად იყო სიტყვა“. საუკუნეთა განმავლობაში ინდოელი იოგები თავიანთს სცემდნენ ღვთაებრივ სიტყვას. სწორედ ამ განცდებიდან მომდინარეობს მათი ბგერითი მისტიციზმი. წმინდა სახელი და, საერთოდ, წმინდა სიტყვა, ინდურ რელიგიებში მუდმივად თავიანთსცემის საგანი იყო. ღვთაებრივი სიტყვის თემას ვხვდებით უძველეს ზოროასტრულ რელიგიაშიც, ბუდიზმშიც, ისლამშიც. სიტყვათა მისტიკას დიდი ადგილი ეკავა ებრაულ რელიგიურ სწავლებაშიც.

დღეისთვის სანსკრიტული ენა პრაქტიკულად მკვდარი ენაა, მაგრამ ინდოელი იოგები თავიანთ მეტყველებაში კვლავაც იყენებენ სანსკრიტულ სიტყვებს, მასში ხედავენ მძლავრ რელიგიურ იმპულსებს.

ძველი ოკულტური ხელოვნება, ყოველგვარი მისტიკური პრაქტიკა, ეფუძნებოდა სიტყვის საიდუმლოთა წვდომას, მათში პრაქტიკული სულიერი ძალების შემეცნებას<sup>14</sup>.

აღმოსავლური სწავლების მიხედვით, მართალია, ყველა სიტყვა ღრმა ინტუიციური ჭვრეტის შედეგადაა შექმნილი, მაგრამ მაინც გამოირჩევა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მისტიკური სიტყვები. მათი წარმომავლობა კიდევ უფრო ღრმა სულიერი საფუძვლებიდან მომდინარეობს. კერძოდ, ითვლება, რომ ამ მისტიკურ სიტყვებს სამი ძირითადი წყარო აქვთ: ინტუიციური, აზრობრივი და ასტროლოგიური.

ინტუიციური სიტყვა მომდინარეობს ადამიანური სამშენველიდან, რაც ღვთაებრივის შინაგანი შემეცნების შედეგია. სწორედ ამიტომაც აქვთ ამ სიტყვებს მძლავრი ზემოქმედების ძალა. ამ შემთხვევაში, სამყარო თითქოსდა ადამიანის სამშენველით მეტყველებს.

სიტყვების ზემოქმედება ინტუიციური ასპექტის გარდა ცნობიერი თვალსაზრისითაც შეიძლება იქნას განხილული. ადამიანის აგებულების ღრმა შესწავლის შედეგად, ხდება იმგვარი ცენტრების მოძიება, რომლებზე ზემოქმედებაც

ცალკეული ბგერებისა და სიტყვების საშუალებითაა შესაძლებელი. ცალკეულ ბგერებს, თავიანთ მხრივ, სრულიად განსაზღვრული ზემოქმედების ძალა გააჩნიათ. თითოეულ ხმოვანს, თუ თანხმოვანს სრულიად კონკრეტული ხასიათი აქვს და ადამიანზე მათი მოქმედების ეფექტი მეცნიერულად შეიძლება იქნას შესწავლილი. ცხადია, ეს უკვე ცოდნის სფეროა.

სიტყვათა შედგენილობა ასევე ფართოდაა დაკავშირებული ასტროლოგიურ მოვლენებთანაც. ხმოვნები და თანხმოვნები მინიერ პლანში გამოხატავენ იმ სულიერ ძალებს, რომლებიც პლანეტარული და ვარსკვლავური სფეროებიდან მომდინარეობს. ბგერები აძლიერებენ ან ასუსტებენ ციური სფეროებიდან მომდინარე გავლენებს.

ინდოეთში ადამიანისთვის სახელის დარქმევა სწორედ ვარსკვლავურ კონსტილაციებზეა დამოკიდებული. სახელის შემადგენელი ბგერები სწორედ ინდური ასტროლოგიური წარმოდგენების მიხედვით ირჩევა.

ასტროლოგიას, როგორც სულიერ მოძღვრებას, ასევე მყარი შეხედულებები აქვს თავად ადამიანის ენის ჩამოყალიბების კავშირზე ვარსკვლავურ კონსტილაციებთან. კაცობრიობის ისტორიაც, ცხადია, ღრმადაა დაკავშირებული იმ ეპოქებთან, რომელთა თავისებურებებიც ასევე ვარსკვლავური წესრიგით განისაზღვრება.

როგორც ცნობილია, ეგვიპტურ-ქალდეური კულტურის ზეობის ეპოქაში გაზაფხულის დღელამსწორებისას მზე ხარის ზოდიაქოში ამოდიოდა. ესე იგი, ასტროლოგიური თვალსაზრისით, ეს იყო ხარის ეპოქა. ძველი წარმოდგენებით, ზოდიაქოების სხვადასხვა არეები ადამიანის სხეულის განსხვავებულ ნაწილებზე მოქმედებენ. ადამიანის ფიზიკურ ორგანიზაციაში ხარის ზოდიაქოდან მომდინარე კოსმოსური ძალები ხორხის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სწორედ ეგვიპტურ-ქალდეურ ეპოქაში ადამიანის ხორხი განვითარების ისეთ საფეხურს აღწევს, როცა ადამიანი განსაკუთრებით აქტიურად ახდენს სიტყვებისა და შესაბამისი საგნების ურთიერთშესატყვისობის შემეცნებას. ადამიანური ორგანო – ხორხი – გარე სამყაროს

სიტყვიერ შესატყვისებს აქტიურად ქმნის.

კოსმოსიდან მომდინარე ღვთაებრივი სიტყვის ადამიანურ არსებასთან დაკავშირებას კიდევ ერთი კოსმოსური ფაქტი უწყობს ხელს. პლანეტები სხვადასხვა ზოდიაქოში სხვადასხვა ძალით ვლინდებიან. სადაც პლანეტებს ეგრეთ წოდებული „სახლი“ აქვთ, მათი მოქმედების ძალა მაქსიმალურია. ზოგიერთ ზოდიაქოში მათი მოქმედება, პირიქით, შესუსტებულია, ზოგიდან კი ისინი საერთოდ „განდევნილი“ არიან. პლანეტა ვენერას სახლი სწორედ ხარის ზოდიაქოში აქვს. იმის გარდა, რომ ხარის ზოდიაქოს გავლენით ადამიანის ხორხის ძალები მკვეთრად ძლიერდება და ადამიანში სიტყვის დაბადებას უწყობს ხელს, ვენერას ზემოქმედებით ეს განცდები ღრმად უკავშირდება ადამიანის შინაგან მშვინვიერ-სულიერ გრძნობებს. ადამიანი გარეშე საგნებსა და მოვლენებს მჭიდროდ უკავშირებს მისი ხორხიდან წარმოქმნილ ბგერებს. ეს კოსმოსური კონსტილაცია დაემთხვა იმ ეპოქას, რასაც ბიბლია ბაბილონის გოდოლის ისტორიას უკავშირებს. აქ იწყება ენების დიფერენციაცია, ცალკეული ენების აქტიური განვითარება.

ეგვიპტურ-ქალდეურ ეპოქას ისტორიულად ბერძნულ-რომაული მოსდევს. მზე ხარის ზოდიაქოდან ვერძის ზოდიაქოში გადადის. ვერძის ძალები ადამიანში უკვე თავის ძალებს ააქტიურებენ. აზროვნება მძლავრ ინსტრუმენტად იქცევა. ადამიანი სამყაროს აზროვნებით აღქმას იწყებს. მეტყველებაში უკვე აქტიურად გამოიხატება ადამიანის მიერ გარე სამყაროს შესახებ გამომუშავებული აზრები.

ამ პროცესში აქტიურად ერთვება მარსიდან მომდინარე პლანეტარული ძალებიც. მარსის „სახლი“ სწორედ ვერძის ზოდიაქოშია. პლანეტარულ სისტემაში მარსი წარმოადგენს იმ პლანეტას, რომლისგანაც მომდინარე სულიერი ძალები ადამიანში მეტყველების განვითარებას უწყობს ხელს. იგი მუდმივად სტიმულირებას უწევს მეტყველების უნარს.

მარსის ზემოქმედებას ზოგჯერ რადიკალური ხასიათიც აქვს, მეტყველების იმპულსირება შესაძლოა ბოროტადაც იქნეს გამოყენებული და იგი აქტიურ აგიტაციამდე დავიდეს.

ჩვენს ეპოქაში მზე უკვე თევზების ზოდიაქოში იმყოფება. ადამიანის კონსტილაციაში იგი ფეხის ტერფებს შეესაბამება. კოსმოსური ძალები თავიდან ფეხის ტერფებისკენ ინაცვლებენ. ეს არის დიდი გარდატეხის პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში. იმას, რასაც ადამიანი ადრე ზეციდან იღებდა, ახლა უკვე მიწისგან იღებს. ადამიანის ყურადღება მიწიერი სამყაროს კვლევისკენ გადადის. მატერიალისტური ცნობიერება გრანდიოზულ მასშტაბებს იღებს.

თევზების ზოდიაქოში „სახლი“ იუპიტერს აქვს, რაც ნიშნავს, რომ ამ ეპოქაში უკვე შესაძლებელი ხდება, ადამიანმა საკუთარი ცნობიერების ძალებით მატერიის შემეცნების გრანდიოზულ მასშტაბებს მიაღწიოს. მატერია სიბრძნით იმსჭვალევა. მასში კოსმოსური სიბრძნის შემეცნება ხდება შესაძლებელი.

ბიბლიური წარმოდგენების მსგავსად, აღმოსავლეთშიც არსებობს რწმენა იმისა, რომ ოდესღაც კაცობრიობა ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობდა. ევროპელი ლინგვისტებისგან განსხვავებით, აქ არ კამათობენ იმ საკითხზე, კონკრეტულად რომელი ენაა კაცობრიობის ეს წინარე ენა. ითვლება, რომ კაცობრიობის წინარე ენა იყო ისეთივე ბუნებრივი ენა, როგორიც დღეს ჩიტებისა და ცხოველების ენაა. ამ ენაში მთავარი არ არის გრამატიკა. იგი ბუნებრივად გამოხატავს ადამიანის გრძნობებსა და მოთხოვნილებებს. ცხადია, ის არ იქნებოდა რთული აგებულების. მასში არ იქნებოდა გრძელი სიტყვები. პრაენა სწორედ ცალკეული ბგერებისა და მარცვლების ბუნებრივი მნიშვნელობებით იყო გამოხატული და ადამიანებიც ამ ბგერებში მოცემულ შინაარსებს მძაფრად შეიგრძნობდნენ. ისინი ამ ბგერების გარკვეული ინტონაციით წარმოთქმით საკუთარ გრძნობებსა და განცდებს, სიხარულსა და მრისხანებას გამოხატავდნენ, ერთმანეთს მოახლოებული საშიშროების შესახებ აფრთხილებდნენ.

კაცობრიობის ევოლუციის პროცესში ადამიანის მოთხოვნილება ენის მიმართ მკვეთრად გაიზარდა. ადამიანს მეტყველებით უფრო და უფრო მეტი ჰქონდა სათქმელი და თან-

დათან ენაც გართულდა, სიტყვების რაოდენობაც გაიზარდა. მეტყველებამ თანდათან მეტი პრაქტიკული შინაარსი შეიძინა.

აღმოსავლეთის მოძღვრებაში ძალზე ღრმად იყო გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ წმინდა სიტყვები და მარცვლები არ შეიძლება მიეკუთვნოს ერთ რომელიმე სამეტყველო ენას. იგი ზოგადსაკაცობრიო კუთვნილებაა. ბგერათა ერთი და იგივე სულიერი შინაარსები შეიძლება მონახულ იქნეს უამრავ ენაში. აუცილებელი არ არის მათი ერთი ენიდან მეორეში გადასვლა. ყოველ ენას თავად შეუძლია მოიპოვოს იგი. სიტყვებსა და მათ შემადგენელ ბგერებს თავიანთი დამოუკიდებელი, ობიექტური სულიერი მნიშვნელობები აქვთ და ამ მნიშვნელობების წვდომა ყველა ხალხშია შესაძლებელი. ცხადია, ყველა ხალხსა და ენას თავისებურებები გააჩნია და ამიტომ სიტყვების ფორმირებაც ამ თავისებურებებს ეფუძნება, რაც, თავის მხრივ, ენათა მრავალფეროვნების საფუძველია.

ძველად, როცა სიტყვის მისტიკას პრაქტიკული და რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა, სიტყვების ფორმების შექმნასაც და შენარჩუნებასაც განსაკუთრებული მნიშვნელობები ენიჭებოდა. იგი უფრო მეტად იყო დამყარებული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. სიტყვების ფორმირება, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანებისგან მომდინარეობდა, ვისი ინტუიციური ცნობიერებაც ღრმა რელიგიური და მისტიკური გრძნობით იყო გაჯერებული. თანამედროვე ეპოქაში ახალი სიტყვების შექმნაც და, მით უმეტეს, ძველი სიტყვების ტრანსფორმაცია უფრო ზედაპირულია. იგი ეფუძნება გრამატიკის კანონებს და ყოველდღიური საქმიანობის გარეგან ფაქტორებს. ამიტომაც თანამედროვე ლექსიკაში სიტყვათა შინაარსები ხშირად დეგრადირებულია.

ინდურ იოგაში ღრმად იყო გაცნობიერებული ცალკეული ხმოვნებისა და თანხმოვნების სულიერი ზემოქმედების შესაძლებლობები. ისინი ხშირად მიმართავდნენ ასეთ პრაქტიკას: ყოველ დღიით და საღამოს მრავალჯერ იმეორებდნენ განსაზღვრულ წმინდა სიტყვებს. ამის საშუალებით აღწევდნენ გარკვეულ ეგზალტირებულ მდგომარეობამდე, როცა მათი

სულიერი ჭვრეტის უნარი მახვილდებოდა. შემდეგში იგივე მე-  
თოდები იქნა გამოყენებული სუფისტების მიერაც. ამ პრაქ-  
ტიკას სუფისტები „ზიქრს“ უწოდებდნენ და თავიანთ სულიერ  
ცხოვრებაში დიდ ადგილს უთმობდნენ.

აღმოსავლური მოძღვრების მიხედვით, სიტყვიდან მომდი-  
ნარე ზემოქმედების ძალა დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე,  
თუ რა შინაარსს გამოხატავს ეს სიტყვა, ანდა ვის მიერაა იგი  
წარმოთქმული, არამედ მნიშვნელოვნად იმაზეც, თუ რომელი  
ბგერებისგან შედგება იგი. ბგერებს თავად აქვთ ზემოქმედე-  
ბის განსაკუთრებული ძალა. მათი კომბინაციებით კი სრული-  
ად განსაკუთრებული ფორმა ყალიბდება.

სიტყვის ძალა ძალზე ფართოდ იყო გამოყენებული ძველ  
მედიცინაშიც. წმინდა სიტყვების მრავალჯერადი გამეორების  
გზით სხვადასხვა დაავადებებზე ხდებოდა ზემოქმედება.

ბუდისტურ რელიგიურ პრაქტიკაში ხშირი იყო, როცა ბერე-  
ბი თავიანთ სენაკებში სხვადასხვა სიტყვიერ მანტრებს მთელი  
დღის განმავლობაში რამდენიმე ათასჯერ იმეორებდნენ. ეს  
პრაქტიკა მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა და  
უნწვრილეს დეტალებამდე იყო დახვეწილი.

საზოგადოდ, წმინდა სიტყვების, ან ლოცვითი ფორმულების  
მრავალჯერადი გამეორების პრინციპი თითქმის ყველა რელი-  
გიურ მოძღვრებაშია მიღებული. ეს პრაქტიკა არსებობს ინდუ-  
ისტურ, ზოროასტრულ, იუდეისტურ, ისლამურ, ქრისტიანულ  
რელიგიურ ცხოვრებაშიც.

წმინდა სიტყვების მრავალჯერადი გამეორების პრინციპში  
მნიშვნელოვანი საიდუმლოა დანახული. თავად გამეორებათა  
რაოდენობაც გარკვეული რიცხვითი მისტიკიდან მომდინარე-  
ობს. ანალოგიური მნიშვნელობით განიხილება არა მხოლოდ  
წმინდა სიტყვები, არამედ ცალკეული მარცვლები და ბგერე-  
ბიც. შესწავლილია მათი მოქმედების ეფექტები არა მხოლოდ  
ადამიანის ფიზიკურ სხეულზე, არამედ მის მშვიინვიერ-სულიერ  
მდგომარეობაზეც.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის კონტინენტზეც  
დაიწყო მისტიკური მოძღვრებების გამოცოცხლება. მის არე-

ალში გარკვეულად ენის პრობლემებიც მოექცა. ბგერათა სულიერი მნიშვნელობების გარკვევის საკითხში განსაკუთრებული როლი ითამაშა XX საუკუნის დასაწყისში შექმნილმა ხელოვნების ახალმა დარგმა – ევრიტიმამ, რომელიც ბგერების სულიერ მნიშვნელობებს მოძრაობაში გამოსახავს. ევრიტიმაში ბგერების ზემოქმედების ძალა საფუძვლიანადაა შესწავლილი. ძველი მისტიკური მოძღვრებებისგან განსხვავებით, მისი ენა დასავლური ცნობიერებისთვის უფრო თანამედროვე და გასაგებია.

კაცობრიობის განვითარების ადრეულ საფეხურებზე მეტყველების ფორმა მკვეთრად განსხვავებული იყო. მეტყველების ფორმამ ევოლუციის გრძელი გზა გაიარა. საწყის ეტაპზე იგი უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხეულის მოძრაობით გამოხატულებასთან. შემდგომში მეტყველება თანდათან უფრო შინაგანი გახდა. ადამიანი დღეს ძირითადად შესაბამისი მოძრაობების გარეშე მეტყველებს.<sup>15</sup> ევრიტიმამ ბგერა და მოძრაობა კვლავ ერთმანეთს დაუკავშირა.

ყოველი ხალხის ენა ამ ხალხის საერთო სახალხო მონაპოვარია. ყოველი ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში იბადება, უკვე თავისთავად ენის საშუალებით ექცევა ამ ხალხის კოლექტიური ცნობიერების გავლენის ქვეშ. ეს ზემოქმედება ძალზე ძლიერია და დიდი დოზით განსაზღვრავს ცალკეული ინდივიდის ხასიათს, აზროვნების ფორმას.

ამავე დროს, ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ცალკეულ, მაღალგანვითარებულ ინდივიდუალობებს თავადაც შესწევდათ ძალა სამეტყველო ენის გზით სერიოზული ზემოქმედება მოეხდინათ მშობლიურ კოლექტივზე. სწორედ ამიტომაცაა, რომ ამა თუ იმ ხალხის ენის რეფორმატორები, ისტორიული განვითარების შესაბამის საფეხურებზე, ამ ხალხის ცნობიერების რეფორმატორებადაც გვევლინებიან.

ესე იგი, ყოველ ენას აქვს როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური სულიერი ცხოვრების ნიშნები. მართალია, საზოგადოდ, სამეტყველო ენის ფორმა სიმყარისა და უცვლელობის მაღალი დონით ხასიათდება, მაგრამ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში მაინც განიცდის ცვლილებას – ერთგვარად მიჰყვება



კოლექტივის ევოლუციის, ან ინვოლუციის პროცესს.

ენის წარმოშობასთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა თანხმდება იმ საკითხზე, რომ სამეტყველო ენა ადამიანის ევოლუციის პროცესში ძალზე ძველი მონაპოვარია. ენა წარმოშობილია ჯერ კიდევ იმ შორეულ წარსულში, როცა ადამიანთა ინდივიდუალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი და ადამიანთა ჯგუფები ერთიანი კოლექტიური ცნობიერების ფორმით ხასიათდებოდნენ. ამგვარი „კოლექტიური ცნობიერების“ ფორმა ევოლუციის თანამედროვე ეტაპზე ცხოველთა სახეობებისთვისაა დამახასიათებელი და მათზე დაკვირვებით გარკვეული მიახლოებითი წარმოდგენები შეიძლება ვიქონიოთ იმ შორეული წარსულის შესახებ.

ადამიანთა ჯგუფების შიგნით ურთიერთობის განვითარებამ საერთო საკომუნიკაციო საშუალებების – მეტყველების განვითარებას შეუქმნა საფუძველი.

ცხადია, სამეტყველო ენამ მას შემდეგ ევოლუციის გრძელი გზა განვლო, ვიდრე თანამედროვე ფორმებამდე ჩამოყალიბდებოდა.

სიტყვათწარმოქმნის პრინციპების ასეთ შორეულ წარსულში არსებობა, ბუნებრივია, ურთულეს პრობლემებს აყენებს თანამედროვე მეცნიერების წინაშე. ძირითადად, სწორედ ამიტომაც, ენათმეცნიერებამ თავი აარიდა ამ თემის კვლევას.

ენის წარმოშობის საკითხზე ძირითადი ინფორმაცია ძველი რელიგიური და მისტიკური წარმოდგენების სფეროში უფრო ფართოდაა დამუშავებული, ვიდრე თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

უკანასკნელ ათასწლეულებში ადამიანი თანდათან საკუთარ თავში „ჩაკეტილ“ ინდივიდუალობად ჩამოყალიბდა. „მე“-ს ძალების მკვეთრი განვითარების შედეგად ყოველი ინდივიდი საზოგადოებისგან გამოცალკევებულ, დასრულებულ არსებად იქცა. ძველად, ადამიანები არ იყვნენ ამგვარი დამოუკიდებელი არსებები. ისინი საკუთარი კოლექტივის შიგნით, ცნობიერების თვალსაზრისით, უფრო მეტად იყვნენ ერთმანეთში „გათქვეფილნი“. მათი სამშვიდველები საერთო კოლექტიური სამშვიდვე-



ლის ნაწილს წარმოადგენდა და ერთმანეთის მიმართაც მეტად იყვნენ გახსნილები. ძლიერი კოლექტიური სამშენველის არსებობა თავისთავად განაპირობებდა ერთიანი, კოლექტიური ცნობიერების არსებობას. ამიტომაც, ამა თუ იმ საგნისა, თუ არსების აღსანიშნავად სიტყვების წარმოშობა კოლექტივის ერთიანი ძალისხმევით ხდებოდა და იგი საერთო, კოლექტიური მონაპოვარი იყო. ამგვარი ბგერითი გამოხატულებების არსებობა თანამედროვე ცხოველთა ჯგუფებზე დაკვირვებითაც დაახლოებით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ადამიანური არსება, ევოლუციის იმ სტადიაზე, როცა მასში ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი „მე“-ს ძალები, შეიძლება განვიხილოთ სამწევროვანი სახით. ადამიანის ამ სამწევროვნებას ჯერ კიდევ არისტოტელე შემდეგი ტერმინებით გამოსახავდა: ფიზიკური, ვეგეტაციური და ანიმალური სხეულები.

ადამიანის მეტყველება სწორედ ადამიანის არსების ამ სამწევროვნებას ეფუძნება.

ადამიანის სამწევროვნებაში, ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში, ფიზიკურ სხეულს ის ნაწილი უკავშირდება, რომელსაც გარე, ფიზიკური სამყაროს ასახვის უნარი აქვს. სწორედ ამ ნაწილშია შესაძლებელი მიბაძვის უნარის გამოვლინება. ეს არის მეტყველებით გარემოს გამოსახვის ყველაზე პრიმიტიული ფორმა.

მიბაძვა არის ის თვისება, რომელიც ადამიანის ბუნების ქვეცნობიერ სფეროს უკავშირდება. ადამიანში არსებობს ქვეცნობიერი სწრაფვა მიბაძვისკენ. ამიტომაც, ბავშვის აღზრდის სფეროში მიბაძვას მძლავრი ზემოქმედების ძალა აქვს.

მეტყველების ეს ფორმა ნიშანდობლივადაა დამახასიათებელი მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, როცა ისინი რაიმე საგნებს, ან მოვლენებს სახელებს იმის მიხედვით არქმევენ, რასაც ისინი ხმოვანებით გამოსცემენ. ხშირად პატარები ძალღს „აუას“ ეძახიან. ცხადია, ეს სახელი ძალღის ყეფის იმიტაციაა. ბავშვი ბაძავს ძალღის ხმას და მის დასახელებას ქმნის. ასევე ხშირად ქათამს „კო-კო-კოს“ ეძახიან, რაც ასევე ქათამის კაკანის იმიტაციაა. ბავშვები დედამიწის ყველა კუთხეში ქმნიან

ამგვარ სიტყვებს. მათი რაოდენობა ბევრია. შეიძლება ითქვას, რომ ეს მცირეწლოვანი ბავშვების საერთაშორისო ენაა.

შემდეგ, როცა ბავშვი იზრდება და საკუთარი დედაენის შეთვისებას იწყებს, მას ასწავლიან, რომ ძალღს „აუა“ კი არა, ნამდვილი სახელი „ძალი“ ჰქვია. ამ ეტაპზე ბავშვების საერთაშორისო ენა იშლება, დიფერენცირდება.

მიუხედავად ამისა, ხმის მიბაძვით მიღებული სიტყვები ყველა ენაში მაინც მრავლად მოიპოვება.

მაგალითად, მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში ბავშვმა შესაძლოა ყვავს უწოდოს „ყვა“, თუკი მისი ხორხი ისე მოწყობილი, რომ მას შეუძლია ყ ბგერის წარმოთქმა. ქართველი ხალხისთვის ეს შესაძლებელია. ყვავის აღსანიშნავად ქართულმა ენამ შემოინახა ეს დასახელება („ყვავი“).

ქართულ ენაში ხმაბაძვითი სიტყვების მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: კაკანი, კაკუნი, წიკნიკი, ბრახუნი, ყიყინი, სისინი, ზუზუნი, კაჭკაჭი და სხვა.

ხმაბაძვითი გზით სიტყვების წარმოქმნა ყველაზე პრიმიტიული ფორმაა. ენის ლექსიკური მარაგის დიდი ნაწილი უფრო რთული წარმომავლობისაა, ვიდრე ხმაბაძვითი სიტყვები. ადამიანის შინაგან არსებაში მათი გამომუშავება უკვე არა ფიზიკური სხეულის, არამედ ვეგეტაციური, ანუ ეთერული სხეულის საფეხურზე ხდება. ამ სფეროში უკვე მიმდინარეობს არა ხმის მიბაძვა, არამედ გარეგანი ალქმის ხატოვანი გამოსახვა. ამ შემთხვევაში უკვე ადგილი აქვს გარეგანი ალქმის სიმბოლიზაციას – ხატოვან სიმბოლოდ გარდასახვას.<sup>16</sup> ადამიანის მშენებელი აგებულებაში ამ სფეროს განსჯითი სამშენველი შეესაბამება. ენის წარმოშობის პერიოდში სამშენველის ეს ნაწილი მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში უნდა ვიგულისხმოთ, რადგან „მე“-ს ძალები ჯერ არ იყო განვითარებული. გარეგანი შთაბეჭდილებების გადამუშავება სიზმრისეული მდგომარეობის მსგავსად, ქვეცნობიერად მიმდინარეობს. ის რაც ადამიანის არსებაში მიიღება, ამ გარეგან შთაბეჭდილებას მხოლოდ ხატოვნად, სიმბოლურად შეესაბამება. ეს უკვე აღარ არის მიბაძვა.

ცხადია, გარეგანი შთაბეჭდილების შესაბამისი სურათ-ხატის გამომუშავება რთული ფსიქიკური პროცესია. ამ შემთხვევაში აუცილებელია გაირკვეს: აქვს თუ არა რაიმე მყარი კანონზომიერება ამ სიტყვიერი სიმბოლოს წარმოქმნას?

ამ კანონზომიერებას რომ ერთადერთი და აბსოლუტური საფუძველი ჰქონდეს, მაშინ მსოფლიოს ყველა ხალხი, მაგალითად, ცხენის შესატყვის ერთსა და იმავე სიტყვას შექმნიდა.

სიტყვათწარმოქმნის ამ პროცესში აუცილებელია გამოიყოს ორი სხვადასხვა მიმართება: პირველი, ბგერების ობიექტური შინაარსების არსებობა, რომელთა მისადაგებაც ქვეცნობიერად ხდება გარე შთაბეჭდილებასთან, და, მეორე, ადამიანის შინაგანი შემოქმედებითი აქტივობა. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ბგერებს კონკრეტული შინაარსები გააჩნია, ყოველი მათგანი გარკვეულ შთაბეჭდილებას შეესაბამება და ამდენად, სრულიად კანონზომიერად ხდება ამა თუ იმ ცნების შესაბამისი აკუსტიკური ხატის (სიტყვის) შემადგენლობაში. ამავე დროს, ბგერათა კომბინირების პროცესი ადამიანთა ჯგუფების შემოქმედებით აქტივობასაც შეიცავს. ამ აზრის მეტი სიცხადისთვის შეიძლება ამგვარი მაგალითი მოვიყვანოთ: წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი დგას საოცარად ლამაზი, აყვავილებული ხის წინ. ამ შემთხვევაში მის არსებაში გარედან წარმოიქმნება შთაბეჭდილება. ამ შთაბეჭდილების გამოსახვა მას შეუძლია სხვადასხვა გზით: მას შეუძლია მის წინ არსებული რეალობა საღებავებით დახატოს. იგივე შეიძლება გააკეთონ სხვა ადამიანებმაც, რომლებიც იგივე ხეს უყურებენ. ამ ადამიანთა განსხვავებული უნარებისა და მშენიერი წყობის შესაბამისად არც ერთი ეს ნახატი ერთმანეთს არ დაემთხვევა. ყველა ნახატში ცალკეული ადამიანი ინდივიდუალურ შემოქმედებით ნიშნებს გამოსახავს, თუმცა ეს ნახატები მაინც არ იქნება თვითნებური: ყოველი მათგანი უთუოდ გამოსახავს იმ ობიექტურ რეალობასაც, რაც გარე შთაბეჭდილებას ქმნის – ამ შემთხვევაში აყვავილებულ ხეს.

ესე იგი, ყოველი სურათი მოიცავს საგნის ობიექტურ სახესაც და ინდივიდუალობის შემოქმედებით მხარესაც.

დაახლოებით ანალოგიურ შემთხვევასთან გვექნება საქმე, თუ ეს ადამიანები იმავე საგნის დახატვას კი არა, მისთვის სახელის დარქმევას გადაწყვეტენ. წინა შემთხვევისგან განსხვავებით, აქ შემოქმედად უნდა ვიგულისხმოთ არა კონკრეტული ინდივიდუალობა, არამედ ამა თუ იმ ხალხის კოლექტიური სამშენ-ველი. სხვადასხვა ხალხს, შესაბამისი ნიშან-თვისებების გამო, სხვადასხვა შემოქმედებითი ხასიათი აქვს. მსგავსი გარეგანი საგნების შინაგანი გადამუშავებისას, ამ ხალხებში სხვადასხვა სიტყვიერი ხატები მიიღება, მაგრამ თუ ყურადღებით განვიხილავთ მათი შემოქმედების შედეგებს, უთუოდ შევნიშნავთ, რომ ეს სიტყვები არ არის შემთხვევითი ფორმის. მათში იკვეთება ის ობიექტური რეალობაც, რაც შესაბამის საგნებს გააჩნიათ. ეს ობიექტური რეალობა იმ ბგერების მნიშვნელობებში ვლინდება, რომლებიც მსოფლიოს ყველა ხალხისთვის ერთი და იგივეა. ადამიანთა ინსტინქტებში ბგერათა ეს მნიშვნელობები ქვეცნობიერადაა მოცემული, ისევე, როგორც სხვადასხვა სახის ინსტინქტები ცხოველთა და ფრინველთა სახეობებში.

ახლა, თუ ყურადღებას გავამახვილებთ ადამიანური არსების გრძნობად (ანიმალურ) ნაწილზე, შევამჩნევთ, რომ მასში გარე შთაბეჭდილების გადამუშავება შემდეგ სტადიაზე გადადის და მას უკვე ადამიანის შინაგანი განცდა ემატება. ადამიანის სურვილები, მისწრაფებები, კმაყოფილება, უკმაყოფილება, სიხარული და წუხილი, ვნებები, სწორედ ადამიანის გრძნობად (ანიმალურ) სხეულში ვლინდება. ადამიანს აქვს უნარი, ეს გრძნობები ბგერებში გამოხატოს.

ეს არის სიტყვათწარმოქმნის ის სტადია, როცა სიტყვა დასრულებულ სახეს იღებს.

სიტყვათწარმოქმნის პროცესში შესაძლოა სხვადასხვა გზით მოხდეს სიტყვის დაბადება. მაგალითად, შესაძლოა რომელიმე სიტყვამ ზემოთ წარმოდგენილი სამივე ფაზა თანმიმდევრულად მოიცვას. ესე იგი, გარეგანი შთაბეჭდილების ზეგავლენით პირველად შეიძლება მიბაძვითი ფორმა შეიქმნას, შემდგომი გადამუშავებით ადამიანის ვეგეტაციურ, ანუ ეთერულ სხეულში, უკვე სიტყვიერ სიმბოლოდ იქცეს და, მე-

სამე სტადიაზე, შინაგან გრძნობად (ანიმალურ) სფეროში უკვე განცდების შესაბამისი ხმოვანება შეიძინოს.

ზოგჯერ სიტყვის წარმოქმნა პირველივე, მიბაძვით სტადიაზეა შეჩერებული – გარეგანი შთაბეჭდილების აკუსტიკური მიბაძვით უკვე დასრულებული სიტყვაა მიღებული.

შესაძლოა სიტყვა მხოლოდ გრძნობად სტადიაზეც დაიბადოს. ამ შემთხვევაშიც გარე შთაბეჭდილების სახით რალაც შესატყვისი უნდა არსებობდეს. მასზე რეაგირებისას ადამიანის ანიმალურ ნაწილში გრძნობა ბგერის სახით გამოსხივდება. თუ ადამიანი რაიმე გარეგანი მოვლენის შესახებ თავის აღტაცებას თუნდაც მხოლოდ ერთი ხმოვნით გამოხატავს – ა...! ეს უკვე დასრულებული ემოციაა და ეს ერთი ბგერაც კი, თავის მხრივ, უკვე დასრულებულ სიტყვას წარმოადგენს.

გარე შთაბეჭდილების მიხედვით, ადამიანის ვეგეტაციურ, ანუ ეთერულ ნაწილში გამომუშავებული სიმბოლური შესატყვისიც შეიძლება უკვე დასრულებული სიტყა იყოს. თავისი აკუსტიკური ფორმით, ცხადია, ის შეიძლება სრულიადაც არ იყოს მიბაძვითი.

როცა სიტყვის ხატოვანი სიმბოლო მხოლოდ თანხმოვნებით გამოიხატება, როგორც არ უნდა ზუსტად გამოხატავდეს იგი საგანს, ან მოვლენის შინაარსს, მაინც ჩნდება მოთხოვნილება, რომ რალაც სახით მან მესამე ფაზის ელემენტებიც შეიძინოს და ადამიანის შინაგან განცდას დაუკავშირდეს. ესე იგი, თანხმოვნების ჩონჩხი რალაც დოზით ადამიანური გრძნობების გამომხატველი ხმოვნებით „შეიმოსოს.“

სიტყვების მეორე სტადიაზე სიტყვათა წარმოქმნა განსაკუთრებით ნათლადაა გამოკვეთილი სემიტურ ენებში.

სემიტური ენებისთვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი ცალკე გამოყოფენ თანხმოვანთა ჯგუფებს. ეს ჯგუფები უკვე დამოუკიდებელი სახითაც გარკვეული მნიშვნელობის შემცველნი არიან. შემდეგ ხდება ამ თანხმოვანთა ჩონჩხედის ხმოვნებით შემოსვა – ხმოვნებით გახმოვანება.

სემიტურ ენებს აქვთ ტენდენცია მყარი ბგერითი სურათ-ხატების შექმნისაკენ. ესე იგი, სემიტური ენების პრაფორმები

ძირითადად ადამიანის ვეგეტაციური ნაწილიდან მომდინარე ბგერით ხატებს ეყრდნობა.

ენათმეცნიერებაში დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ სემიტური ოჯახის შემადგენელ ენებს სხვებზე მეტი მდგრადობა აქვთ. აქ თითქმის არ გვხვდება რთული სიტყვები. ძალზე მყარია სიტყვის ფუძის შემადგენლობა. იგი ძირითადად მოიცავს სამ თანხმოვანს: ეს თანხმოვნები უცვლელადაა შენარჩუნებული ამ სიტყვის ყველა ფორმაში. აშკარაა, რომ სემიტურში თანხმოვნები გამოხატავენ სიტყვათა „კონკრეტულ აზრს“, ხოლო მონაცვლე ხმოვნები ცალკეული სუფიქსებისა და პრეფიქსების საშუალებით მხოლოდ გრამატიკულ კატეგორიას აღნიშნავენ.

სემიტურმა ენებმა ნაკლებად განიცადეს ფონეტიკური ცვლილებები, რის გამოც თანხმოვნები მათში უკეთ შემოინახა, ვიდრე სხვა ენებში.<sup>17</sup>

ინდოევროპულ ენებში უფრო აქტიური ადამიანის გრძნობადი ნაწილია. მათში სიტყვათა პრაფორმები უფრო მეტად შინაგან განცდებს უკავშირდება.

კიდევ უფრო განსხვავებული მდგომარეობაა ჩინურ ენაში. მასში ცალკეული მარცვლები, ან მარცვალთა მცირე ჯგუფები, უკვე დასრულებულ შინაარსებს გამოხატავენ. მათი ერთმანეთზე მიერთებით ახალი სიტყვები წარმოიქმნება.

ცხადია, იმ შორეულ წარსულში, როცა ადამიანებში ინდივიდუალობა ნაკლებად იყო გამოკვეთილი და კოლექტიური ცნობიერების ელემენტები ჭარბობდა, სამეტყველო ენა იმ სახით ვერ ჩამოყალიბდებოდა, როგორი სახეც მას ჩვენ ეპოქაში აქვს. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მაშინ თანამედროვე ენების მხოლოდ პირველადი ფორმები, მათი საფუძვლები შეიქმნა. ადამიანის „მე“-ს განვითარების პროცესში, რასაც შედეგად სამშვივნელის ძალების გაძლიერება მოჰყვა, ენამ ევოლუციის გრძელი გზა განვლო. ინდივიდუალიზაციის განვითარების პროცესმა ენის ფორმასაც, ცხადია, მკვეთრი კვალი დაამჩნია. ადამიანური „მე“ აქტიურად ჩაერია ენების ფორმირების პროცესში, რამაც ენების შემდგომ დიფერენცირებას შეუწყობ ხელი.

პატარა ბავშვი მეტყველების ჩამოყალიბების ადრეულ სტადიაზე უკვე ცდილობს თავისი შინაგანი განცდები გარეგან შთაბეჭდილებებს ბგერებით დაუკავშიროს. როცა იგი თავისი ახლობლების დანახვაზე გამოსცემს ბგერებს „დე“, „მა“, „ბა“, ... იგი უკვე ქვეცნობიერად არკვევს თუ რა გარე შთაბეჭდილებებს შეესაბამება ეს მარცვლები. ამ კავშირში იგი თავის შინაგან განცდას, ამ შემთხვევაში, სიხარულის განცდას ეფუძნება. ამ მაგალითში კარგად ჩანს კაცობრიობის იმ შორეული ეპოქის განწყობილება, როცა ის მსგავსი მთვლემარე ცნობიერების საფეხურზე გარესამყაროს ბგერით შესატყვისებს ქმნიდა.

დღეისთვის, როცა კაცობრიობას ძალზე დიდი გამოცდილება დაუგროვდა როგორც მისტიკის, ასევე სამეცნიერო კვლევის სფეროში, ალბათ შესაძლებელია კიდევ ერთხელ შევხვით ბგერათა გამომსახველობის საკითხს.

ნებისმიერი ენის ლექსიკური შემადგენლობა ძალზე არაერთგვაროვანია. ენის ლექსიკის შემადგენელ ყოველ სიტყვას საკუთარი დამოუკიდებელი ისტორია აქვს. ეს სიტყვები თავიანთი ასაკითაც მკვეთრად განსხვავებულია. მათ ასაკში განსხვავება საუკუნეებით და ზოგჯერ ათეული საუკუნეებითაც კი განისაზღვრება.

ცხადია, ასეთ პირობებში ძალზე ძნელია ცალკეული სიტყვების წარსულს მივდიოთ. დროში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, ეს ძალზე რთული ამოცანაა.

ამ სირთულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია ლექსიკის გარკვეული კლასიფიკაცია სიტყვათა წარმომავლობის გათვალისწინებით. გარკვეული პირობითობით ეს კლასიფიკაცია ამგვარად შეიძლება მოვახდინოთ:

### *1. „ბგერათმეტყველებითი“ სიტყვები.*

ეს ის სიტყვებია, რომლებში შემავალი ბგერებიც პირველყოფილი სახით გადმოსცემენ სიტყვის შინაარსს. ესე იგი, სიტყვის შინაარსი მასში შემავალი ბგერების მნიშვნელობების პირდაპირი გამოხატულებაა. ამ ბგერების სხვადასხვაობა სხვადასხვა ენაში განპირობებულია ამ ხალხების მსოფლმხედველობის განსხვავე-



ბულობით, მათი ხედვის სხვადასხვა კუთხით.

ამავე დროს, ენების საფუძვლების მსგავსებაზე საუბრისას სწორედ სიტყვების ეს კლასია გასათვალისწინებელი, რადგან ცალკეული ბგერების მნიშვნელობები მათში ძირითადად საერთოა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვები, რომლებსაც ძველი რელიგიურ-მისტიკური მოძღვრებები წმინდა სიტყვებად განიხილავდნენ, სწორედ ამ ჯგუფშია მოქცეული.

ამგვარი სიტყვები, ხშირად მოკლეა, მცირემარცვლიანი, ზოგჯერ ერთმარცვლიანიც კი.

## 2. „ხმაბაძვითი სიტყვები“

ეს სიტყვები ამა თუ იმ მოვლენის, ანდა არსების მიერ გამოცემული ხმების მიბაძვაა. როგორც აღინიშნა, ქართულში ასეთი სიტყვებია: ყიყინი, კაკანი, ბრახუნი, სისინი, ყვავი და ა. შ.

ამგვარი სიტყვები ყველა ენაშია და სხვადასხვა მოვლენებს გამოხატავს. ამგვარ სიტყვებში კონკრეტული ბგერების მნიშვნელობით შინაარსების წარმოჩენა, ცხადია, კორექტული არ არის. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგჯერ ამ ბგერათა შინაარსები გარკვეულ კანონზომიერ კავშირშიც აღმოჩნდეს შესაბამის მოვლენასთან ან არსებასთან.

## 3. „მომსგავსებითი“ სიტყვები.

„მომსგავსებითი“ სიტყვები იქმნება ერთი ცნებიდან წარმოშობილი ასოციაციის სხვა ცნებაზე გადატანით. მაგალითად, თევზის ერთ-ერთ სახეობას ჰქვია „ხმალა“. ეს სიტყვა წარმოიშვა „ხმლის“ ცნებისგან. ხმალს, ცხადია, პირდაპირი კავშირი არა აქვს თევზ „ხმალასთან“, მაგრამ რადგან ეს თევზი რალაც ნიშნით, კონკრეტულად ფორმით, ხმლის ასოციაციას ინვეეს, მას ამგვარი სახელი დაერქვა. ცხადია, თევზის სახელ „ხმალაში“ ბგერების შინაარსები ისევე ვერ შეესაბამება მათით გამოხატული ცნების შინაარსს, როგორც ეს მის პირველად ფორმაში – „ხმალშია“.



#### 4. „შედგენილი“ სიტყვები.

ეს სიტყვები სხვადასხვა სიტყვების შეერთებითაა მიღებული. შედგენილ სიტყვაში შეიძლება მონაწილეობდეს ორი, სამი და, ზოგჯერ, ოთხი სიტყვაც კი. მაშინაც კი, როცა რთული სიტყვის შემადგენელ ყველა სიტყვას ცალ-ცალკე სრულიად დასრულებული შინაარსი აქვს, შედგენილი სიტყვის შინაარსი მაინც არ დაიყვანება მათი მნიშვნელობების მექანიკურ ჯამზე. შედგენილი სიტყვების ცალკეული ბგერების მნიშვნელობებით განხილვაც ცდომილების დიდ ხარისხს შეიცავს.

#### 5. „ხელოვნური“ სიტყვები.

ეს სიტყვები საზოგადოებაში ახალი ცნების გაჩენისას შეიძლება წარმოიშვას. ისინი ძირითადად ტერმინების სახით არსებობენ. ასეთ დროს შეიძლება მას სრულიად კონკრეტული ავტორიც ჰყავდეს, რომელიც პირადი შეხედულებით ამა თუ იმ მოვლენას ან საგანს სახელს არქმევს. ხშირად ეს სახელი მეტყველებაში მექანიკურად მკვიდრდება და როგორც ტერმინი, ენიდან ენაშიც კი გადადის. ამგვარი მოვლენა უფრო მეტად ბოლო საუკუნეებში გაჩენილი ტერმინებისთვისაა დამახასიათებელი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იმდენად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რომ ენები ვეღარ ასწრებენ შესაბამისი ლექსიკის საკუთარ ენობრივ ნიაღში გამომუშავებას და ხშირად ტერმინს სხვა ენიდან მექანიკურად იღებენ. ცხადია, ამგვარ სიტყვებშიც არ არის მართებული ბგერების შინაარსების მიხედვით ვარკვიოთ სიტყვის არსი.

#### 6. „ნასესხები“ სიტყვები.

ეს ის სიტყვებია, რომლებიც ერთი ენიდან მეორეშია გადასული. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ეს სიტყვა ნებისმიერი ზემოთ განხილული სახისა იყოს. შეიძლება ის იყოს სხვა ხალხის მიერ შექმნილი „ბგერათმეტყველების“, „ხმამიბაძვის“, „შედგენის“, ანდა „ხელოვნური“ გზით. თუ სიტყვა „ბგერათმეტყველებითია“, იგი რომელიმე ხალხის ფსიქიკური განწყობილებიდან

მომდინარეობს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მიმღები ხალხის ფსიქიკური განწყობილებისთვისაც იგი შესაბამისი აღმოჩნდა, რადგანაც მის ლექსიკაში დაიმკვიდრა ადგილი.

რომელიმე ენის განხილვისას, მისი ლექსიკური მარაგიდან აუცილებელია გამოირჩეს ის სიტყვები, რომლებიც ამ ენის პირველად სახეს განსაზღვრავენ. მხოლოდ ამ სიტყვებზე შეიძლება მსჯელობა მათი შემადგენელი ბგერების მიხედვით. რადგან სიტყვათა გამორჩევის ეს პრინციპი მკაცრ მეცნიერულ მეთოდუკას არ ეფუძნება, ბუნებრივია, დასაწყისშივე უნდა დავუშვათ ცდომილების გარკვეული ხარისხი.

სამყარო, რომელიც ადამიანის გარეშე არსებობს, არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია ამ ადამიანის შეხედულება მის შესახებ. ცალკეული ცნებები ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობს, ხოლო ადამიანს მათ შესახებ გარკვეული შეხედულებები გააჩნია.

ამა თუ იმ ხალხის წარმოდგენები მის მსოფლმხედველობას ქმნის. ეს წარმოდგენები გარკვეულად სუბიექტურია. ამავე დროს იგი ცდომილების გარკვეულ ხარისხსაც შეიცავს. ადამიანი ბგერების საშუალებით საკუთარ წარმოდგენებს სიტყვებად გამოსახავს. რადგან სიტყვები წარმოდგენებიდან მომდინარეობენ, ისინიც ანალოგიური ხასიათისანი არიან.

მეცნიერებაში, ის ფაქტი, რომ ყველა ენაში მსგავსი ბგერები გვხვდება, თითქოსდა თავისთავად იგულისხმება. მთელი კაცობრიობისთვის ერთი და იმავე ბგერების არსებობა ზოგადად ადამიანის ფიზიკური ორგანიზაციიდან მომდინარედ ითვლება.

ბგერები სხვადასხვა ხალხის წარმოდგენებზე არ არის დამოკიდებული. მათი მნიშვნელობები მთელი კაცობრიობისთვის ერთი და იგივეა და მთელი კაცობრიობის ქვეცნობიერ სფეროში ერთნაირად ვლინდება.

როცა ესა თუ ის კოლექტივი რაიმე სიტყვას ქმნის, იგი გარკვეული წარმოდგენის შესაბამის ბგერებს თავისი კოლექტიური ცნობიერების სიღრმეებიდან იღებს.

მაგალითისთვის განვიხილოთ ისეთი საყოველთაოდ ცნო-

ბილი ცნება, როგორცაა „მზე“. ცხადია, მსოფლიოს ყველა ხალხს აქვს „მზის“ განცდა. ეს განცდა მათი ყოველდღიური გამოცდილებიდან მომდინარეობს. აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ ტროპიკული ქვეყნების მკვიდრთ, ჩრდილოელების მსგავსი წარმოდგენები ვერ ექნებათ მზის შესახებ. ერთი და იმავე კლიმატურ სარტყელშიც წარმოდგენები განსხვავებული შეიძლება იყოს, რადგან ისინი მხოლოდ მზის ფიზიკური აღქმიდან არ მომდინარეობენ. დიდ როლს თამაშობს ამ ხალხების რელიგიური და ტრადიციული შეხედულებებიც. ესე იგი, „მზის“ ცნებასთან მიმართებაში ადამიანებს აქვთ სხვადასხვა წარმოდგენები. როცა ესა თუ ის ხალხი „მზის“ ცნების შესაბამის სიტყვას ქმნის, მას უწევს „მზის“ შესახებ არსებული წარმოდგენებიდან ერთ-ერთს უპირატესობა მიანიჭოს – მრავალი წარმოდგენიდან ერთ-ერთი გამოარჩიოს. ასეთი წარმოდგენები უამრავი შეიძლება იყოს. პირობითად მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი:

მზე ანათებს.

მზე ათბობს.

მზე წვავს.

მზე ცეცხლოვანი ბურთია.

მზე სიბნელეს ამარცხებს.

მზე მცენარეებს ვერტიკალურად ზრდის,  
ვერტიკალობას უნარჩუნებს.

მზე მცენარეებს აჭკნობს.

მზის სულმა – ზეციურმა რაინდმა ბნელეთის  
გველეშაპი დაამარცხა.

მზე დროის მონაცვლეობას განსაზღვრავს  
(დღე-ღამე, წელიწადი).

მზე ადამიანის „მე“-ს თავისუფლებას ანიჭებს  
– ბედისწერისგან ათავისუფლებს.

როცა რომელიმე ხალხში ამ წარმოდგენებიდან ერთ-ერთი გამორჩეულია, უკვე ქვეცნობიერ სიღრმეებში ხდება ამ ცნების შესაბამისობა იმ ბგერებთან, რომლებიც ყველაზე უფრო

ზუსტად გამოხატავენ ამ განწყობილებას. ხალხის ცნობიერებაში ამოტივტივდება ამ ცნების შესაბამისი განცდის აკუსტიკური გამოხატულება. ასე იქმნება სიტყვები. სხვადასხვა ხალხში განსხვავებულია წარმოდგენები და ამდენად განსხვავებულია ერთი და იმავე ცნებასთან დაკავშირებული სიტყვებიც. მაგრამ, რადგან არც წარმოდგენების რაოდენობაა უსასრულო და არც ბგერების, ხშირად სხვადასხვა ხალხი ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად მსგავს სიტყვებს ქმნის.

თუ რომელიმე ხალხი ყოველი წარმოდგენისთვის ცალცალკე სიტყვას შექმნის, მის ენაში უამრავი სინონიმი გვექნება. სინონიმების სიმრავლე მეტყველებას ართულებს, თუმცა მას შინაარსობრივად ამდიდრებს.

ასე იქმნება სიტყვები – ყალიბდება ამა თუ იმ ხალხის ლექსიკური მარაგი. შემდეგში ეს სიტყვები მაღალი მდგრადობით გამოირჩევიან. მრავალი თაობის მანძილზე ინარჩუნებენ ერთხელ მიღებულ ფორმას.

დროის შემდეგ ეტაპებზე, ანუ დროის რომელიმე ქრილში, ახლად მოსულ თაობას მშობლიური ენა მზა სახით ხვდება. ბავშვი თავად არ ირჩევს სამეტყველო ენას. იგი იმ გარემოთია განსაზღვრული, რომელშიც ეს ბავშვი დაიბადა. მან მზა სახით მიიღო ცნებების შესაბამისი სიტყვები. ეს სიტყვები კი მისი წინაპრების წარმოდგენებს შეესაბამება. ცხადია, მისთვის არავის უკითხავს ამ ცნების შესახებ არსებული წარმოდგენებიდან რომელს აირჩევდა. რადგან სიტყვა მას მზა სახით მიეცა, ესე იგი, მას ქვეცნობიერად ასევე მზა სახით მიეწოდა ის წარმოდგენა, რომელიც თავის დროზე მისმა წინაპარმა ამ სიტყვით გამოსახა. გამოდის, რომ ენა არის წარმოდგენათა ჩამოყალიბებული სისტემა, რომელსაც ადამიანი ენასთან ერთად ქვეცნობიერად მზა სახით იღებს და ამდენად გარკვეული სახით განსაზღვრავს კიდევ მის ცნობიერებას.

ენის შეთვისებისას ადგილი აქვს იმ მოვლენის უკუპროცესს, რაც თავად ამ ენის შემადგენელი სიტყვის შექმნასთან იყო დაკავშირებული. ენა დიდი დოზით განსაზღვრავს ამა თუ იმ ხალხის ცნობიერებას, ენა გარკვეულად „აიძულებს“ კიდევ

ადამიანს თავისი წინაპრების წარმოდგენების შესაბამისი ცნობიერება ჰქონდეს.

როგორც ითქვა, ადამიანის სამშენველში სიტყვის წარმოქმნის პროცესს განსაზღვრავს, ერთი მხრივ, მის ცნობიერ სფეროში რაიმე გარეშე საგნის ან მოვლენის შესახებ არსებული წარმოდგენები და, მეორე მხრივ, მისი ქვეცნობიერი სფეროდან ამოტივტივებული ბგერათა შინაარსები. ამ პროცესში ყველაზე ბუნდოვანი, ცხადია, ის საკითხია, თუ რა გზით ხვდებიან ბგერების ეს შინაარსები ადამიანის სამშენველში. ასევე გასარკვევია საკითხი, ეს შინაარსებიც წარმოდგენებია, თუ მათ ობიექტური რეალობის სახე აქვთ? თუკი ისინი ობიექტური შინაარსების მატარებელი არიან, კოლექტივის რა საზღვრებში ვრცელდებიან ეს შინაარსები – მხოლოდ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხისთვის არიან დამახასიათებელი, თუ მთელი კაცობრიობისთვის უცვლელი მნიშვნელობები აქვთ?

სხვანაირად რომ ვთქვათ, სიტყვათწარმოქმნის პრობლემის გადასაწყვეტად ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ადამიანის არაცნობიერი სფეროდან ამოტივტივებულ ბგერათა შინაარსების გაცნობიერება.

## თავი 2

### გვირგვინი

მიუხედავად იმისა, რომ მეტყველებაში თანხმობები და ხმობები ყოველთვის შერეული სახით არსებობენ, მათი ზოგადი თვისებების განხილვისას აშკარაა, რომ ბევრათა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს მკვეთრად ემიჯნება. მათ შორის ურთიერთგადასვლის შესაძლებლობა ძალზე მცირე დიაპაზონში არსებობს.

მეტყველებაში ხმობებისა და თანხმობების მეშვეობით ადამიანი ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებულ განწყობილებას გამოხატავს.

ხმობები ადამიანში გამოხატავენ იმას, რაც მასში გრძნობებისა და ემოციების სახით არსებობს, ანუ ხმობები შინაგანი გრძნობების გამოხატულებაა. შესაძლოა, ეს გრძნობები გარეშე საგნებით იყოს გამოწვეული, მაგრამ მეტყველებისას ხმობანი ადამიანის შინაგან განწყობას გადმოსცემს.

თანხმობები საგანთა გარკვეულ ფორმებს მიესადაგებიან. თანხმობით ადამიანი იმას ახმობანებს, რასაც გარეგანი საგნიდან გამომდინარე ნარმოისახავს.

თანხმობებისა და ხმობების მკვეთრი გამიჯვნა კარგად ჩანს ადამიანისთვის დამახასიათებელ ისეთ ბუნებრივ მოვლენაში, როგორცაა სიმღერა, გალობა. სიმღერის გამომსახველობითი მხარე ძირითადად ხმობებითაა განსაზღვრული. თანხმობების უღერადობას უმნიშვნელო ადგილი უკავია. ზოგიერთ სიმღერაში თანხმობები პრაქტიკულად არც კი ისმის.

სიმღერისას ადამიანის შინაგანი, გრძნობადი ბუნებაა აქტიური. ადამიანი თითქოს თავისი გრძნობების შიგნიდან გარეთ გადმოდვრას ესწრაფვის. ამ განწყობას სწორედ ხმობები გადმოსცემენ.

დიამეტრულად სანინალმდეგო სურათია, როცა ადამიანი

რალაც აზრს მეტყველებით გადმოსცემს. ამ შემთხვევაში აშკარად თანხმონები დომინირებენ. იგრძნობა, რომ გამოთქმული აზრების შინაარსებს სწორედ ისინი გამოხატავენ.

შესაძლებელია სიმღერების ტექსტები და მეტყველებით გადმოცემული წინადადებები მსგავსიც კი იყოს, მაგრამ მათი გამომსახველობა სიმღერისას და მსჯელობისას დიამეტრულად განსხვავებული იქნება.

ზედაპირული დაკვირვებითაც აშკარაა, რომ თითოეული ხმოვანი ცალკე აღებულიც კი ნათლად გადმოსცემს ადამიანის შინაგან განწყობილებას (ო...! ა...! ი...! ე...! უ...!). ამავე დროს, ეს ერთბაგერიანი „სიტყვები“ მთელი კაცობრიობისთვის ერთსა და იმავეს გამოხატავს. მეტყველების ამ ფრაგმენტში მთელი კაცობრიობა ერთ ენაზე მეტყველებს. ცალკეული გამონაკლისების გარდა (მაგალითად, ს...! ჰმ...!) თანხმონები ცალკე ბგერების წარმოთქმისას დასრულებულ განწყობილებას ვერ ქმნიან. ხმონებისგან განსხვავებით, თანხმონები ადამიანის განწყობილებას გარეგანი საგნებისა და მოვლენების მიმართ გამოხატავს. რადგან ეს განწყობილებები სხვადასხვა ადამიანში ერთი და იმავე მოვლენის მიმართაც კი სრულიად სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, მათი საშუალებით ურთიერთგაგება რთულია.

თანხმონები ქმნიან სიტყვის „ხერხემალს“, ისინი განსაზღვრავენ სიტყვის შინაარსს. სიტყვის თანხმონებით შედგენილ ჩონჩხს ხმონები შინაგანი განცდებით „აცოცხლებენ“, სამეტყველო პლასტიურობას ანიჭებენ.

სხვადასხვა ენაში თანხმონანთა რაოდენობა განსხვავებულია. ზოგი თანხმონანი თითქმის ყველა ენაში გვხვდება, ზოგი კი მხოლოდ ცალკეულ ენებში არსებობს. ამავე დროს თანხმონებს ერთმანეთთანაც გარკვეული „ნათესაობითი“ ურთიერთობები აქვთ. ეს ნათესაობა ფონეტიკური თვალსაზრისით ძირითადად მათი წარმოთქმისა და ჟღერადობის თავისებურებებიდან მომდინარეობს.

საზოგადოდ, ბგერები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: მჟღერი და ყრუ ბგერები. ყველა სამეტყველო ბგერა ინარმოება ჰაერნაკა-

დით – ამოსუნთქვის გზით. ამავე დროს, სხვადასხვა ბგერა სუნთქვით პროცესზე სხვადასხვაგვარადაა დამოკიდებული. არსებობენ ისეთი ხშული თანხმოვნები, რომლებსაც ჰაერის დიდი მარაგი არ სჭირდებათ. დახშული ყელის შემთხვევაშიც კი მის ზემოთ პირის ღრუში არსებული უმნიშვნელო ჰაერი საკმარისია მათ წარმოსათქმელად. მაგალითად, ქართულში ამგვარი ხშული თანხმოვნებია: **პ-ტ-წ-ჭ-კ-ყ**. ასეთი ხშული თანხმოვნები არსებობს სხვა ენებშიც. ამ ერთგვარ უსუნთქველ თანხმოვნებს ყელხშულ თანხმოვნებს, ზოგჯერ კი აბრუპტივებს უწოდებენ.

აბრუპტივების არსებობა ქართულსა და კავკასიურ ენებში ქმნის მათი ხშული თანხმოვნების სამეულბრივ სისტემას. მჟღერებს შეესაბამება ჰომორგანული ყრუ ბგერები, ესე იგი, ის ბგერები, რომლებიც ფიზიოლოგიური თვალსაზრისით მსგავსად წარმოიქმნებიან.

ქართულ ენაში არსებობს ხშულ თანხმოვანთა ხუთი სრული სამეული:

1. ბ – ფ – პ
2. დ – თ – ტ
3. ძ – ც – წ
4. ჯ – ჩ – ჭ
5. გ – ქ – კ

ამ სამეულებში პირველი თანხმოვანი მჟღერია, მეორე – ყრუ ფშვინვიერი, ხოლო მესამე – ყრუ აბრუპტივი, ანუ ყელხშული.

ამ ჯგუფებში არ ხვდება კიდევ ერთი ხშული თანხმოვანი **ყ**, რომელიც თავის მხრივ, აბრუპტივია. ენათმეცნიერები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა იგი მე-წ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო, ხოლო შემდეგ ამ ჯგუფში შემავალი მჟღერი და ყრუ ფშვინვიერი წევრები დაიკარგა.<sup>18</sup>

სვანურ ენაში ეს მეექვსე სამეული სრულია.

იმ ენებში, სადაც აბრუპტივები არაა, ხშულ თანხმოვანთა სისტემა, ჩვეულებრივ, წყვილებითაა წარმოდგენილი. მაგალითად, ქართულ (**ბ – ფ – პ**) -ს ინგლისურში შეესატყვისება **b –**



p, ხოლო (დ - თ - ტ) -ს d - t.

ხშილი თანხმოვნების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს აფრიკატი, ანუ „ნახევრადხშილი“. ქართული აფრიკატებია **ძ - ც - წ, ჯ - ჩ - ქ**.

აფრიკატი რთული ხშილი თანხმოვანია. მიღებულია აზრი, რომ იგი შედგენილია მარტივი ხშილისა და მისი ჰომორგანული სპირანტისაგან. ქართული ენის აფრიკატები შემდეგი შედგენილობისაა:

- ძ - დ + ზ
- ც - თ + ს
- წ - ტ + ს
- ჯ - დ + ჟ
- ჩ - თ + შ
- ქ - ტ + შ

როგორც ვხედავთ, ამ შედგენილობაში პირველი ბგერა ხშილია, ხოლო მეორე სპირანტი. მათი შერწყმა ქმნის ახალ განუყოფელ თანხმოვანს. ამ წყვილთა შერწყმის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ყოველი წყვილიდან, მართალია, ერთი ხშილია, ხოლო მეორე სპირანტი, მაგრამ მათი წარმოქმნა ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ერთგვაროვანია. მაგალითად, **ძ**-ს შემადგენელი ორივე ბგერა, ხშილი **დ** და სპირანტი **ზ** წინაენისმიერია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ქართული და, საერთოდ, კავკასიური ენებისთვის დამახასიათებელი ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება. აქ ხშილი თანხმოვნების სამეულები ყრუ ბგერებს სრულიად დამოუკიდებელი ფონემატური მნიშვნელობები აქვთ. მაგალითად, ხშილი ბგერები **კ-ქ, ტ-თ, ჰ-ფ** ამ სამეულებში კი შედიან, მაგრამ სიტყვის შინაარსებში მათ თავ-თავისი დამოუკიდებელი შინაარსები აქვთ. არაკავკასიური ენების უმრავლესობაში, სადაც ხშილი თანხმოვნების წყვილებია წარმოდგენილი და არა სამეულები, აღნიშნული ფონემატური განსხვავება გამოკვეთილი არ არის. იქ ბგერების ურთიერთჩანაცვლება ხშირად შინაარსის შეუცვლელად ხდება. მაგალითად, ერთი ენიდან მეორეში გადასული **კ** თუ **ქ**-თი შე-

იცვალა, ამით სიტყვის შინაარსში მნიშვნელოვანი ცვლილება არ ხდება. კავკასიურ ენებში ეს საკითხი უფრო რთულადაა. კავკასიური ენების ეს სირთულეები ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის და, ამდენად, ამ საკითხზე არ შეგჩერდებით. ხშირ თანხმოვნებზე საუბრისას ჩვენ მთელი ჯგუფების ზოგად ნიშან-თვისებებზე გავამახვილებთ ყურადღებას, ხოლო ამ ჯგუფების შიგნით არსებულ განსხვავებებს ცალკე არ განვიხილავთ. შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ განსხვავებათა გარკვევა ცალკე კვლევის საგანია.

ქართული ენისთვის დამახასიათებელი ძირითადი თანხმოვნები ფონემური დაჯგუფების მიხედვით შეიძლება ასე წარმოდგეს:

ხშილი თანხმოვნები:

ლაბიალი	<b>ბ, პ, ფ</b>
დენტალი	<b>დ, ტ, თ</b>
ველარი	<b>გ, კ, ქ</b>
ფარინგალური	<b>ყ</b>

აფრიკატები:

სისინა	<b>ძ, ც, წ</b>
შიშინა	<b>ჯ, ჩ, ჭ</b>

სპირანტები:

სისინა	<b>ზ, ს</b>
შიშინა	<b>ჟ, შ</b>
უკანაენისმიერი	<b>ღ, ხ</b>
ფშვინვიერი	<b>ჰ</b>

სონანტი: **ვ**

სონორები: **ლ, რ, მ, ნ**

ვარაუდობენ, რომ ფონემა **ჰ** ძველ ქართულში არც კი

არსებობდა. იგი ძველ ქართულ ტექსტებში VII საუკუნიდან გვხვდება. მის გამოჩენას **ხ** ფონემის გარდაქმნით ხსნიან.<sup>19</sup>

ანალოგიური ვარაუდი არსებობს **ჟ** ფონემასთან დაკავშირებითაც.<sup>20</sup>

ქართული ენისთვის დამახასიათებელი სხვა თანხმოვნებიც მეტ-ნაკლებ ნათესაობას ამჟღავნებენ ამ ჯგუფებთან.

თანხმოვანთა წარმოდგენილი დაჯგუფება ენათმეცნიერების სფეროს განეკუთვნება. იგი მკაცრ გრამატიკულ კანონებს ექვემდებარება.

როგორც ირკვევა, ბგერათა შესახებ არსებული ძველი მისტიკური წარმოდგენებიც ნათლად არჩევდნენ ბგერების „ნათესაობის“ საკითხს; უფრო მეტიც – ბგერით მისტიკაში მოცემული დაჯგუფების სურათი დიდი სიზუსტით ემთხვევა თანამედროვე ენათმეცნიერების მონაცემებს.

ასტროლოგიური თვალსაზრისითაც კი თანხმოვნები ანალოგიურადაა დაჯგუფებული. ზოდიაქურ არეებზე თანხმოვანთა ჯგუფები სწორედ იმ სახითაა განანილებული, როგორადაც იგი ფონემურ სისტემაშია მოცემული.

ცხადია, ერთსა და იმავე ფონემურ ჯგუფში შემავალ თანხმოვნებს შორისაც ბევრი განსხვავება არსებობს, მაგრამ ქვემოთ თანხმოვანთა მნიშვნელობებზე საუბრისას, მათ სწორედ წარმოდგენილი ჯგუფების სახით განვიხილავთ. ჩვენ შევეხებით მთელი ჯგუფის ძირითად ნიშნებს. ამ ნიშნებს ჯგუფში შემავალი ბგერები მეტ-ნაკლები სიმკვეთრით გამოხატავენ. ცხადია, ყოველ მათგანს თავისი განსაკუთრებული ნიუანსი ახლავს ამ შინაარსების გამოხატვაში.

თანხმოვნების საშუალებით ადამიანი ცდილობს გარეგან სამყაროში შეღწევას. თანხმოვნის წარმოთქმისას ადამიანი თითქოს თავისი შინაგანიდან გარე სამყაროში გამოდის და გარეშე საგანთან ან მოვლენასთან გაერთიანებას (შერწყმას) ესწრაფვის. ხმოვნის წარმოთქმისას ის თითქოს პირიქით, საკუთარ სამყაროში მოქმედებს, საკუთარ შინაგან გაცდებს ახმოვანებს.

სიტყვები, ჩვეულებრივ, მარცვლებისგან შედგება. ყოველ მარცვალში აუცილებლად არის ხმოვანი. მარცვლების უმრავ-

ლესობა ხმოვანთან ერთად ერთ ან რამდენიმე თანხმოვანსაც შეიცავს. მარცვლის შემადგენლობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია, მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებული მაინც ერთი თანხმოვნისა და ერთი ხმოვნისგან შედგენილი მარცვალია. ესე იგი, ყველაზე გავრცელებულია მარცვალი (თანხმოვანი + ხმოვანი). ძველ ენებში, რომლებიც დღეისთვის უკვე მკვდარი ენებია, ანდა მომაკვდავ სტადიაშია, უფრო მეტადაა დამახასიათებელი ერთი თანხმოვნისა და ერთი ხმოვნის მონაცვლეობის პრინციპი, ვიდრე თანამედროვე ენებში<sup>21</sup>.

ბევრ ენაში საერთოდ არ არსებობს ისეთი მარცვალი, რომელიც თანხმოვანს არ შეიცავს და მხოლოდ ხმოვნითაა წარმოდგენილი.<sup>22</sup>

ზოგიერთი ენისთვის უცხოა ორი თანხმოვნის ერთად განლაგება. ისინი ძირითადად ხმოვანთან ერთად მონაცვლეობენ. მაგალითად, ჩინური ენებისთვის არ არის დამახასიათებელი (თანხმოვანი + თანხმოვანი) კონსტრუქციები.<sup>23</sup>

ანალოგიური ტენდენციები არსებობდა ამერიკის აბორიგენული და აფრიკური ტომების ენებშიც.<sup>24</sup>

ძველ სემიტურ, კავკასიურ, ალთაურ და თანამედროვე დასავლურ ენებში თანხმოვნების ან ხმოვნების ერთად თავმოყრა უჩვეულო შემთხვევას არ წარმოადგენს.

თუ სიტყვის წარმოთქმის პროცესს შენელებული სახით წარმოვიდგენთ, შეიძლება შევნიშნოთ, რომ თანხმოვნებისა და ხმოვნების მონაცვლეობით, ფაქტობრივად, სახეზე გვაქვს ადამიანის მიერ საკუთარი არსების დატოვებისა და უკან დაბრუნების ტენდენცია.

აღნიშნული თვალსაზრისით, თანხმოვნებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სპირანტებსა და სონანტებში გამოკვეთილად შეინიშნება გარეთ სწრაფვის ტენდენცია. ხშულ თანხმოვნებში ეს სწრაფვა შედარებით შეზღუდულია. ხშული ბგერის წარმოთქმისას ადამიანს თითქოს უჭირს გარეთ გასვლა, გარე საგანთან შერწყმა.

სრულიად განსაკუთრებულია **რ** ბგერა. იგი მთრთოლავი ბგერაა და ერთდროულად ორივე ტენდენციას ამჟღავნებს.

მას როგორც გარეგანში გახსნის, ასევე შინაგანში დარჩენის ტენდენცია ერთდროულად ახასიათებს. კიდევ ერთი განსაკუთრებული ბგერაა ლ. იგი მკვეთრად ტალღისებურ სახეს ამჟღავნებს. იგი უფრო შინაგანიდან ვლინდება.<sup>25</sup>

ახლა ყურადღება მივაქციოთ თანხმოვნისა და ხმოვნის ურთიერთმიმართებას თავად მარცვლის შიგნით.

ამ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არიან ისინი განლაგებული. შესაძლოა წინ ან თანხმოვანი იდგეს, ან ხმოვანი. თუ ხმოვანი თანხმოვნის წინ დგას (მაგალითად, ინ, ელ, იმ...), მაშინ რაიმე გრძნობის გამოხატვისას შინაგანში დარჩენის ნება უფრო ძლიერია, ხოლო თუ ხმოვნის წინ თანხმოვანია (მაგალითად, ნი, ლე, მი...), მაშინ ადამიანი შიგნიდან გარეთაა მიმართული, ადამიანი უფრო მეტად მიეცემა გარემოს. ზოგჯერ ერთი თანხმოვანი ორ ხმოვანს შორისაც შეიძლება იყოს მოქცეული. ეს რიტმულ ელემენტს განსაზღვრავს.<sup>26</sup>

ესე იგი, როცა ჯერ თანხმოვანი გამოითქმის და შემდეგ მოსდევს ხმოვანი, ეს თანწყობა განსაზღვრავს ადამიანის სწრაფვას შეცნობის ობიექტი თავის გარეთ მოიძიოს.

თუ პირიქით, ჯერ ხმოვანია წინ და შემდეგ მოსდევს თანხმოვანი, ეს თანწყობა უკვე ადამიანის შინაგან სამყაროში დარჩენის ტენდენციას უწყობს ხელს.<sup>27</sup>

კაცობრიობის განვითარების უძველეს ეტაპზე იმგვარი ფსიქიკური განწყობილება დომინირებდა, როცა ადამიანი, ძირითადად, გარე სამყაროსკენ იყო მიმართული. ბევრი ისეთი განცდა, რაც დღეს შინაგანია, ძველად გარეგანი იყო. მაგალითად, ძველ საბერძნეთში ერინიები და ფურიები ის სულიერი ძალები იყო, რომელსაც ადამიანი თავის გარეთ განიცდიდა და მისი ქმედება, ხშირად ამ ძალებისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრებოდა. თანამედროვე ეპოქაში ერინიები და ფურიები ადამიანის გარეთ უკვე აღარ განიცდებიან. მათ თითქოსდა ადამიანის სამშვივნელის სიღრმეში გადაინაცვლეს. თანამედროვე ადამიანი მას საკუთარი შინაგანი სამყაროდან მომდინარე სინდისის გრძნობად განიცდის. რაც აღრე გარეგანი იყო – ახლა უკვე შინაგანია.

ამდენად, სიტყვის შემადგენელი მარცვალი, სადაც ხმოვანი ნინ უსწრებს თანხმოვანს, უფრო თანამედროვე ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. ძველ ენებში მარცვალი ძირითადად წარმოდგენილი იყო (თანხმოვანი + ხმოვანი) სახით, რაც ზუსტად გამოხატავდა კაცობრიობის ცნობიერების ევოლუციის შესაბამის საფეხურს.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ბგერების იმ შინაარსებზე გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც ყველა ენისთვის ერთნაირადაა დამახასიათებელი. სწორედ ამ ბგერების საყოველთაო მნიშვნელობების მდგრადობა განსაზღვრავს იმ რეალობას, რომ ხშირად ერთი და იმავე ცნების გამოხატვისას სხვადასხვა ენები მსგავს სიტყვებს ქმნიან.

მართალია, ერთი და იგივე ბგერები სხვადასხვა ენებში მეორდებიან, მაგრამ მათი წერილობითი გამოსახვისას ბუნებრივად ვაწყდებით გარკვეულ სიძნელეებს. ერთი და იგივე ბგერა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ნიუანსური სხვაობებით წარმოითქმება. ამჯერად ამ სხვაობების წარმოდგენა არ შეადგენს ჩვენს მიზანს. რადგან ჩვენ ძირითადად ბგერათა ჯგუფების თავისებურებებზე ვაკეთებთ აქცენტს, ამ ჯგუფის შიგნით ბგერათა წარმოთქმის განსხვავებულობა არ არის გადამწყვეტი.

წინამდებარე ნაშრომში სხვადასხვა ენებისთვის დამახასიათებელი სურათის ზოგადი წარმოდგენისთვის ანბანური შრიფტების მინიმალური რაოდენობაა გამოყენებული. კერძოდ, ქართული ანბანის შრიფტით გამოსახულია მხოლოდ ქართული ლექსიკა და მისი დიალექტები – სვანური და მეგრული. რუსული ანბანით მხოლოდ რუსული ლექსიკაა წარმოდგენილი. დანარჩენი ენებისთვის ზოგადად ლათინური შრიფტია გამოყენებული. იმ ენებისთვის, რომლებიც ისედაც ლათინურ შრიფტს ეფუძნებიან (ლათინური, ინგლისური, გერმანული, ესპანური, ...), ბუნებრივია, მათი ორიგინალური ფორმაა შენარჩუნებული, ხოლო სხვა ენების ლექსიკა ლათინურ შრიფტზეა დაყვანილი.

## თავი 3

### თანხმოვნების არქაული მნიშვნელობები

#### D, T (დ, ტ, თ)

ქართულ ენაში ფონემური თვალსაზრისით სამივე ეს ბგერა (დ, ტ, თ) სხული თანხმოვანია. სხულ თანხმოვანთა ჯგუფშიც ისინი ცალკეა გამოყოფილი. ამ ჯგუფს დენტალი ეწოდება.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ სამივე ეს თანხმოვანი იდენტურია. სხულ დენტალურ ჯგუფში მათ თავ-თავიანთი ადგილი უკავიათ. დ ბგერა მჟღერი დენტალია, თ ყრუ (ფშვინვიერი), ხოლო ტ – გლოტალიზებული (ყელსხული).

სხვადასხვა ენებში ეს თანხმოვნები ხშირად ერთმანეთში გადადიან. ერთ ენაში რაიმე სიტყვაში თუ გვაქვს დ, ამ სიტყვის სხვა ენაში გადატანა ამ ენის თავისებურებებიდან გამომდინარე ინვეეს მის შეცვლას ტ ან თ ბგერებით, ასევეა ტ და თ-ს ურთიერთმიმართებაც.

ესე იგი, დ, ტ და თ ფონეტიკური თვალსაზრისით მონათესავე ბგერებია. როგორც ირკვევა, დ, ტ და თ ბგერების ნათესაობა მხოლოდ ფონეტიკური თვალსაზრისით არ შემოიფარგლება.

ასტროლოგიური წარმოდგენები ბგერების შესახებ გულისხმობს ბგერათა მიკუთვნებას ზოდიაქური წრის ამა თუ იმ არესადმი. ესე იგი, იგულისხმება, რომ მეტყველებაში არსებული სხვადასხვა ბგერები ვარსკვლავური სამყაროს სხვადასხვა სფეროებიდან განიცდიან გავლენას. ძველი ასტროლოგიის ენით რომ ვთქვათ, როგორც ადამიანები, ასევე ბგერებიც კონკრეტული ზოდიაქური ნიშნების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ყოველი ბგერა მეტყველებაში კონკრეტული ზოდიაქური არედანაა „დაბადებული“. დ, ტ და თ ბგერები ასტროლოგიური თვალსაზრისით ლომის ზოდიაქოს განეკუთვნება. ესე იგი, ეს

ბგერები ლომის ზოდიაქოდან მომდინარე სულიერი ძალების გავლენას განიცდის და ეს გარემოება მეტყველებაშიც მკვეთრად უნდა იყოს გამოხატული.

უძველეს მისტიკურებში **ტ** ბგერის სულიერი მნიშვნელობა განსაკუთრებულად შეიგრძნობოდა ისეთ მაგიურ სიტყვაში, როგორიცაა „ტაო“. ამ წარმოდგენებში ბგერა **ტ**-ში აღიქმებოდა ის ძალა, რომელიც ადამიანს ღმერთის მიერ შექმნილ ბუნებასთან აკავშირებს.<sup>28</sup> სამყაროს ყველა ქმნილებაში თითქოსდა ღვთაებრივი ანაბეჭდი შეიგრძნობა, ბუნების ყველა ქმნილება და მოვლენაში ღვთაებაა გაცხადებული. იგი თითქოსდა ზეციური სიმალლეებიდან ანათებს და ადამიანისთვის ბუნების ძალებში ვლინდება. სწორედ ეს ზეციური გამონათება შეიგრძნობოდა **ტ** ბგერაში.

მსგავსი განცდა უკავშირდება **დ** და **თ** ბგერებსაც.

**ტ** ბგერის ანალოგიურ ინტერპრეტაციას ვხვდებით ებრაულ მისტიკაშიც.

წიგნი „ზოარ“ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წიგნია მრავალი საუკუნის მანძილზე შექმნილი კაბალისტური ლიტერატურიდან. გადმოცემის მიხედვით, ეს წიგნი ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში დაინერა. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ტექსტი გასაიდუმლოებული იყო. შუა საუკუნეებშიც „ზოარი“ სხვა კაბალისტურ ლიტერატურასთან ერთად საიდუმლო მოძღვრებას წარმოადგენდა.

„ზოარი“ უალრესად მისტიკურ ფორმაში წარმოადგენს სამყაროს შექმნისა და არსებობის კანონზომიერებებს. წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ებრაული ანბანის ასოების სულიერ შინაარსს.

„ზოარის“ მიხედვით ებრაული ანბანის ასოები სამყაროს შექმნამდე არსებობდნენ. ისინი ღმერთთან იყვნენ და მთლიანობაში ღმერთის სახელს გამოსახავდნენ. ანბანის ოცდამეცხრე ასო ცალკეულ განსაზღვრულ თვისებას წარმოადგენს. ყოველი ასო ცალკეულ სულიერ ძალას შეესაბამება. მათი მონაწილეობა სამყაროს შექმნასა და მის აგებულებაში აუცილებელი იყო, რათა სამყაროს მთელი არსებობის მანძილზე სწორად შეეს-



რულებინა საკუთარი მისია, რათა გამართლებული ყოფილიყო მისი არსებობა.

როცა ღმერთმა სამყაროს შექმნა გადანყვიტა, მასთან ცალ-ცალკე მივიდნენ ანბანის ასოები და სამყაროს საფუძვლად საკუთარი თავი შესთავაზეს. ასოები ღმერთთან ებრაული ანბანის რიგის საწინააღმდეგო თანმიმდევრობით გამოცხადდნენ. ესე იგი, პირველი მივიდა ანბანის ბოლო ასო T („Taw“), ხოლო ბოლოს ანბანის პირველი ასო „Alep“.

ასო „Taw“-მა თავისი „პრეტენზია“ იმით ახსნა, რომ მისით განისაზღვრებოდა ისეთი ცნება, როგორცაა „სიმართლე“. ეს სიტყვა ებრაულად სწორედ T ასოთი გამოსახება – „emet“.

ესე იგი, ასო „Taw“ გამოსახავს „სიმართლეს“, ანუ „ჭეშმარიტებას“.

„ზოარის“ მიხედვით, შემოქმედი არ დაეთანხმა ასო „Taw“-ის მოსაზრებას, რომ იგი სამყაროს შექმნას დასდებოდა საფუძვლად.

„შემოქმედმა უპასუხა ასო „Taw“-ს, რომ ის არ არის ღირსი შესაქმნეს საფუძვლად ყოფნისა, რადგან მისგან მომდინარეობს მართლმსაჯულების ძალზე დიდი ძალები, იმდენად დიდი, რომ სრულყოფილი მართლებიც, რომლებმაც უკვე შეასრულეს მთელი თორა „Alep“-დან „Taw“-მდე, რომელთაც მიაღწიეს სიმართლის თვისებას, მაინც დაისჯებოდნენ...“<sup>29</sup>

ამის გარდა, შემოქმედი აღნიშნავს, რომ ასო „Taw“ ასევე ითვლება სიკვდილის ბეჭდად, რადგან მისი ძალით დაიბადა სიკვდილი. ამიტომ სამყარო არ შეიძლება „Taw“-ის თვისებებით მოეწყოს.

ასო „Taw“-ისა და შემოქმედის ეს დიალოგი, ცხადია, ალეგორიულია და გარკვეული მისტიკური შინაარსის შემცველია.

როგორც აღვნიშნეთ, **დ**, **ტ** და **თ** ბგერები გამოსახავენ რაღაც ისეთს, რის მიმართაც ადამიანს აქვს განცდა, რომ ის ზეციური სფეროებიდან მიმდინარეობს და მიწიერ ყოფაში მისი შედეგია მოცემული. ესე იგი, ეს არის ზეციურის გამოვლინება დედამიწაზე, ხილულ სამყაროში. ადვილად შეიძლება შევნიშნოთ, რომ ბევრ ენაში სწორედ ამ ბგერებით განისაზღვრება

ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „სიმართლე“, „ჭეშმარიტება“, „სასამართლო“.

ძველ დროში, ბუნებრივია, ყველა ხალხს ჰქონდა განცდა იმისა, რომ ჭეშმარიტება ზეციური სფეროებიდან მომდინარეობს. სიმართლე დედამიწაზე ზეციურის განცხადებაა. სასამართლოც ზეციდან მოქმედებს და ყველა ადამიანი იქიდან განისჯება.

თუ სხვადასხვა ენებში დავაკვირდებით ძირითადად რა ბგერებით გამოიხატება აღნიშნული ცნებები, დავრწმუნდებით, რომ **დ, ტ, თ** ბგერების დომინირება ამ სიტყვების ფუძის აგებულებაში თვალნათლივაა გამოკვეთილი:

ქართული:

მართალი

სვანური:

მანვდი, ტკიც – მართალი

რუსული:

суд – სასამართლო

истина – ჭეშმარიტება

ლათინური:

iustitia – სამართლიანობა, მართლმსაჯულება

rectus – სამართლიანი

iudex – მოსამართლე

ინგლისური:

truth – სიმართლე, ჭეშმარიტება

justice – მართლმსაჯულება

court – სასამართლო

გერმანული:

Gericht – სასამართლო

**Wahrheit** – სიმართლე, ჭეშმარიტება  
**Gerecht** – მართალი

ფინური:

**totuus** – სიმართლე, ჭეშმარიტება  
**tosi** – მართალი

არაბული:

**Ṣidq** – ჭეშმარიტება

იაპონური:

**tadashii** – სიმართლე, ჭეშმარიტება

სპარსული:

**dad** – სამართალი  
**davar** – მსაჯული

ბერძნული:

**diki** – სასამართლო პროცესი  
**alit<sup>h</sup>ia** – სიმართლე  
**t<sup>h</sup>emida** – სამართლიანობის პერსონიფიკაცია

ებრაული:

**emet** – სიმართლე  
**mishpat** – სამართალი

ჩინური:

**dāyi** – სიმართლე, ჭეშმარიტი იდეა  
**duàn'àn** – სასამართლო განხილვა  
**tāng** – სასამართლო

ესპანური:

**verdad** – სიმართლე, ჭეშმარიტი  
**tribunal** – სასამართლო

ინდონეზიური:

**tasdik** – მართალი

**adil** – სამართლიანი

სანსკრიტი:

**satya** – მართალი, ჭეშმარიტი

სუაჰილი:

**kadhi** – მსაჯული

**adili** – სამართლიანობა

ხეთური:

**ašant** – ჭეშმარიტი

**ḥandant** – მართალი, ჭეშმარიტი

ჰინდი:

**seti'** – სიმართლე

**adalat** – სასამართლო

თურქული:

**düz** – მართალი

**doğru** – ჭეშმარიტება

ზემოთ განხილულ ყველა ენაში „სიმართლე“, „სასამართლო“, როგორც ნესი, **დ**, **ტ**, **თ** ბგერებით განისაზღვრება. ასე რომ, თალმუდში მოცემული უწყება შეეხება არა მხოლოდ ებრაულ, არამედ სხვა ენებსაც.

როგორც ვნახეთ, თალმუდის მიხედვით, შემოქმედმა „Taw“-ის კიდევ ერთ ნიშნად ის დაასახელა, რომ სიკვდილის ძალებთანაც ყოფილა იგი დაკავშირებული. ცხადია, ასევე ყველა ხალხის რელიგიური წარმოდგენით ადამიანის გარდაცვალება უფლის ნებით ხდება. ადამიანი მაშინ მიდის ამ ქვეყნიდან, როცა ეს ზაცაში გადაწყდება. სიტყვა „სიკვდილიც“ ბევრ ენაში **დ-ტ-თ** ბგერებს ეფუძნება:

ქართული: სიკვდილი (კვდომა)

სვანური: ღაგრა

ებრაული: mavet

ლათინური: letum

ინგლისური: death

გერმანული: Tod

ესპანური: muerte

არაბული: mawt

ინდონეზიური: wafat

ხეთური: aggatar

სანსკრიტი: pancatva

სუაჰილი: mauti

კიდევ ერთი ცნება, რაც ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებაში ზეციური ნების მიხედვით ვლინდება, არის „ბედი“. ყველა ხალხი ნათლად განიცდის მისი პირადი წარმატება-წარუმატებლობის კავშირს ღვთაებრივ ნებასთან, ზეციურ წინასწარგანსაზღვრულობასთან.

ქართული სიტყვა „ბედი“ საოცარი სიზუსტით გამოხატავს ამ განწყობილებას.

„დ“ ბგერა ზოგადად მიანიშნებს, რომ ადამიანის ამქვეყნიური ყოფა მთლიანად ზეციურის გამოვლინებაა. ის რაც ზეცაში ხდება, მის პირად ცხოვრებაში უშუალოდ ირეკლება.

იგი გულისხმობს არა მხოლოდ დადებითს, არამედ უარყოფით მოვლენებსაც.

შეიძლება შევნიშნოთ, რომ სიტყვა „ბედი“ ანალოგიურადაა განსაზღვრული სხვა ენებშიც:

ქართული: ბედი

რუსული: судьба

ლათინური: fatum

ინგლისური: **destiny, fate**

ირლანდიური: adh, cinnuint

გერმანული: Fatum

ესპანური: **destino, suerte**

ფინური: kohtalo

არაბული: qismat

სპარსული: bakht

ინდონეზიური: pinta, **takdir**

შუმერული: namtari

ავარიული: kismat, **kadar**

სუაჰილი: tua

თურქული: talih, **kader**

კაცობრიობის ერთ-ერთ უძველეს განცდას წარმოადგენს ის, რომ ყოველგვარი ქვეყნიური წესრიგი ზეციური ნების გამოვლინებაა. ძალაუფლებაც ზეციდან მიეცათ დედამიწაზე მყოფ მმართველებს. იგივე შეეხება ადამიანთა რწმენას, რელიგიურ ადათ-წესებს, ტრადიციას.

ცხადია, სრულიად შეუძლებელია იმ ლექსიკური მასალის სრულად წარმოდგენა, რაც ამ ცნებებს განსახილველი ენებიდან შეესაბამება. მაგალითისთვის შეიძლება გადავხედოთ ერთ-ერთი ენის, მაგალითად, ინდონეზიური ენის ლექსიკას, სადაც აღნიშნული ცნებები სწორედ **დ-ტ-თ** ბგერებითაა გამოსტყული:

ინდონეზიური:

- adat** – ადათი
- adikara** – ძალაუფლების მქონე
- adiradja** – უმაღლესი მმართველი
- dalem** – რაჯა
- dalil** – ზეციური ნიშანი, დადასტურება
- darma** – ვალი, მოვალეობა
- dustur** – წესი, კანონი
- ibadat** – რელიგია, ღვთისმსახურება
- iradat** – უფლის ნება
- kadar** – ძალაუფლება, ნება
- kultus** – კულტი
- sabit** – დადგენილება
- tallig** – მუსლიმანური ქადაგება
- tabu** – ტაბუ, აკრძალვა
- tadbir** – მმართველობა
- tadjalli** – გამოცხადება
- tadjuk** – გვირგვინი
- tahkik** – დადასტურება
- tahlil** – დაკანონება (ქორწინების)
- taklif** – ვალდებულება
- tanda** – ნიშანი
- ta'zir** – დანერილი კანონი

**tuan** – მმართველი  
**undang** – კანონი  
**tata** – წესრიგი

ამ ჩამონათვალშიც აშკარად ჩანს, რამდენად ფართოა ის ლექსიკური მასალა, რომლითაც ადამიანი ზეციური სფეროებიდან მომდინარე ძალების გავლენას მინიერ წეს-წყობილებაში განიცდის. ზეციდან მომდინარე კანონებისა და ვალდებულებების აღმნიშვნელ სიტყვებში გამოკვეთილად **დ-ტ-თ** ბგერების დომინირება იგრძნობა. ამ ბგერების მნიშვნელობები სწორედ აღნიშნულ განწყობილებასაც გამოსახავს.

რამდენიმე მაგალითით შეიძლება მივუთითოთ, რომ ეს განწყობილება სხვა ენებშიც თვალნათელია:

ქართული:

**აღათი**

რუსული:

**традиция** – ტრადიცია

ლათინური:

**ratio** – წესრიგი

**ditio** – ძალაუფლება

**institutum** – აღათი, წესი

ესპანური:

**poder, potestad** – ძალაუფლება

გერმანული:

**Sitte** – აღათი

არაბული:

**`ada, taqlid** – აღათი, ტრადიცია

**sulṭa, qudra** – ძალაუფლება



იაპონური:

**dentoo** – ტრადიცია, ადათი

სპარსული:

**din** – რელიგია, რწმენა

ჩინური:

**daquan** – ძალაუფლება

**dinglu** – კანონი

სანსკრიტი:

**dharma** – კანონი, ვალი, წესი

**veda** – საღმრთო წერილი, ვედა

სუაჰილი:

**dalili** – ნიშანი, წინასწარმეტყველება

**dola** – მმართველობა, მთავრობა

**tawala** – ძალაუფლების მიღება

**tii** – მორჩილება

**taratibu** – წესრიგი, განაწესი

ურარტუ:

**tera** – დადგენილება

თურქული:

**töre** – ტრადიცია

**nasihat** – მორალი

**iktidar** – ძალაუფლება

დედამიწაზე ზეციური სფეროს ზემოქმედება, ცხადია, მხოლოდ სულიერად არ განიცდება და ადამიანებს მისი ფიზიკური განცდაც აშკარად აქვთ. ის, რაც ფიზიკურ სამყაროში სინათლის სახით არსებობს, ცხადია, სწორედ ზეციური სფეროდან, მზიდან მომდინარეობს. ადვილად შევამჩნევთ, რომ

სინათლის, ნათების გამომხატველი სიტყვები თითქმის ყველა ენაში მკვეთრად **დ, ტ, თ** ბგერებით გამოისახება:

ქართული:

ნათელი, სინათლე

მეგრული:

სინთე

რუსული:

свет, светло –სინათლე

ინგლისური:

light – სინათლე

გერმანული:

licht – სინათლე

ფინური:

helottaa, hohde – ნათება

kuulto – სინათლე

säde – მზის სხივი

არაბული:

ḍaw` – სინათლე

იაპონური:

teru – ნათება

სპარსული

tabesh – ნათება

ბერძნული:

fotinos – ნათელი

aktina – სხივი

ჩინური:

tongming – მკვეთრი სინათლე

შუმერული:

iod – სინათლე

ესპანური:

radial – ნათება

ინდონეზიური:

terang – სინათლე, დღის შუქი  
sorot – სხივი, ნათება

სანსკრიტი:

dyotis – სინათლე  
dah – ნათება, წვა

ჰინდი:

dena – გამონათება

ტიბეტური:

od – სინათლე

ხეთური:

maišt – ნათება, სინათლის სხივი

ესკიმოსური:

nit' uk – სინათლე

თურქული:

aydınlık – ნათება

ყველა ხალხს აქვს ბუნებრივი განცდა ისეთი მოვლენისა, როგორცაა ყოველდღიურ ყოფაში ბნელი ღამის ნათელი დილით შეცვლა. გათენება, ანუ ბნელის ნათელით შეცვლა სხვადასხვა სიტყვებით შეიძლება გამოისახოს. ადვილად დავრწმუნდებით რომ ამ სიტყვებშიც მკვეთრად მჟღავნდება **ღ-ტ-თ** ბგერების დომინირება.

ქართული:

გათენება  
დილა  
დღე

სვანური:

ლადეღ – დღე

რუსული:

день – დღე  
утро – დილა

ლათინური:

**dies**’, **diu** – დღე, დღისით

ინგლისური:

**dawn** – განთიადი  
**day** – დღე

ირლანდიური:

**maidin** – დილა

გერმანული:

**Tag** – დღე (ძველ გოთურში T-ს ნაცვლად D ასო იყო – **dags** – დღე)  
**dämmern** – გათენება

ჰინდი:

**din** – დღე  
**pratah-kal** – დილა

ჩინური:

**dan** – დილა, განთიადი

ესპანური:

**dia** – დღე  
**despuntar** – გათენება, რიჟრაჟი

ინდონეზიური:

**fadjar** – განთიადი

სუაჰილი:

**dhuha** – დილა

სანსკრიტი:

**pratar** – დილით ადრე

სპრასული:

**bamdad** – დილა, განთიადი

იაპონური:

**hinode** – გათენება

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნება, რაც სრულიად გამოკვეთილად ზენა სფეროებიდან მომდინარედ განიცდება, არის სითბოს გრძნობა. ყველა ხალხის გამოცდილებით, იგი უშუალოდ მზის ფიზიკურ ზემოქმედებას უკავშირდება და ასევე ფიზიკურადაა გამოხატული მინიერ ყოფაში.

ადვილად შევნიშნავთ, რომ სითბოს გამომხატველი სიტყვებიც ენათა დიდ უმრავლესობაში სწორედ **დ-ტ-თ** ბგერე-ბით გამოიხატება:

ქართული: სითბო

სვანური: ტებდი, ნატბიდი, ათუ

რუსული: тепло

ლათინური: tepens, ardor

ინგლისური: hot, heat

ირლანდიური: teas

ბერძნული: zesti, termos

არაბული: daf

ჩინურად: tang

სანსკრიტი: nidagha

სუაჰილი: ujotojoto

ჰინდი: tap

ხეთური: ant, ḥandaiš

სპარსული: taft

ესკიმოსური: mak'atun

თანამედროვე ადამიანს აქვს განცდა იმისა, რომ ნებისმიერი აზრი, რომელიც მას თავში მოსდის, მისი ტვინიდან მომდინარეობს და მისი ძალისხმევის შედეგია. ძველ ეპოქაში ასე არ იყო. ადამიანებს ჰქონდათ განცდა, რომ ღიადი აზრები ზეციდან,

სულიერი სამყაროდან მომდინარეობს. ქართული გამოთქმა – „აზრი მომდის“, ძალიან ზუსტად გამოხატავს ამ განწყობილებას. სხვა ენებშიც იგივე სწორედ **დ-ტ-თ** ბგერებით გამოისახება. მაგალითად, საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინი „იდეა“ ძალზე ზუსტად გამოხატავს ამ განცდას. იდეა სწორედ იმ ნათელ აზრად აღიქმება, რომელიც ადამიანს ზენა სფეროებიდან მიეწოდება. ამგვარი განწყობა ბევრ ენაში ფიქსირდება.

**დ** ბგერის შინაარსი ძალზე ფართოდაა გამოხატული ისეთ ქართულ სიტყვაში, როგორიცაა „მადლი“. მადლი სწორედ ის ღვთაებრივი ნათელია, რომელიც ადამიანს ზენა სფეროებიდან ენიჭება. მას ადამიანი საჩუქარივით იღებს. რაიმე საჩუქრის მიღების გრძნობასაც ბუნებრივად ახლავს მადლიერების გრძნობა. ეს გრძნობაც ქართულ ენაში იმავე სიტყვიდან (მადლი) იწარმოება: „მადლობა“, „მადლიერება“. მიღებულ საჩუქართან დაკავშირებით, ბევრ ენაში სწორედ ანალოგიური ბგერათმეცხველება დასტურდება:

ქართული:

**მადლი**

რუსული:

**дар, подарок**

ლათინური:

**datum** – საჩუქარი

ინგლისური:

**donee, donative** –საჩუქარი

არაბული:

**hady:a** – საჩუქარი

ინდონეზიური:

**hadiah** – საჩუქარი, ჯილდო

idahan – საჩუქარი  
tadjiah – ნუგეში  
hidajat – ღვთის (ალაჰის) წყალობა

სანსკრიტი:

dāna – საჩუქარი

ურარტუ:

toshe – საჩუქარი

სუაჰილი:

hedaya – საჩუქარი  
tuzo, tune – საჩუქარი, ჯილდო

თურქული:

nimet – მადლი  
hediye – საჩუქარი

ბევრ ენაში ზეციური მანათობელი სხეულები (მზე, ვარსკვლავები) და ასევე ნათებითი მოვლენებიც (მაგალითად, ელვა, ჭაქა-ქუხილი, მეხის ჩამოვარდნა) ასევე **დ-ტ-თ** ბგერებით გამოისახება:

სვანური:

ამტყვასგ – ვარსკვლავი

ლათინური:

astrum, stella – ვარსკვლავი  
sidus – მნათობი  
tonitrus – ჭექა-ქუხილი

რუსული:

звезда – ვარსკვლავი



ინგლისური:

**star** – ვარსკვლავი

ირლანდიური:

**realta** – ვარსკვლავი

სპარსული:

**akhtar, setare** – ვარსკვლავი

**aftab** – მზე

შუმერული:

**adali** – ჭექა-ქუხილის ღმერთი ბაბილონში

**utu** – მზის ღმერთი შუმერში

ჩინური:

**tàiyáng** – მზე

მაია:

**tosh** – ჭექა-ქუხილის ღმერთი

**tu-k'aak'** – ელვა (ცეცხლის დაშვება, k'aak' ცეცხლია)

ინდონეზიური:

**kilat** – ელვა, გაბრწყინება

**mantari** – მზე

**patir** – მების დაცემა

**bintang** – ვარსკვლავი

სანსკრიტი:

**aditya** – მზე

**div, tālu** – ცა

**deva** – ციური, ღმერთი

**candra** – მთვარე

**vidyut** – ელვა

სუაჰილი:

**nyota** – ვარსკვლავი

**radi** – ელვა

გერმანული:

**Stern** – ვარსკვლავი

ფინური:

**tähti** – ვარსკვლავი

ჰინდი:

**tara** – ვარსკვლავი

ბერძნული:

**asteri** – ვარსკვლავი

**astrapi** – ელვა

ავარიული:

**netbak** – მზე

ესპანური:

**estrella** – ვარსკვლავი

ხეთური:

**ħaşter** – ვარსკვლავი

**ħaršatar** – ჭექა-ქუხილი

იაპონური:

**taiyoo** – მზე

თურქული:

**yıldız** – ვარსკვლავი

თავისთავად კარგი ამინდის არსებობაც ზეციურ მადლად

აღიქმევა. ქართულ ენაში სიტყვა „დარი“ ძალიან ზუსტად გამოხატავს ამ განწყობილებას.

როგორც აღვნიშნეთ, განსახილველი ბგერები **დ-ტ-თ** გამოსახავენ არა ზენა სფეროებში მიმდინარე მოვლენას, არამედ მათ მიწიერებაზე ზემოქმედებას, მის შედეგს, ესე იგი, იმას, რაც ზემოდან ქვემოთ მოქმედებს და ქვენა სამყაროში ვლინდება როგორც ზეციურის მოქმედების შედეგი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც სულიერ სამყაროს მიეწერება და დედამიწაზე გამოვლენილი, ცხადია, არის თავად ადამიანის შექმნა. შემთხვევით არ არის, რომ ღმერთისგან შექმნილ პირველ ადამიანს ებრაული ტრადიცია „ადამს“ უწოდებს. ღვთაებრივის „გამონათების“ შედეგი დედამიწაზე ადამიანი, ანუ „ადამია“.

ადამიანს მუდმივად აქვს განცდა იმისა, რომ იგი ღვთაებრივი სამყაროდან მომდინარეობს და გარდაცვალების შემდეგაც სწორედ კვლავ ზეციურ სფეროში უნდა დაბრუნდეს. მას თავისი წინაპრებიც სწორედ ზეციურ სამყაროში ეგულება.

მინიერ სამყაროში ყველაფრის წარმომავლობა, დაბადება დედის წიაღიდან იგულისხმება. ქართულ ენაში ეს განცდა განსაკუთრებულადაა გამოკვეთილი. ყველაფერი იბადება დედისგან. დაბადება ღვთაებრივი აქტია – სული ღვთაებრივი სამყაროდან ეშვება. დედამიწაზე დაბადება ზეციური გამონათების შედეგია, მაგრამ იგი ფიზიკურად დედის მეშვეობით ხორციელდება. სწორედ ამიტომაც უპირველეს ყოვლისა დედაში ვლინდება ღვთაებრივი გამონათების შედეგი. სწორედ ამიტომაც ქართულში გვაქვს სიტყვა – „დედა“, სადაც ხაზგასმულად „დ“ ბგერა დომინირებს.

რუსულშიც „დედის“ ცნებაში ანალოგიურ ბგერათმეცყველებას ვხვდებით. ამ შემთხვევაში ქართულ „დ“-სგან განსხვავებით არის ბგერა T, რაც როგორც ზემოთ ითქვა, ანალოგიური შინაარსისაა:

**МАТЬ**

იგივე შინაარსია გერმანულ ენაშიც – დედა აქაც T ასოთი გამოისახება:

## Mutter

სიტყვა „დედა“-ს ინგლისურშიც ანალოგიური ბგერათმეცხველება გამოხატავს, სადაც t გადასულა th ბგერაში:

## mather

როგორც ვხედავთ, ისეთი მნიშვნელოვანი ცნება, როგორიცაა „დედა“ ბგერათმეცხველების თვალსაზრისით ანალოგიურადაა გამოხატული როგორც ქართულ, ასევე რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ქართული სიტყვის „დედის“ მსგავსი სიტყვა არსებობს რუსულ ენაშიც (дeдa), თუმცა იგი ნიშნავს არა მშობელ დედას, არამედ პაპას.

შევიშნოთ, რომ ამ შემთხვევაშიც კვლავ საკუთარ წარმომავლობას, საკუთარ წინაპარს განიცდის ადამიანი. რუსულ ენაშიც საკუთარი წარმომავლობა ღვთაებრივ აქტადაა განცდილი, მაგრამ ამ შემთხვევაში მამრობითი ასპექტია აქცენტირებული.

ამჯერად, ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ იმ სახასიათო სიტყვების ნაწილი, რომლებშიც მკვეთრადაა გამოკვეთილი **დ-ტ-თ** ბგერების ნიშან-თვისებები. ესე იგი, ამ სიტყვების შინაარსები აშკარა შესაბამისობაშია **დ-ტ-თ** ბგერების დამოუკიდებელ მნიშვნელობებთან.

ცხადია, იგივე სიტყვები ამ ბგერების გარდა სხვა ბგერებსაც შეიცავენ და, ბუნებრივია, მათი მნიშვნელობებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ამ სიტყვების შინაარსების სრულყოფილად გადმოცემისათვის.

როცა სიტყვის ფუძეში რამდენიმე სხვადასხვა ტიპის თანხმოვანია, ყოველ მათგანს თავისი მნიშვნელობა შეაქვს მის შინაარსში. ამ შემთხვევაში არ შეიძლება საკითხის ძალიან გამარტივება და იმის წარმოდგენა, რომ სიტყვის შინაარსი მის ფუძეში შემავალი თანხმოვნების შინაარსების მექანიკურ ჯამს წარმოადგენს. ხშირად ერთი რომელიმე ბგერის შინაარსი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დანარჩენებისა. ხშირად ისინი ან აძლიერებენ მთავარი თანხმოვნის მნიშვნელობას, ან, პირიქით, ასუსტებენ. ზოგჯერ რაღაც ახალი განწყობილება

შემოაქვთ სიტყვაში, რასაც ერთგვარი ფონის მნიშვნელობა აქვს. ცხადია, ისეთი შემთხვევებიც შეიძლება შევნიშნოთ, როცა სიტყვის ფუძის შემადგენელი ყველა თანხმოვნის ნიშანთვისება მკვეთრადაა გამოკვეთილი. როგორც ზემოთ ითქვა, ბგერების ზოგადი შინაარსები ყველა სიტყვაში ერთნაირად არ შეიძლება ვეძებოთ. ბევრ სიტყვაში მათ არსებობას შეიძლება უკვე შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს.

ქვემოთ, სხვა ბგერებზე საუბრისას ზოგიერთ უკვე განხილულ სიტყვას კვლავ დავუბრუნდებით.

## G, K (გ, კ, ქ)

G (K) ბგერის წარმოთქმისას ადამიანს აქვს განცდა, რომ იგი რაღაც შინაგან გამყარებას განიცდის. მას თითქოს აქცენტი შინაგანი მდგრადობისკენ გადააქვს. ამ დროს ყოველგვარი გარეგანი უკუგდებულება და ადამიანი მხოლოდ შინაგანის შენარჩუნებას ესწრაფვის. ეს ბგერები მიწაზე მყარად დგომას გამოხატავს. ადამიანი უპირისპირდება გარეგანს და აქცენტი საკუთარი არსების დაცვასა და უცვლელობაზე გადააქვს.

ასო „კ“-ს მნიშვნელობა კარგად ჩანს ებრაული საიდუმლო სწავლების ისეთ ტექსტში, როგორიცაა „ზოარ“:

სამყაროს შექმნისას სხვა ასოების მსგავსად ასო Kaf-იც წარსდგა უფლის წინაშე და უთხრა: სამყაროს შემოქმედო, ჩემი თვისებების გამო, მე ღირსი ვარ გავხდე სამყაროს საფუძველი, რადგან მე ვარ kavod – შენი დიდება. როცა ასო Kaf დაეშვა შემოქმედის ტახტიდან, ყველა სფერო შეთრთოლდა, თავად უფლის ტახტიც კი თითქმის დანგრევამდე შეიძრა.

უთხრა მას შემოქმედმა: „Kaf, აქ რატომ ხარ? მე შენით არ შევექმნი სამყაროს. დაბრუნდი შენს ადგილას“.<sup>30</sup>

როგორც ვხედავთ, „ზოარის“ მიხედვით, „კ“ ასოს თვისებებზე ყოფილა დაფუძნებული ყველა სფეროს სიმყარე. თავად უფლის ტახტის სიმყარეც კი მასზე ყოფილა დამოკიდებული. თუ სამყაროს ასო „კ“ გამოეცლება, ყველაფერი მდგრადობას

კარგავს, ირყევა, თრთოლვას იწყებს.

**გ, კ, ქ** ბგერების ხასიათს ასევე ნათლად გამოხატავს მათ შესაბამის ზოდიაქოსთან დაკავშირებული სურათ-ხატი.

მშვილდოსნის ზოდიაქოდან მომდინარე სულიერი ძალების ხასიათის გადმოსაცემად, არსებობს საინტერესო სურათ-ხატი – პატარა ბავშვი, რომელიც ფეხს იდგამს და სიარულს სწავლობს. გარკვეული დროის განმავლობაში ის ცდილობს ხერხემლის ვერტიკალურ მდგომარეობას მიაღწიოს – ფეხზე დგება, მაგრამ მალე კარგავს ნონასწორობას და კვლავ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადადის. საბოლოოდ ეს ბრძოლა გამარჯვებით მთავრდება. ბავშვი ვერტიკალურად აღიმართება. ძველი მისტერიების ენაზე ამ ბრძოლას კარგად გამოხატავს კენტავრის სურათ-ხატი. სწორედ კენტავრის ხატშია მოცემული ადამიანური და ცხოველური ძალების შინაგანი ბრძოლა. კენტავრი ნახევრად ცხენია, ნახევრად – ადამიანი. მისი ჰორიზონტალური ნაწილი ცხოველურია, ვერტიკალური ნაწილი კი ადამიანური. ეს არის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მდგომარეობების დაპირისპირება. საბოლოოდ, სწორედ ადამიანური, ანუ ვერტიკალური მდგომარეობა იმარჯვებს. უძველესი წარმოდგენით, ამ გამარჯვებას ადამიანი მშვილდოსნის ზოდიაქოდან მომდინარე ძალებს უნდა უმადლოდეს. სწორედ ეს ზოდიაქოა **გ-კ-ქ** ბგერების „სამშობლო“. ამ ბგერებისთვის უმთავრესი თვისება სიმაგრეა, სიმყარეა. ადვილად შევამჩნევთ, რომ ენების დიდ უმრავლესობაში ეს განწყობილება სწორედ ამ ბგერებით გამოისახება (ნაწილობრივ, იგივე თვისებებს ამჟღავნებენ **ყ** და **ღ** ბგერებიც):

ქართული:

მაგარი  
მკვრივი  
მტკიცე  
მყარი

სვანური:

ბ/გი – მაგარი

მეგაჟ – გამძლე

რუსული:

**крепкий** – მაგარი

ლათინური:

**compactus** – მკვრივი

**constans** – მტკიცე

გერმანული:

**stark, kräftig** – ძლიერი

ირლანდიური:

**giobal** – მკვრივი

**crua** – მაგარი, მტკიცე

არაბული:

**masi:k, ka t̤i:f** – მკვრივი

**wa t̤i:q** – მტკიცე

**qawi:** – ძლიერი

იაპონური:

**katai** – მყარი, მაგარი

ბერძნული:

**skliros** – მაგარი

სპარსული:

**ghavi** – ძლიერი, მაგარი

**mohqam** – მყარი, მაგარი

ფინური:

**kiva** – ძლიერი

**kova** – მყარი

**vakava** – მდგრადი, გამძლე

ჩინური:

**gāngjiàn** – ღონიერი, ძლიერი

**gäokàng** – მძლავრი

**gonggǔ** – გამძლე, მტკიცე

ინდონეზიური:

**bagas, gagah** – მაგარი, ძლიერი

**kaku** – მყარი, ხისტე

**keras** – მტკიცე

**kokoh** – მაგარი, მძლავრი

სუაჰილი:

**gumu** – მყარი, ხისტე

**kikiki** – მყარად

ჰინდი:

**kara** – მაგარი

ებრაული:

**khazak** – ძლიერი

ხეთური:

**nakkit** – მტკიცე, შეუპოვარი

ავარიული:

**guchab, kutakab** – მაგარი

თურქული:

**güçlü** – ძლიერი

**kati, berk** – მაგარი

**kati** – მტკიცე



დედამინაზე მყარად დგომის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ციხე-სიმაგრე, ციხე-კოშკი, ესე იგი, თავდაცვითი ნაგებობა, რომლის უმთავრესი ფუნქცია სწორედ სიმყარეა. თვალი გადავავლოთ, თუ როგორაა გამოსახული ეს ცნება სხვადასხვა ენებში:

ქართული: კოშკი

სვანური: მურყვამ

რუსული: крепость, замок

ლათინური: castrum

ინგლისური: castle

ბერძნული: kastro

არაბული: qal`a

სპარსული: ghale

ფინური: lakikivi

ჩინური: göngshi

შუმერული: egal gina

ხეთური: gurta

ინდონეზიური: kubu

სუაჰილი: ngome

გერმანული: **Burg**

ჰინდი: **kila, gar<sup>h</sup>**

ესკიმოსური: **angil'ik**

თურქული: **kale**

სიმყარისა და დაცულობის გრძნობას გამოხატავენ ისეთი ცნებებიც, როგორიცაა: კედელი, გალავანი, ღობე.

ქართული:

**კედელი, გალავანი, გოდოლი, ღობე**

მეგრული:

**კირდა – კედელი**

სვანური:

**ჰალაგ – ღობე**

**კვედ – კედელი**

ლათინური:

**agger – ჯებირი**

იაპონური:

**saku – ღობე**

**kabe – კედელი, ტიხარი**

ფინური:

**sulku – ტიხარი, ღობე**

ესპანური:

**cerca – ღობე**

ჩინური:

gēbǎn – ტიხარი

ინდონეზიური:

pagar – ლობე

სუაჰილი:

**kirugu** – სახლის კედელი

**ugo** – ლობე

**ukuta** – ქვის კედელი

ჰინდი:

**rok** – ლობე

ხეთური:

**kuzza** – კედელი

**kutteššar** – გალავანი, ზღუდე

ებრაული:

**kir** – სახლის კედელი

**gader** – ლობე

ავარიული:

**keg, galan**– კედელი

**kvek/en** – ლობე

რუსული:

ограда – ლობე, გალავანი

ესკიმოსური:

**amigiskh'ak** – ლობე

დედამინაზე მყარად დგომის ასევე ნათელი სიმბოლოა ისეთი ცნება, როგორიცაა კლდე. ამ ცნებაში **გ-კ-ქ** ბგერების

მიმართება აშკარადაა გამოკვეთილი:

ქართული: კლდე

მეგრული: კირდა

სვანური: კოჯ

გერმანული: **Klippe**

რუსული: скала

ინგლისური: **rock, scar**

იაპონური: **gan**

ფინური: **kallio**

ებრაული: **selagh, tsuk**

ესპანური: **roca**

ხეთური: **hekur**

თურქული: **kaya, kepez**

ზოგადად, გამყარების მოვლენაც **გ-კ-ქ-ყ** ბგერების შინაარსთან მკვეთრ ნათესაობას ამჟღავნებს. ამ მოვლენის შესაბამისი სიტყვებიც ხშირად იმავე ბგერებით იგებებიან:

ქართული:

გამკვრივება, გამყარება, გაყინვა

სვანური:

ქალიბგე – გამტკიცება

არაბული:

**katāfa** – გამკვრივება

**tawṭi'q** – გამყარება

იაპონური:

**kooru** – გაყინვა

ლათინური:

**rigor** – გაქვავება

**gelo** – გაყინვა

ინგლისური:

**cake** – გამყარება, გამოცხობა

ფინური:

**kankea** – გაძვალება

**koveta** – გამყარება

ჩინური:

**gānjié** – გამყარება

**ninggù** – გამყარება, გაყინვა

ხეთური:

**igai** – გაყინვა, გაშეშება

სუაჰილი:

**ganda** – გამყარება

**sugu** – გამყარებული ადგილი, კორძი

ავარიული:

**kvak/ize** – გამყარება

გამყარების მოვლენასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთი ტრადიციული მასალა, როგორიცაა კირი. ეს სუბსტანცია ძველი დროიდანაა ცნობილი. მისი თვისებები სწორედ გამყარებას, გამკვრივებას გულისხმობს.

ქართული: კირი

ლათინური: **calx**

ინგლისური: **calk**

სპარსული: **gach, ahak**

ფინური: **kalkki**

მაია: **sak kab**

ინდონეზიური: **kapur**

სუაჰილი: **chokaa**

გერმანული: **kalk**

ჰინდი: **akhak**

ავარიული: **gach**

თურქული: **kireç**

ესპანური: **cal**

თავად ადამიანის სხეულის აღნაგობაში ყველაზე უფრო მყარი, ძვლოვანი სისტემაა. ადამიანის სხეულის მდგრადობასა და სიმყარესაც, ცხადია, ძვლოვანი სისტემა, ანუ ჩონჩხი განსაზღვრავს.

ამ ცნებაშიც აშკარად შეინიშნება **გ-კ-ქ** ბგერების დომინირება:

რუსული:

**кость** – ძვალი  
**скелет** – ჩონჩხი

იაპონური:

**kotsu, honegumi** – ძვალი, ჩონჩხი

ბერძნული:

**kokalo** – ძვალი  
**skeletos** – ჩონჩხი

ინგლისური:

**skeleton** – ჩონჩხი

ირლანდიური:

**cnamh** – ძვალი

ფინური:

**kankea** – გაძვალებული

გერმანული:

**Knochen** – ძვალი  
**Gerippe** – ჩონჩხი

ჩინური:

**gǔ.tou** – ძვალი  
**gǔ** – ძვალი  
**gǔgǔ, kǔlǒu** – ჩონჩხი

არაბული:

**haykal** – ჩონჩხი

ინდონეზიური:

**kerangka** – ჩონჩხი

**tulang** – ძვალი

ესპანური:

**exqueleto** – ჩონჩხი

ავარიული:

**raka** – ძვალი

თურქული:

**kemik** – ძვალი

**iskelet** – ჩონჩხი

ადამიანის ძვლოვან აღნაგობაში განსაკუთრებული სიმ-  
ყარით გამოირჩევა თავის ქალა. **გ-კ-ქ-ყ** ბგერები აქაც აქტი-  
ურადაა წარმოდგენილი:

ქართული: ქალა

სვანური: აყარ

ლათინური: **cranium**

ინგლისური: **skull, cranium**

ფინური: **kallo**

ჩინური: **lúgǔ**

მაია: **tsek'-sak**

ესპანური: **craneo**



ინდონეზიური: **rongga**

ავარიული: **gvangvara**

ჰინდი: **kapal**

ბერძნული: **kranio**

ებრაული: **gulgolet**

თურქული: **kafatası**

ბუნებაში ადამიანს სხვა არსებებიც ხვდება, რომელთა აღნაგობაშიც ძელოვან სიმტკიცეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული არსება არის კუ. მისი სხეული მთლიანად მკვრივი გარსითაა შემოჯავშნული. მრავალ ენაში კუს დასახელებაში სიმკვრივის ეს ელემენტი სწორედ **გ-კ-ქ** ბგერებით გამოიხატება.

ქართული: **კუ**

იაპონური: **kame**

ინგლისური: **carapace** – კუს ჯავშანი

სპარსული: **laqfosht**

ფინური: **kilpikonna**

ჩინური: **guī**

მაია: **aak**

ინდონეზიური: **kura**

სუაჰილი: **koba, kasa**

ჰინდი: **kach<sup>h</sup>ua**

ესპანური: **tortuga**

ავარიული: **shurunkverk, tsilikverk**

თურქული: **kaplumbağa, toşbağa**

მცენარეულ სამყაროში **(გ-კ-ქ)**-ს შინაარსი ყველაზე უფრო მძაფრად გამოხატულია ნაყოფის ისეთ მკვრივ ნაწილში, როგორიცაა კურკა. კურკა ფაქტობრივად ნაყოფის თესლია. იგი თავის თავში მტკიცედ ინახავს შესაბამისი მცენარის ნიშან-თვისებებს. კურკის სიმყარე თითქმის ყველა ენაზე მის დასახელებაშიც მჟღავნდება. ხშირად მსგავსი განწყობილება გამოხატულია ისეთ ცნებაშიც, როგორიცაა „მარცვალი“.

ქართული: **კურკა**

მეგრული: **წკა**

სვანური:

**კვირკვ** – კურკა

**კაკალ** – მარცვალი

რუსული:

**косточка** – კურკა

ბერძნული:

**kukutsi** – კურკა

**kokkos** – მარცვალი

ლათინური:

**granum** – მარცვალი

ესპანური:

**granos** – მარცვალი

ინგლისური:

**corn** – ხობლის მარცვალი

**grain** – მარცვალი

ირლანდიური:

**grainne** – მარცვალი

ფინური:

**akana** – მარცვლის გარსი

გერმანული:

**Kern** – კურკა

ჩინური:

**kēli** – მარცვალი

მაია:

**ngal** – მარცვალი

ინდონეზიური:

**kern** – კურკა, მარცვალი, ბირთვი

სუაჰილი:

**chenga, nafaka, unga** – მარცვალი

**kiini, kokwa** – კურკა

ჰინდი:

**gut<sup>h</sup>li** – კურკა

სპარსული:

**tange** – კურკა

ხეთური:

**kant** – ხორბლის მარცვალი

ებრაული:

**galin** – კურკა

იაპონური:

**kaku** – კურკა

ავარიული:

**gaga** – კურკა

თურქული:

**çekirdek** – კურკა

როგორც ადამიანის, ასევე ცხოველის და მცენარეების სხეულებრივ მდგრადობას დიდად განსაზღვრავს ის გარსი, რომელიც ამ სხეულებს გარე სამყაროსგან განაცალკევებს. ეს არის ტყავი, კანი, გარსი, ქერქი და სხვა. დავაკვირდეთ ამ სიტყვების აგებულებას სხვადასხვა ენებში.

ქართული:

**კანი, ქერქი, ტყავი, გარსი**

სვანური:

**გვარე** – ტყავი

**კან** – ქერქი

რუსული:

**кожа** – ტყავი, კანი

**шкура** – ტყავი

**ropa, ropka** – ქერქი

ლათინური:

**crusta** – ქერქი

**cutis** – გარსი, კანი

**colyx** – ნაჭუჭი

ინგლისური:

**cortex** – ქერქი

**crust** – ქერქი

**skin** – ტყავი, კანი

**cover** – გარსი

ირლანდიური:

**craiceann** – ტყავი, კანი

**gearb** – ქერქი

გერმანული:

**Kruste, Borke** – ქერქი

ფინური:

**kaarna, kuori** – ქერქი

**kesi** – გარსი, კანი

**kalvo** – გარსი

არაბული:

**qishra** – კანი, ქერქი

სპარსული:

**geshr** – კანი, გარსი

იაპონური:

**kava** – კანი, ტყავი

**gaihi** – ქერქი

ჰინდი:

**gilaf, k<sup>h</sup>ol** – გარსი  
**k<sup>h</sup>al** – კანი, ტყავი

ებრაული:

**kerum** – გარსი  
**klipa** – ქერქი

ჩინური:

**ké** – ნაჭუჭი

მაია:

**k'eval** – ტყავი, კანი

ესპანური:

**cuero** – ტყავი  
**corteza** – ქერქი

ესკიმოსური:

**amirak** – ტყავი  
**k'aig'u** – გარსი, ქერქი

ინდონეზიური:

**djangat** – ქერქი, ტყავი, კანი  
**kelotjak** – ქერქი, გარსი  
**kerak** – ქერქი  
**kulit** – ტყავი, კანი

სანსკრიტი:

**carman** – ქერქი, ტყავი

სუაჰილი:

**gaga** – ლექი, ქერქი  
**ganda** – ქერქი, კუს ჯავშანი

**gome** – ქერქი  
**kaka** – კანი, ქერქი  
**ngozi** – ტყავი, კანი

ავარიული:

**makar** – ქერქი

თურქული:

**gömlək** – გარსი

**kabuk** – ქერქი

გარე სამყაროში, ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში მყარად დგომისა და წონასწორობის ერთ-ერთ უმთავრეს სიმბოლოს წარმოადგენს შენობის საყრდენი სვეტი, ანუ კოლონა. მართალია, ქვემოთ ამ ცნებას კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება მოკლედ გადავხედოთ, თუ როგორ მონაწილეობს **გ-კ-ქ-ყ** ბგერები მის დასახელებაში:

ქართული: კოლონა, საყრდენი

რუსული:

**колонна** – კოლონა

ლათინური:

**columna** – კოლონა

ინგლისური:

**kolumn** – კოლონა

ირლანდიური:

**gallan** – საყრდენი

ინდონეზიური:

**galang** – საყრდენი

**kambi, soka** – კოლონა  
**lingga** – ქვის კოლონა

სუაჰილი:

**egemeo, mwega** – საყრდენი  
**gadi** – საყრდენი, სამაგრი  
**kipia** – ქვის სვეტი  
**tuka, nguzo** – კოლონა

ჰინდი:

**k<sup>h</sup>amb<sup>h</sup>a** – კოლონა

ტიბეტური:

**ká-wa** – კოლონა

ხეთური:

**kurakki** – კოლონა

ავარიული:

**g/er** – კოლონა

ესკიმოსური:

**napak' ak'** – კოლონა

თურქული:

**dayanak** – საყრდენი

ესპანური:

**columna** – კოლონა

**გ-კ-ქ** ბგერებისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელია სა-კუთარ თავში ჩაკეტვის, შინაგანი გამკვრივების ტენდენციის გამოხატვა. ადვილად შევამჩნევთ, რომ ზოგადად ჩაკეტვის განწყობილებას თითქმის ყველა ენაში სწორედ ეს ბგერები გამოხატავენ.



ქართული:

დაკეტვა, კლიტე

სვანური:

ჩულიკლი – დაკეტვა  
კ/ლ – კლიტე

რუსული:

зaмькaть, зaкрывaть – დაკეტვა  
зaмoк – კლიტე

ბერძნული:

klino – დაკეტვა  
klidaria – საკეტი

ლათინური:

claudio – დაკეტვა  
clausura – კლიტე

ინგლისური:

close – ჩაკეტილი  
lock – ჩაკეტვა

ირლანდიური:

glas – კლიტე

ფინური:

kiinni – დაკეტილი  
lukko – კლიტე  
sulkea – დაკეტვა

სპარსული:

ghofl – კლიტე, დაკეტვა

არაბული:

**iğlaq, qafala** – დაკეტვა  
**qulf** – კლიტე

ჩინური:

**guän** – დაკეტვა

ინდონეზიური:

**dek** – დაკეტვა  
**katup** – დაკეტილი, დახურული

სუაჰილი:

**funika** – დაკეტვა

ჰინდი:

**kulf'** – კლიტე

იაპონური:

**saku** – დაკეტვა

ხეთური:

**ħatk** – დაკეტვა

ავარიული:

**kirit** – კლიტე

ესკიმოსური:

**liagik** – კლიტე

თურქული:

**kilit** – კლიტე

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მაგალითები ნათლად აჩვენებენ, რომ **გ-კ-ქ** ბგერების ჯგუფის მიმართ პრაქტიკულად ყველა ენას

ერთი და იგივე დამოკიდებულება აქვს. ამ ბგერების პირველადი შინაარსი ყველა ენაში მკვეთრადაა გამოვლენილი.

## S, Z (ს, ზ, შ, ჟ)

„ს“ ბგერის განცდა უძველესი ეპოქიდან ღრმად უკავშირდებოდა ისეთ მნიშვნელოვან სურათ-ხატს, როგორიცაა გველი. ამ განცდის გამოსახატავად მოსახერხებელია განვიხილოთ გველის თემაზე შექმნილი ცნობილი სიმბოლო – მერკურის კვერთხი. არსებითად ეს არის ვერტიკალურ მდგომარეობაში კვერთხზე შემოხვეული ორი გველი:



ამ კვერთხთან მიმართებაში გველები გარკვეულ წონასწორობას ქმნიან. გველების მდგომარეობა თითქოს უჩვეულოა – ისინი მიწაზე განრთხმულნი კი არ არიან, არამედ ვერტიკალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. სწორედ ამ თავისებურებაშია გამოხატული მერკურის კვერთხის უმთავრესი შინაარსი.

ჯერ კიდევ უძველეს მისტიკურ წარმოდგენებში გველი განიხილებოდა როგორც სიმბოლო ძველი, ინსტინქტური სიბრძნისა, რომელიც ადამიანს თავისი ევოლუციის იმ ეტაპზე მიეცა, როცა მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკუთარი მეობის განცდა. ადამიანი ჯერ კიდევ ჯგუფური ცნობიერების ფორმით აზროვნებდა – დაახლოებით ისევე, როგორც დღევანდელ ეპოქაში ცხოველთა ჯგუფები. ამ თვალსაზრისით, ცხოველებში ის ძველი გველი დღესაც აგრძელებს ცხოვრებას. ევოლუციის პროცესში ადამიანმა თავისი აზროვნების განვითარებით სა-

კუთარ თავში ეს ცხოველურობა დაძლია – ადამიანი ჰორიზონტალური, ცხოველური მდგომარეობიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში აღიმართა. ცხოველთა სამყაროში სხეულის მდგომარეობა კვლავაც ჰორიზონტალური დარჩა. იქ გველი კვლავაც ჰორიზონტალურად, მიწაზე ხოხავს. ადამიანმა შეძლო საკუთარ თავში არსებული „გველი“ ვერტიკალურად აღემაღლებინა. თუმცა ისიც უტყუარი ფაქტია, რომ გარკვეული სახით დღევანდელ ადამიანში კვლავაც შენარჩუნებულია ცხოველური ნაწილი. ეს მოვლენა კანონზომიერია. ბევრი არაცნობიერი ბიოლოგიური პროცესი კვლავაც ცხოველური სახითაა შენარჩუნებული – მაგალითად, საჭმლის მონელების სისტემის მუშაობა, სექსუალური ინსტინქტები და სხვა. ეს იგი, ადამიანი განიყოფა ორ ნაწილად – ეგრეთ წოდებული „ქვენა ადამიანი“, სადაც სწორედ კვლავაც ცხოველური ძალები მოქმედებენ და „ზენა ადამიანი“, სადაც სულიერ-მშვენიერი ძალები ადამიანურ არსებას ცხოველისგან განარჩევს, ადამიანურობამდე აღამაღლებს.

ყველა ადამიანს ბუნებრივად აქვს კვლავაც ცხოველისკენ დაბრუნების შინაგანი ტენდენცია. თუ ადამიანში „სულიერ-მშვენიერი“ ძალები ჩლუნგდება, ადამიანი კვლავაც ქვენა გრძნობებს ემორჩილება და იგი თანდათან კარგავს ადამიანურ სახეს, მის შინაგან არსებას ცხოველური ინსტინქტები მოიცავს და ისინი მის ქმედებაშიც გამოიხატება. ადამიანის შინაგან ბუნებაში „ზენა ადამიანი“ მუდმივად ებრძვის „ქვენა ადამიანს“, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანის „მე“ საკუთარ არსებაში მოქმედ გველს მუდმივად აიძულებს ძველებურად მიწაზე კი არ იხოხოს, არამედ ვერტიკალურ მდგომარეობაში აღიმართოს – ადამიანური მორალისა და ზნეობის წესებს დაემორჩილოს.

სწორედ ადამიანის „მე“-ს ამ ქმედებას გამოხატავს მერკურის კვერთხი, რომელიც მასზე შემოხვეულ ორ გველს ვერტიკალურად აღამაღლებს და ერთმანეთით აწონასწორებს.

ძველ მისტიკურ წარმოდგენებში ანალოგიურ სურათ-ხატს ძალზე ხშირად ვხვდებით. შეიძლება ბიბლიიდან გავიხსენოთ


მოსეს მიერ გველის ამალლების სასწაული:


ქორების მთაზე მოსეს უფალი გამოეცხადა და ებრაელი ხალხის ეგვიპტიდან გამოყვანა დაავალა. მოსეს მან მიანიჭა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწაულის აღსრულების უნარი. მოსეს ხელში კვერთხი ეჭირა. უფალმა უბრძანა, კვერთხი მინაზე დაეგდო. როგორც კი მოსემ კვერთხს ხელი გაუშვა და მინაზე დააგდო, იგი გველად გადაიქცა. შემდეგ უფალმა შეშინებულ მოსეს უბრძანა, გველის ბოლოს დასწვდომოდა. მოსე ასეც მოიქცა და როცა მან გველი ვერტიკალურად აამალა, ეს უკანასკნელი კვლავ კვერთხად გადაიქცა (გამოსვლათა, თავი IV).

ეს სასწაული სწორედ იმას მიანიშნებს, რომ უფალმა ებრაელ ერს გველის ამალლების მისია დააკისრა. მისი სულიერი ცხოვრების ფორმა სწორედ იმგვარ შინაგან გარდაქმნას ისახავდა მიზნად, როცა ადამიანი საკუთარ არსებაში ამარცხებს ქვენა გრძნობებს (გველს) და მას „ზენა ადამიანს“ უმორჩილებს – გველს ვერტიკალურად აამალებს და კვერთხად გარდაქმნის.

სწორედ გველის ამალლების ამ მოტივს გამოხატავს ბგერა **ს**. შეიძლება შევნიშნოთ, რომ იგი გამოვლენილია უძველეს ანბანურ სისტემებში.

ძვ. წ. I ათასწლეულის მიჯნაზე ფიქსირდება ძველი ფინიკიური დამწერლობის სხვადასხვა განშტოებების განვითარება. როგორც საშუალო ფინიკიურში, ასევე მის პუნურ შტოში მკვეთრად შეიმჩნევა ასო „ს“-ს გამოსახვისას გველის თემისა და ვერტიკალის შერწყმის მცდელობა.

საშუალო ფინიკიურში – 

პუნურში – 

ჩრდილო-სემიტური წერის მეორე განშტოებას „ქანაანური“ წარმოადგენს. მასშიც „ს“ ასოს გამოსახვისას გამოკვეთილია ვერტიკალურად აღმართული გველის სახე.




ანალოგიურ სურათს ვხედავთ პირინეის იბერიული დამწერლობის ნიმუშებშიც. მათგან უძველესი ძვ. წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება.

იბერიულ ანბანშიც „ს“ ასო ვერტიკალურად აღმართული გველის ფორმითაა გამოსახული:



ძველი ბერძნული ენის სხვადასხვა განშტოებებში „ს“ („შ“) ბგერის აღნიშვნისას კვლავ ვერტიკალურად აღმართულ გველს ვხედავთ. ანალოგიური სურათია იტალიკური დამწერლობის ანბანებშიც.

დასავლურ ბერძნულში „ს“ გამოისახებოდა: 

ფრიგიულში: 

გოთურში – S (ლათინურიდან მომდინარეობს).

საუკუნეთა განმავლობაში ქართული ასო-ნიშნების გრაფიკული გამოსახულებები მუდმივად იცვლებოდა. თავიდან ასოები სიმაღლით ერთი ზომისა იყო – ორ პარალელურ ხაზს შორის იწერებოდა. შემდეგ ზოგიერთი ასო დაგრძელდა. მათი ფორმები ძირითადად მრგვლოვანი იყო. IX საუკუნიდან თანდათან განვითარდა კუთხოვანი ფორმები, რომელშიც ოთხი სხვადასხვა სიმაღლის ასოთა ჯგუფი გამოიყოფოდა.

ასო-ნიშნთა გრაფიკული გამოსახულებები თანამედროვე მხედრულში მკვეთრად დაცილდა ძველ გრაფიკას. ასოების სახე მეტ-ნაკლებად შეიცვალა. ერთადერთი ასო, რომელიც მეხუთე საუკუნის შემდეგ საერთოდ არ შეცვლილა და იგივე

გრაფიკული სახით გამოიყურება, არის ასო „ს“. ეს გამოსახულება არც ასომთავრულში, არც ხუცურში და არც მხედრულში მთელი ისტორიის განმავლობაში არ შეცვლილა და დღესაც იმავე სახით წარმოდგება.

ვფიქრობთ, სრულიად ნათელია, რომ ჯერ კიდევ უძველეს ქართულ დამწერლობაში, ასომთავრულ ანბანში „ს“ ბგერის გამოსახვა სწორედ ვერტიკალურად ამალღებული გველის სახით მოხდა.

## ს

ყოველთვის, როცა ჩვენ ასო „ს“-ს ვწერთ, ფაქტობრივად, ვერტიკალურად ამალღებულ გველს ვხატავთ.

შემთხვევითი არაა, რომ ძველ ქართულში არსებობს შხამიანი გველის დასახელება – ასპიტი (ბერძნულიდან გადმოსულად ითვლება). გველის დამახასიათებელი ნიშნებიც ხშირად „ს“ ბგერითაა გამოხატული, მაგალითად, სრიალი, სისინი, ნესტარი. ცხადია, ნიშანდობლივი ფაქტია, რომ გველი სისინისას სწორედ „ს“ ბგერას გამოსცემს.

როგორც ცნობილია, ხშირად ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატავად სხვადასხვა ენაში ბგერა „ს“ „ზ“ ბგერით იცვლება. „ს“ და „ზ“ მონათესავე ბგერებია. მათი შინაგანი კავშირი ძველთაგანვე იყო შემჩნეული. ძველი ასტროლოგიური წარმოდგენების მიხედვით ეს ორი ბგერა ერთი და იმავე ზოდიაქოდან, ღრიანკალიდან მომდინარეობს. ქართულ ასომთავრულ ანბანში ძალზე ზუსტადაა მოცემული „ს“ და „ზ“ ბგერების შინაარსების სიახლოვე. ისინი, ფაქტობრივად, ერთი და იმავე გრაფიკული სახითაა მოცემული:

## ს ლ

მართალია, ბგერა „ს“-ს გამოსახვისას, ხშირად, ვერტიკალურ მდგომარეობაში აღმართული გველია წარმოდგენილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გველის გამოსახატავადაც აუცილებ-

ბლად „ს“ ბგერა უნდა გამოიყენებოდეს. ძველ იეროგლიფებში გველის გამოსახვა ანალოგიური კლაკნილი ხაზით ხდება, მაგრამ არა ვერტიკალურ, არამედ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

ბგერა „ს“-ში მნიშვნელოვანია არა გველის არსება, არამედ ის ძალა, რომელმაც გველი ვერტიკალურ მდგომარეობაში აამაღლა. ადამიანის ეს შინაგანი ძალა არის მისი „მე“. „მე“ ამყარებს წონასწორობას ადამიანის შინაგან ბუნებაში. ის აწონასწორებს ადამიანის შინაგან ლტოლვებსა და მისწრაფებებს.

**ს** და **ზ** ბგერებთან მონათესავე თვისებებს ამჟღავნებენ ბგერები **ჟ** და **შ**. ისინიც იგივე ჯგუფში შეიძლება იქნას განხილული.

მიუხედავად იმისა, რომ **ს**, **ზ**, **ჟ**, **შ** ბგერებიდან მომდინარე სულიერი ძალები უშუალოდ ფიზიკურ გველს კი არ გამოსახავს, არამედ, პირიქით, გველიდან მომდინარე სურათ-ხატი თავად მონაწილეობს ამ ბგერების ხატების წარმოდგენაში, ეს კავშირი მაინც იმდენად აშკარაა, რომ ხშირად თავად გველის დასახელებაშიც იგივე ბგერებია აქცენტირებული:

რუსული: змея  
ლათინური: serpens  
ინგლისური: snake  
გერმანული: Schlange  
ჰინდი: sap  
ებრაული: nakhash  
ჩინური: shē  
ინდონეზიური: sawo  
მაია: k'aash  
ხეთური: muš  
ესპანური: serpiente  
ტიბეტური: sbrul  
თურქული: zool



უძველეს სულიერ სკოლებში „ს“ ბგერაში მუდამ რალაც განსაკუთრებულ ძალებს ხედავდნენ. იგი აღიქმებოდა როგორც ძალა, რომელიც მძლავრად აღწევს ადამიანის შინაგან სამყაროში და დამამშვიდებლად მოქმედებს მასზე. იგი თითქოსდა ანონასნორებს, ამშვიდებს იმ პროცესებს, რაც „ქვენა ადამიანში“ ვითარდება – ეს შეეხება როგორც საჭმლის მონელების, ასევე სექსუალურ პროცესებს. ბგერა „ს“ მოქმედებს ორგანულ პროცესებში შინაგანი, არაცნობიერი ლტოლვების დამამშვიდებლად, სისხლის ნაკადიდან მომდინარე მოუსვენრობის საწინააღმდეგოდ, სიმპათიის და ანტიპათიის ძალების გამანონასნორებლად.

„ს“ ბგერის დამამშვიდებელი ძალა პრაქტიკულ ცხოვრებაში ყველა დროსა და ყველა ხალხში ერთნაირადაა ცნობილი. დღესაც გარემოში არსებული მოუსვენრობის ჩასახშობად წარმოთქვამენ ამ ბგერას: „სსს...!“. აღგზნებული ბავშვის დამშვიდებისთვის ამ ერთი ბგერის წარმოთქმაც კი ძალზე ეფექტური ძალაა.<sup>31</sup>

ძველთაგანვე ბგერა „ს“-ში ორ, ერთმანეთისგან თითქოსდა დიდად განსხვავებულ ძალას ხედავდნენ. მას ორმაგი ბუნებით განიხილავდნენ. ერთი მხრივ, ბგერა „ს“ თავის თავში რალაც შინაგან ცეცხლს შეიცავს: ადამიანს თითქოსდა რალაც შინაგანი ნების ცეცხლი სჭირდება მის წარმოსათქმელად. „ს“-ს ამ გაგებით მკვრივის დაშლის ძალა გააჩნია. მეორე მხრივ, იმავე „ს“ ბგერას მიენერება მაფორმირებელი ძალაც. იგი თითქოს გამამკვრივებლად მოქმედებს ადამიანის ფიზიკურ სხეულზე, თითქოს ხელს უწყობს მის „გაძვალებას“.

„ს“ ბგერის ეს ორმაგი ბუნება კარგად ჩანს მის ასტროლოგიურ სურათ-ხატში. „ს“ ბგერა განიხილება იმ ძალების მიერ წარმოქმნილად, რომელიც ღრიანკალის, ანუ არნივის ზოდიაქოდან მომდინარეობს. რამდენადაც ყველა ზოდიაქოს მოქმედება ამავე დროს ადამიანის ფიზიკურ ორგანიზაციაშიც აისახება, ღრიანკალის ზოდიაქო ადამიანის სხეულში სასქესო ორგანოების სფეროს უკავშირდება. ამავე დროს, ღრიანკალის ზოდიაქო ზოდიაქოთა შორის ერთადერთია, რომელსაც ორმაგი ბუნება

აქვს. იგი ერთდროულად სიმბოლიზებულია ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული ორი არსებით – მორიელით და არნივით. მორიელი ყველაზე უფრო მშრალ მინიერ გარემოში ცოცავს და მომაკვდინებელ შხამს შეიცავს, ხოლო არნივი ყველაზე უფრო მალალ სივრცეებში დანავარდობს.

სწორედ ასეა დანახული ღრიანკალის ზოდიაქოდან მომდინარე ძალების ადამიანში მოქმედება: „ქვენა ადამიანში“ წარმოიქმნება მონელების და სექსუალური ორგანოები, „ზენა ადამიანში“ კი წინა ტვინი, რომელშიც აღქმებს აზრებად ვაფორმირებთ.

ამ მხრივ, ღრიანკალის ზოდიაქო წარმოდგება ორმაგი სახით: მორიელი – შხამიანი ნესტრით და არნივი – როგორც აზროვნების ძალების გამოხატულება.

ასტროლოგიური თვალსაზრისით, ღრიანკალის ზოდიაქოს მიენერება ისეთი რამ, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ადამიანის მიერ გარე სამყაროს შინაგან არსებაში მიღების პროცესი. ეს მიღება ხდება როგორც საკვების, ასევე აღქმების მეშვეობით. რაც გარე სამყაროდან ადამიანში აღწევს, აუცილებლად შეიცავს შხამის გარკვეულ დოზას. შინაგანში ადამიანი მას უპირისპირდება, თავს იცავს. გარეგანთან ეს დაპირისპირება შინაგანი ფორმირების ძალებს წარმოშობს. საკვები საჭმლის მომნელებელ სისტემაში გადამუშავდება, აღქმები კი თავის ტვინში. სექსუალური ლტოლევებიც, ცხადია, დიდი დოზით შეიცავენ „შხამიან ნესტარს“. ესე იგი, ადამიანში ერთდროულად ვლინდება როგორც მორიელის, ასევე არნივის სურათ-ხატები.<sup>32</sup>

ადამიანში მიმდინარე ეს პროცესი, ანუ აღნიშნული ზემოქმედება სიმბოლიზებულია გველით, რომელიც ადამიანურმა „მე“-მ უნდა დაიმორჩილოს, დაამშვიდოს და ქვენა ბუნებიდან ვერტიკალურ მდგომარეობამდე აღამალლოს. ბგერა „ს“-ში ძველთაგანვე სწორედ ეს გამანონასწორებელი ძალაა დანახული.

როგორც აღვნიშნეთ, „ს“ ბგერა ღრიანკალის (მორიელის) ზოდიაქოდან მომდინარეობს, ხოლო ამ ზოდიაქოს ძალების

მოქმედება ადამიანის ფიზიკურ ორგანიზმში სასქესო ორგანოებს უკავშირდება. არ არის შემთხვევითი, რომ დღეისთვის საერთაშორისო ტერმინად ქცეულ სიტყვა „სექს“-ში სწორედ „ს“ ბგერა დომინირებს.

მერკურული ძალების ზემოთ განხილული სურათ-ხატი შეიძლება შევნიშნოთ ამერიკული დოლარის სიმბოლურ გამოსახულებაშიც.

ცხადია, აქაც ვერტიკალურად ამალღებული გველია გამოსახული და ამ ნიშანს პირდაპირი ნათესაობა აქვს მერკურის კვერთხთან.

ძველთაგანვე ვაჭართა და მოგზაურთა მფარველად სწორედ მერკური ითვლებოდა. ვაჭრობისას და მოგზაურობისას ფინანსური წარმატება სწორედ მერკურზე ყოფილა დამოკიდებული.

კაბალისტურ ლიტერატურაში, კერძოდ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიგნში („ზოარ“) ძალზე საინტერესო მინიშნება არსებობს „ს“ ბგერის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

სამყაროს შექმნისას სხვა ასოებთან ერთად ასო „ს“-ც გამოცხადდა და ღმერთს შესთავაზა, რომ სწორედ ის დასდებოდა საფუძვლად სამყაროს შექმნას. შემოქმედმა შეუძლებლად ჩათვალა მისი სურვილის განხორციელება:

„ასო „ს“ (samek<sup>h</sup>) წარსდგა შემოქმედის წინაშე და უთხრა: „სამყაროს შემოქმედო“, იქნებ ჩემი თვისებებით შეგექმნა სამყარო, რადგან ჩემში არის smik<sup>h</sup>a, ანუ „დახმარება მათთვის, ვინც ეცემა“...“

შემოქმედმა უპასუხა მას: „სწორედ ამიტომაც აუცილებელი ხარ შენ შენს ადგილას და ნუ დატოვებ მას. ხოლო თუ დაიძვრები შენი ადგილიდან, რასაც გულისხმობს სიტყვა „დახმარება“,“ შენში საყრდენს დაკარგავენ ისინი, ვინც ეცემიან, ისინი ხომ შენ გეყრდნობიან.

ეს რომ მოისმინა, ასო „samek<sup>h</sup>“ გაეცალა შემოქმედს.<sup>33</sup>

როგორც ვხედავთ, ასო „ს“-ს მთავარი თვისება ის ყოფილა, რომ იგი წონასწორობას უნარჩუნებს მათ, ვინც ეცემა, ვინც წონასწორობას კარგავს. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი,

სწორედ **ს (ზ)** ბგერა გამოხატავს იმ ძალას, რომელსაც შეუძლია მიწაზე მხოხავი გველიც კი ვერტიკალურ მდგომარეობაში ამყოფოს, თავად ადამიანშიც ცხოველური სანყისები დაძლიოს და მისი ხერხემალი ჰორიზონტალურიდან, ანუ ცხოველური მდგომარეობიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში აამაღლოს. შემთხვევითი არ არის, რომ ადამიანის ხერხემლის ან ხერხემლის სვეტის მნიშვნელობა ბევრ ენაში სწორედ **ს, ზ,** ან **შ, ჟ** ბგერებით გამოისახება (ამ ბგერებს ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით, საერთო თვისებები აქვთ):

ადამიანის ვერტიკალური მდგომარეობის თემას ჩვენ **გ-კ** ბგერებთან დაკავშირებითაც შევხვით, როცა მოყვანილი იყო კენტავრის სურათ-ხატი. კენტავრისა და მერკურის კვერთხის სურათ-ხატებს შორის, ცხადია, არსებობს პრინციპული განსხვავება, ისევე, როგორც არსებობს განსხვავება **გ (კ)** და **ს (ზ)** ბგერების მნიშვნელობებს შორის. ადამიანის ვერტიკალურ მდგომარეობაში ფიზიკურად აღმართება კარგადაა გამოხატული ისეთ ქართულ სიტყვაში, როგორიცაა „ზურგი“. მასში მოცემულია ზემოთ მოყვანილი ორივე სურათ-ხატი, როგორც „ზ“, ასევე „გ“. ანალოგიური სურათია სვანურში: **სკიკვ**.

ებრაულში აქცენტი ვერტიკალური დგომის სიმყარეზეა გაკეთებული, რადგან სიტყვა ზურგი გამოიხატება „გ“ ბგერით – **გავ**.

უმეტეს ენებში აქცენტი **ს (ზ)** ბგერის მნიშვნელობაზე კეთდება:

ქართული: **ზურგი**

სვანური: **სკიკვ, შიყ**

მეგრული: **ოჭიშ**

რუსული: **спина, позвоночник**

ლათინური: **dorsum**

ინგლისური: **spine**

ფინური: **selka**

იაპონური: **senaka**

არაბული: **zahr**

სპარსული: **fosht**  
ჩინური: **jǐzhu**  
ხეთური: **iškiš**  
ჰინდი: **prisht<sup>h</sup> -bash**  
ესპანური: **espalda**  
თურქული: **sirt**

ანალოგიური შინაარსი იგულისხმება ადამიანის ისეთ მდგომარეობაში, როგორცაა მისი ვერტიკალურად დგომა. თავად ქართული სიტყვა „დგომა“ „გ“ ასოზე დაყრდნობით სიმყარეს გულისხმობს. სხვა ენებში იმავე სიტყვაში ხშირად **ს** (**ზ-ჟ-შ**) ბგერა გვხვდება:

სვანური: **ჟილიგნალ**  
რუსული: **стоять**  
ლათინური: **status, surgo**  
ინგლისური: **stand**  
ირლანდიური: **seas**  
გერმანული: **stehen**  
ფინური: **seisoa**  
ესპანური: **estar**  
ბერძნული: **stekome**  
ჩინური: **lizú, zhàn**  
ავარიული: **ekhetize**  
სანსკრიტი: **sthā**

როგორც ვნახეთ, ასო „ს“-ზეც იყო ნათქვამი, რომ ის მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს, მაგრამ „ს“-ს და „კ“-ს თვისებები, ამ მხრივ, მკვეთრად განსხვავდება:

„კ“ ასო სიძლიერეს, სიმყარეს, მდგრადობას გამოსახავს.

„ს“ ასო ნაკლებად გულისხმობს მატერიალურს. ის უფრო არამატერიალური ძალის მიერ განხორციელებულ სიმყარეზე აკეთებს აქცენტს.

ორივე ეს ბგერა არის ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა

„სვეტი“ და „კოლონა“. „ს“ და „კ“ ბგერების მნიშვნელობები ნათლად ჩანს ამ თითქოსდა სინონიმებში. რაიმე ვერტიკალურ მზიდ ელემენტს ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ სვეტიც და კოლონაც, მაგრამ აღნიშნული ბგერებიდან გამომდინარე, განსხვავებული მნიშვნელობები იგულისხმება.

შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ბევრ ენაში სვეტის ის მნიშვნელობა იგულისხმება, სადაც „ს“ ასოს შინაარსია მოცემული:

ქართული: სვეტი

სვანური: სვეტ

რუსული: стол

გერმანული: Säule

იაპონური: hashira

სპარსული: sotun

ბერძნული: stilos

ჩინური: zhu

ესპანური: poste

ჰინდი: stamb<sup>h</sup>

ინდონეზიური: saka

სუაჰილი: zio

ურარტუ: polusi

თურქული: sütun

„ს“ ბგერის „მერკურულ“ შინაარსს ძალზე ზუსტად გამოხატავს ქართული სიტყვა – „სარი“. სარი ყოველთვის ვერტიკალურად ერჭობა და მისი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ რომელიმე მცენარე, რომელსაც მიწაზე განროთხმის ტენდენცია აქვს, ვერტიკალურად აამაღლოს. მიწაზე გართხმული ვერც ვაზი და ვერც სხვა რომელიმე კულტურული მცენარე, ცხადია, ისეთსავე ნაყოფს ვერ მოიწევს, როგორსაც სარის მეშვეობით ვერტიკალურად აღმართვის შემთხვევაში. „ს“ ბგერა სიტყვა „სარში“ ზუსტად გამოხატავს მის პირველად შინაარსს. ლათინურ ენაზე სიტყვა სარს გამოხატავს: **asser, sudis**. ხეთურ ენაზე

კი ბოლოსართი **sar** მცენარეს ნიშნავს.

სწორედ ანალოგიური შინაარსია მოცემული სიტყვა „სვეტშიც.“

ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს ცხადლივი განცდა იმ ძალებისა, რომლებიც მცენარეების ვერტიკალური მიმართულებით სწრაფვას განსაზღვრავს. მცენარეთა ბუნებრივ მდგომარეობას – სიმძიმის ძალის ზემოქმედებით მიწაზე განრთხმულობას, უპირისპირდება ძალა, რომელიც მათ ვერტიკალურ მდგომარეობაში ალამაღლებს, ზრდის უნარს ანიჭებს. ძველთაგანვე ადამიანებს აქვთ განცდა, რომ ეს ძალა მზიდან მომდინარეობს. მზის ძალები დედამიწის მიზიდულობის ძალებს უპირისპირდება. ამავე დროს, ასევე ბუნებაზე დაკვირვებით ისიც აშკარაა, რომ მცენარეებში სასიცოცხლო ძალების განვითარებას აუცილებლად მოსდევს კვდომის პროცესი. მცენარეებში მოქმედებენ ძალები, რომლებიც ჭკნობას, ხმობას იწვევს. ისიც აშკარაა, რომ ეს ძალებიც მზიდან მომდინარეობს. ესე იგი, მიწაში ჩადებული თესლი რომ ვერტიკალურად აღმოცენდეს, საჭიროა მზის ძალები, მაგრამ ამავე დროს იგივე მცენარე ხომ თავისი სუბსტანციებით ისევ მიწას უნდა დაუბრუნდეს და ამ პროცესშიც კვლავ მზე მონაწილეობს. მისი მოქმედება მცენარეულ სამყაროზე ორმაგი ბუნებით წარმოსდგება. ზემოთ ჩვენ სწორედ ამგვარი ორმაგი ბუნებით დავახასიათეთ **ს, ზ, შ, ჟ** ბგერებში მოცემული განცდები. სწორედ ეს ბგერები გამოხატავს იმ განწყობილებას, რაც ადამიანს მზის მიმართ ინსტინქტურად გააჩნია.

ადვილად შევამჩნევთ, რომ **ზ** ბგერის ეს მნიშვნელობა ძალზე ზუსტად და ლაკონიურადაა გამოხატული ქართულ სიტყვაში – მზე. ასევე ცხადია ისიც, რომ იგივე განწყობა სხვა ენებშიც ძალზე აშკარაა:

ქართული: მზე

მეგრული: ბჟა

სვანური: მიჟ

რუსული: солнце

ლათინური: sol  
ინგლისური: sun  
არაბული: shams  
ინდონეზიური: surja  
სუაჰილი: mwonzi  
გერმანული: Sonne  
ჰინდი: suraj, suri'  
ებრაული: shemesh  
შუმერული: shamash  
ხეთური: aštan  
ესპანური: sol  
ესკიმოსური: sis'inik

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ენებში ბგერა **ს (ზ, შ, ყ)**-ს პირველადი შინაარსი ძალზე მკვეთრადაა გამოხატული.

## N (6)

„ზოარ“-ის მიხედვით, სამყაროს შექმნისას „ს“ ასოს შემდეგ „ნ“ (nun) ასოც გამოცხადდა შემოქმედთან და სამყაროს საფუძვლად ყოფნაზე მანაც განაცხადა პრეტენზია. შემოქმედმა მაშინვე უარყო მისი წინადადება და უთხრა:

„დაბრუნდი შენს ადგილზე, რადგან შენთვის დაბრუნდა თავის ადგილზე ასო „ს“ (samek<sup>h</sup>). წადი და დაეყრდენი მას. ასო „ნ“ არის სიტყვაში nefila – ვარდნა (დაცემა), რომელიც „ს“-მ უნდა გამოასწოროს, რისთვისაც ის დაბრუნდა კიდევ თავის ადგილზე.“<sup>34</sup>

ებრაული მისტიკური წიგნის ამ ფრაგმენტში ასო „ნ“-ს შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი მინიშნებაა მოცემული.

„ნ“ ბგერა ერთ-ერთი იმ თანხმოვანთაგანია, რომელიც გარკვეულწილად განცალკევებულად დგას.

„ნ“ ბგერა გამოხატავს ერთგვარ დისტანცირებას გარემოს მიმართ. მასში გამოხატულია ანტიპათიის ძალები. „ნ“ ბგერაში



მოცემულია გარემოს უარყოფელი, ანტიპათიაში მიმდინარე გაცნობიერების პროცესი. ცხადია, ამ ანტიპათიაში მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა არ იგულისხმება. თუ ადამიანი არ გამოეყოფა სამყაროს და ერთგვარად არ დაუპირისპირდება მას, ვერ მოახდენს მის აზრობრივ, აბსტრაქტულ შემეცნებას. თუ ადამიანი მთლიანად განვრცობილია ბუნებაში და ვერ ახდენს საკუთარი თავის დისტანცირებას ამ ბუნებისგან, თუ სიმპათიის ძალებით მთლიანად შერწყმულია გარემოს, მას არ შეუძლია სამყაროს აზრობრივი შემეცნება, ინტელექტუალური აღქმა, ვერ მოახდენს მოვლენების აბსტრაგირებას.

ამგვარი მდგომარეობა თანამედროვე ადამიანში პათოლოგიურია და ძირითადად განვითარებაში ჩამორჩენილი, ჭკუასუსტი ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი.<sup>35</sup>

„ნ“ ბგერა ხელს უწყობს ანთიპათიის ძალების გაძლიერებას. ეს მოვლენა აუცილებელია, რადგან იგი ქმნის თავის ძალებს, რომელიც აზრთა ფორმირებაში გვეხმარება.

ესე იგი, „ნ“-ში მოცემულია ინტელექტუალური განვითარების ტენდენცია. იგი გულისხმობს ტვინიდან მომდინარე, აბსტრაქტული აზროვნების შესაძლებლობას. ცალმხრივ ტვინისმიერ აზროვნებას სულიერი დაცემისკენ მიჰყავს ადამიანი. მარალია, იგი ინტელექტუალური განვითარების საფუძველიცაა, მაგრამ ამავე დროს ადამიანს მიწიერების შემეცნების გზით სულიერებას წყვეტს და მატერიალური ყოფისკენ უბიძგებს. ეს არის სულიერებიდან დაცემა. ამ მდგომარეობიდან ადამიანის გამოყვანა შეუძლია მისსავე „მე“-ს, რომელმაც იგი მიწიერებას უნდა გამოგლიჯოს და კვლავ ვერტიკალურ მდგომარეობაში დააბრუნოს. ესე იგი, „ნ“ ასოთი გამოწვეულ ვარდნას მხსნელად „ს“ ასო შეიძლება გამოადგეს: როგორც ადამიანის თავი ხერხემლის, ანუ ზურგის სვეტს ეყრდნობა, ასევე ბგერა „ნ“-ც დაცემისგან გადასარჩენად „ს“ ბგერას უნდა დაეყრდნოს.

„ს“ და „ნ“ ბგერების ურთიერთობა საოცარ სურათ-ხატს წარმოადგენს: ადამიანის შინაგან სამყაროში მოქმედი „მე“-ს ძალები აწონასწორებენ იმ ნეგატიურ მოქმედებას, რაც თავის ტვინის ზედმეტი რაციონალიზმისგან მომდინარეობს.

„ნ“ ბგერის აღნიშნული ნიშან-თვისებები ყველა ენაში ნათ-  
ლადაა მოცემული.

ქართულ ენაში ნაწილაკი „ნუ“ სწორედ არქმნას, მოქმედე-  
ბის შეზღუდვას გამოსახავს:

ნუ ნახვალ

ნუ გააკეთებ

ნუ იტყვი და ა. შ.

ასევე: ნურვინ – იგივე არავინ

წინსართი ნა- გამოსახავს უკვე აღარ არსებულს, უკვე  
უარყოფილს:

ნა-მეფარი, ნა-ქალაქევი, ნა-სახლარი, ნა-ვენახარი და ა. შ.

კავშირი „ან“ გამოსახავს ორი ცნების ისეთ დაპირისპირე-  
ბას, როცა ერთი მეორეს გამოორიცხავს:

ვაშლი ან მსხალი

ქალაქი ან სოფელი

თეთრი ან შავი...

„ნ“ ბგერის უარყოფის მნიშვნელობა მკვეთრადაა გამოხა-  
ტული ენების დიდ უმრავლესობაში:

რუსული:

**не** – არ;

**нет** – არა

**никто** – არავინ

**никогда** – არასოდეს

ლათინური:

**non** – არ

**ne** – არა, ნუ

**nemo** – არავინ

**nil** – არაფერი

**an** – ან

გერმანული:

**nein, kein** – არა

**nicht** – არა

ინგლისური:

**no** – არა

**not** – არ

**anti** – ანტი

**nay** – უარი

**never** – არასოდეს

**none** – არავინ

**nothing** – არაფერი

**un-** , **ne-** – უარყოფა

ირლანდიური:

**aon** – არა

„ნ“ ბგერის უარყოფელი ფორმა გამოხატული ბერძნულ სიტყვებში:

**den** – არა (ზმნის წინ)

**min** – ნუ

**arnisi** – უარი

**arnume** – უარყოფა

**kanis**, **kanenas** – არავინ, ვერავინ

**put<sup>h</sup>ena** – არსად

ასევე უარყოფას გამოხატავს ნაწილაკი **anti**; მაგალითად, **antimakhos**, **antipalos** – მონინალმდეგე.

„ნ“ ბგერა უარყოფასთანაა დაკავშირებული ფინურ ენა-შიც. ბოლოსართი **nen** ან **ton** სწორედ უარყოფის გამომხატველია. მაგალითად:

**ajaton** – არადროული

„ნ“ ბგერის ანალოგიური მნიშვნელობა გვხვდება სხვა ენებშიც:

იაპონური:

**nai, inai** – არყოფნა, არ

**han** – სანინაალმდეგო მოქმედება, ანტი-

სუაჰილი:

**kana** – უარყოფა

არაბული:

**abadan** – არასოდეს

სპარსული:

**-na-** უარყოფის ნიშანი (შუაში ჩართული)

**enqar** – უარყოფა

**nabudi** – არარსებობა

ჩინური:

**ni** – სანინაალმდეგო

**fān** – ანტი-

სანსკრიტი:

**na** – არ, არა

ინდონეზიური:

**djangan** – არ

**nafi** – უარყოფა, უარი

**nahi** – აკრძალვა

ჰინდი:

**nakhi** – არა

**na** – არ

ესპანური:

**no** – არ, არა

**nunca** – არასოდეს

ხეთური:

**natta** – არ, არა

**našma** – ან

ესკიმოსური:

**itun'a** – არ

**igan'** – არ

როგორც აღვნიშნეთ, „ნ“ ბგერით ასევე მკვეთრადაა გამოხატული ადამიანის თავისმიერი აზროვნების პროცესი. „ნ“ ბგერით გამოხატული ანტიპათიის ძალები სამყაროს აზროვნებითი აღქმის საფუძველია. იგი ამავე დროს ინტელექტუალობის განმსაზღვრელიცაა. ადვილად შევნიშნავთ, რომ ენების უმრავლესობაში ასევე მკვეთრადაა მოცემული „ნ“ ბგერის ეს თავისებურება. იგი ხშირად აზროვნების და სიბრძნის ნიშნებს გამოხატავს:

ქართული:

ტვი**ნი**

გო**ნი**

ანგარი**ში**

ცნ**ება**

ლათინური:

**pondero** – განსჯა

**mens** – გონება

**notio** – ცნება

ინგლისური:

**brain** – ტვინი, განსჯა

**count** – ანგარიში

**consider** – განხილვა

**contention** – კამათი, მტკიცება

**know** – ცოდნა

**mind** – გონება, თვალსაზრისი

**notion** – ცნება, შეხედულება, ცოდნა  
**counsel** – განხილვა

ირლანდიური:

**eagna, chinn** – გონება

ინდონეზიური:

**angan** – ცნობიერება

**dangka** – ფიქრი

**menung** – მსჯელობა

**nanang** – ჩაფიქრება, ფიქრებში ჩაფვლა

**pandai, pintar** – ჭკვიანი

**mandu, sangka** – თვალსაზრისი, პოზიცია

**kenal** – ცოდნა

სანსკრიტი:

**cint** – ფიქრი, აზროვნება

**jna** – ცოდნა, გაგება

**man** – ფიქრი

**manas** – აზრი, სული

ჩინური:

**cōng.ming** – ჭკვიანი

**nǎo** – ტვინი

**lùn** – განსჯა

**xīn.si** – აზრი

ხეთური:

**nuḥi** – გონიერება

სუაჰილი:

**dhana** – აზრი, შეხედულება

**dhani** – ფიქრი

**maana** – აზრი, მნიშვნელობა

**ubango** – ტვინი

**nazaa** – კამათი

სპარსული:

**andishe** – აზრი, იდეა

**nokte** – შეხედულება

**ma'ni** – მნიშვნელობა, იდეა

**nazar** – აზრი

**zahn** – ტვინი, განსჯა

**tanazo** – კამათი

**goman** – აზრი, თვალსაზრისი

ფინური:

**kina** – კამათი

**ydin** – ტვინი

ბერძნული:

**nus** – ჭკუა

იაპონური:

**kangae** – აზრი, ცნობიერება

**noozoo, noo** – ტვინი

**giron** – განხილვა, აზრი, დისკუსია, კამათი

გერმანული:

**Gedanke** – აზრი, ფიქრი

**Sinn** – აზრი, არსი

**Hirn** – ტვინი

**meinen** – ფიქრი

**denken, sinnen** – აზროვნება

ჰინდი:

**soch'na** – აზროვნება

**dana** – ბრძენი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანბანურ რიგში ნ ბგერა განცალკევებულად დგას. მას იმდენათ გამოკვეთილი შინაარსი აქვს, რომ პრაქტიკულად არ არსებობს ენა, სადაც იგი ასევე გამოკვეთილად არ იყოს გამორჩეული. ნ ბგერის მიმართ ყველა ენა საოცარ ერთსულოვნებას იჩენს.

## **B, P (ბ, პ, ფ)**

„ბ“ ბგერის შინაარსი ძალზე ზუსტად შეიძლება შევიგრძნოთ, თუკი ყურადღებას იმ ზოდიაქოსკენ მივაპყრობთ, რომელსაც ძველთაგანვე ამ ბგერას უკავშირებენ. ესაა ქალწულის ზოდიაქო.

ქალწულის ზოდიაქოდან მომდინარე სულიერი განწყობილება ფართოდაა გადმოცემული როგორც ძველ სულიერ ტექსტებში, ასევე ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებით შთამბეჭდავია შუა საუკუნეების ფერწერაში ვრცლად წარმოდგენილი თემა – მადონა ყრმით.

ნახატებში ცხადად შეიგრძნობა ფაქიზი, მაგრამ საიმედოდ დამცავი, შემომგარსველი ძალა, რომლითაც ღვთაებრივი ყრმაა მოცული.

დაახლოებით ამგვარი დამცავი შემოგარსვა შეიძლება დავუკავშიროთ „ბ“ ბგერას. ამ დროს თითქოს დაცვის მძებნელი და შემომგარსველი ერთდროულად ვლინდებიან.<sup>36</sup>

„ბ“ ბგერა, როგორც ადამიანის ცოცხალი განცდა, შეიძლება ამგვარი სურათ-ხატითაც წარმოვაჩინოთ:

წარმოვიდგინოთ ის შორეული წარსული, როცა ადამიანი ჯერ კიდევ დანაწევრებულად მეტყველებდა, როცა ჯერ კიდევ ცალკეულ ბგერებსა და მარცვლებში გამოხატავდა თავის განცდებს:

ადამიანები მიდიან დაბურულ ტყეში. ლამდება. ნვიმს. დროდადრო ტყეში საზარელი მტაცებელი ცხოველების ღრიალი ისმის. შეშინებული ადამიანები ფრთხილი ნაბიჯებით მიიწევენ წინ და თან თვალების ცეცებით თავშესაფარს ეძებენ. უეცრად, ერთმა რაღაც ტოტებისგან დაწნული ქოხის მაგვარი



შეამჩნია. კარგად დააკვირდა – შიგნით შეძვრა – ნამდვილად ქოხია. იგი თავისი ტომელის გასაგონად წარმოთქვამს – „ბ“ ამით მან შინაარსი პირდაპირი მნიშვნელობით გადმოსცა – „ბ“ ბგერა თავშესაფარს გამოხატავს. თანამგზავრი შედგა. ისიც მიემართება ქოხისკენ – ბა!.. ხმამალა ყვირის მეორე. „ბ“ ბგერით ისიც ადასტურებს, რომ მათ იპოვეს თავშესაფარი, ხოლო „ა“ ხმოვანი ამ დროს სიხარულის, აღტაცების შინაგან განცდას ახმოვანებს.

უკვე პირველი ანბანის შექმნისას საოცარი სიზუსტით გამოიხატა „ბ“ ბგერის მნიშვნელობა. სემიტური სიტყვა ხĕt<sup>h</sup> საფუძვლად დაედო ასო „ბ“-ს დასახელებას. სემიტური ანბანის ასო „ბ“-ს დასახელება (bĕt<sup>h</sup>) „სახლს“ ნიშნავს.

მოგვიანებით შექმნილ ბერძნულ ანბანში „ბ“ ბგერის სემიტური დასახელება შენარჩუნებულ იქნა.

როგორც ცნობილია, „ბ“ და „პ“ ბგერები მონათესავე ბგერებია. სხვადასხვა ენებში ხშირად ისინი მსგავსი სიტყვების გამოხატვისას ერთმანეთში გადადიან.

ანბანის შექმნის წინარე ეპოქაში, ეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობაში სიტყვა „სახლი“ გამოისახებოდა ლოგოგრამით



იგი ძველ ეგვიპტურად გამოითქმოდა როგორც **პ – რ** (გახმოვანებული ხმოვნებით). ესე იგი, ეგვიპტურად სახლის უმთავრესი განცდა „პ“ ბგერაში იყო მოცემული.

საინტერესოა, რომ სემიტურ და ბერძნულ ენებში არსებული ასო „ბ“-ს დასახელების პრინციპი ანალოგიურია ქართულ ანბანშიც. აქ ასო „ბ“-ს დასახელებაა – „ბანი“, ანუ „ბანი“. ცხადია, სიტყვა „ბანი“ სწორედ ადამიანის თავშესაფარს გამოხატავს. ბანი სახლში მყოფთათვის თავშესაფარს ქმნის.

ანალოგიური შინაარსით „ბ“ ბგერა ქართულ ენაში ძალზე ფართოდაა წარმოდგენილი (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი მათგანი სხვა ენიდანაა გადმოსული), მაგალითად:

**ბინა** – ადამიანების საცხოვრებელი

**ბუდე** – ჩიტების სამყოფი

**ბოსელი** – შინაური ცხოველების თავშესაფარი

**ბუნაგი** – გარეული ცხოველების თავშესაფარი

**ბაგა** – ადგილი, სადაც შინაურ ცხოველებს აბამენ

**ბელელი** – მოსავლის დამცავი გარემო

ანალოგიურ დამცავ, შემომგარსველ გარემოს ქმნის:

**ბალი** – ხილისთვის

**ბოსტანი** – ბოსტნეულისთვის

**ბაგა** – ბავეშვებისთვის

ძველ ქართულში ბევრია სიტყვა, რომლებიც დღეისთვის ნაკლებად იხმარება ძველი მნიშვნელობით:

**ბელლოჯი** – კლდეში ფულურო

**ბაქანი** – კლდეში მცირე ვაკე რამე

**ბელო** – საძნე სახლი

**ბანაკი** – რაიმე ადგილას მყოფი ხალხი

**ობა** – სადგომი, ბანაკი, ნაბდის კარავი

ძველ ქართულში ასევე ბევრი სიტყვაა, რომელიც საკვების-თვის ქმნის შემომზღუდავ არეს:

**ბაკანი** – ხის ჯამი

**ბადია** – ჯამი

**ბიდახი** – „ფილაზე მეტი ჭურჭელია“ (სულხან-საბა)

**ბურეჯი** – ცომის ვარცლი

ასევე ძველი ქართულიდან მომდინარეობს სიტყვა **ბუტკო** – „რა დაიყვავილოს და ხილი გამოაჩნდებოდეს“. ბუტკო ის ადგილია, სადაც ნაყოფი განვითარებამდე თავშესაფარს პოვებს.

ასევე „ბ“ ბგერის შინაარსი იკვეთება სიტყვაში:

**ბარეშული** – „შესანახ ქმნული“ (სულხან-საბა)

ანალოგიურ კონტექსტში განიხილება სიტყვები:

**ამბარი** – პურის შესანახი

**ბაკანი** – კუს ბუდე ძვლისა

**ბაკი** – „მრგვლად მოვლებული ღობე ან ფიცრული ხვას-ტანგთ დასაყენებელი“ (სულხან-საბა)

**ქვაბული** – ქვაში გამოკვეთილი სადგომი

**კიდობანი** და ა. შ.

**ფ** ბგერის მფარველობითი ფუნქცია ზუსტადაა გამოხატული სიტყვაში – „ფარი“. ასევე, სწორედ ეს სიტყვა გამოხატავს „ფ“ ასოს ქართულ ანბანურ სახელს – „ფარ“. **ფ** ბგერის მნიშვნელობა ანალოგიურია სიტყვებში:

სა**ფ**არველი

**ფ**არდა

და**ფ**ლვა

**ფ**ულურო

ქართულ ენაში „ბ“ ბგერის მფარველობითი მნიშვნელობა ძალზე ფართოდაა მოცემული.

„ბ“ ბგერის მიმართ ასევე განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ძველი ებრაული სამყაროც. მათი წმინდა ტექსტი „ზოარი“ „ბ“ ბგერას განსაკუთრებით გამოარჩევს და სამყაროს შექმნის საფუძვლად განიხილავს.

მას შემდეგ, რაც ანბანის ყველა ასო რიგ-რიგობით გამოცხადდა შემოქმედთან და სამყაროს შექმნის საფუძვლად საკუთარი თავი შესთავაზა, მასთან ასო bet<sup>h</sup>-იც მივიდა და მანაც იგივე სურვილი გამოთქვა:

„სამყაროს შემოქმედო, კარგი იქნება თუ ჩემით შექმნი სამყაროს, რადგან ჩემით გადიდებენ შენ დიადნიც და მცირენიც. bet<sup>h</sup> ხომ არის Brak<sup>h</sup>a – ლოცვა-კურთხევა.

შემოქმედმა უპასუხა მას: „რა თქმა უნდა, შენით შევექმნი სამყაროს და შენ იქნები სამყაროს საწყისი!“<sup>37</sup>

ესე იგი, ებრაული წარმოდგენით „ბ“ ბგერაზე დაფუძნებული მთელი სამყარო უფლისგან შექმნილი კოსმიური თავშესაფარია. შესაქმეს მიხედვით, ასევე უფლისგან შექმნილი ყველა არსება ამ სამყაროში „სახლდება“.

ბევრ ძველ ანბანში „ბ“ ასო თანხმოვანთა შორის პირველ ადგილზე დგას.

„ბ“ ბგერის განხილული მნიშვნელობა თითქმის ყველა ენაში მკვეთრადაა მოცემული. ამავე დროს, ისიც შევნიშნოთ, რომ მფარველობის განცდა მხოლოდ მატერიალურ სფეროში არსებულ თავშესაფარს არ გულისხმობს. სულიერი თავშესაფარის გამომხატველი სიტყვებიც ხშირად იგივე **ბ**, **პ**, **ფ** ბგერებით

გამოიხატება. შეიძლება ქვემოთ რამდენიმე ენაში სახასიათო  
ლექსიკური მაგალითები მოვიყვანოთ:

სვანური:

**ბაგ** – ბაგა  
**ბაგ, ბარბაქ** – შენობა საქონლისთვის  
**ბიდ, საბდარ** – ბუდე  
**მ/ლფარი** – საბურველი

ინგლისური:

**abode** – საცხოვრებელი  
**barn** – ბელელი  
**barrack** – ბარაკი  
**barrel** – კასრი  
**barricade** – ბარიკადა  
**barrier** – ბარიერი  
**barrow** – ყორღანი  
**bastion** – ბასტიონი  
**beware** – გაფრთხილება  
**bivouac, bivoy** – ბანაკი, კარავი  
**bolt-hole** – თავშესაფარი  
**bank** – ბანკი  
**box** – ყუთი  
**building** – შენობა  
**bury** – მიწაში ჩაფვლა  
**byre** – საძროხე  
**cabin** – ქოხი

ირლანდიური:

**aitreabh** – საცხოვრებელი  
**bothog, bothan** – ქოხი

ლათინური:

**bubile** – ბოსელი

**habitatio** – ბინა  
**mapalia** – კარავი  
**apotheca** – ბელელი  
**stabulum** – თავლა  
**taberna** – ქოხი  
**patronus** – მფარველი, პატრონი  
**protectio** – მფარველობა  
**bustum** – საფლავი  
**parma** – ფარი

გერმანული:

**Speicher** – ბელელი  
**Obdach** – თავშესაფარი  
**Grab** – საფლავი

სპარსული:

**ambar** – ბელელი, სანყოფი  
**kolbe** – ქოხი, კელია  
**jabe** – ყუთი  
**bostan** – ბოსტანი  
**boshqe** – კასრი  
**baghche** – ბოსტანი, ბახჩა  
**panah** – საფარი  
**bagh** – ბაღი

არაბული:

**bayt** – სახლი  
**busta:n** – ბოსტანი  
**mahba** – ბუნავი  
**qabr** – საფლავი

იაპონური:

**kabe** – კედელი, ტიხარი  
**boana, bojoo** – საფლავი

ჩინური:

**bäobi, bihù** – მფარველობა

**bäozä** – შეფუთვა

**bäobiäo** – დაცვა

**bäohù** – დაცვა, დარაჯობა

**bäo** – შენახვა

**bèifù** – დაფარვა

**bimù** – ფარდის ჩამოფარება

**binànsuǎ** – თავშესაფარი

**bi** – კედელი

**bilèl** – ბასტიონი (ციხეკოშკის)

**píngtái** – ღია ტერასა სახლის სახურავზე, ბანი

**píngbi** – დაფარვა, საფარველი

**pǔ** – ბოსტანი, ბაღჩა

**dùnpái** – ფარი

აქადურ-შუმერული:

**bet** – სახლი

ჰინდი:

**panakh, bachao-ghar'** – თავშესაფარი

**b<sup>h</sup>avan** – ბინა

მაია:

**pish-an** – დაფარული

**paa** – ლობე

**chib** – სიმაგრე, გამაგრებული ადგილი

ებრაული:

**bait** – სახლი

ესპანური:

**tapar** – თავშესაფარი

**piso** – ბინა

**aprisco, pocilga** – ბოსელი

**panera** – ბელელი  
**espata** – ბუდე  
**cubil** – ბუნაგი

ტიბეტური:

**khan-pa** – ბინა, სახლი

ავარიული:

**bakhchi** – თავშესაფარი

ინდონეზიური:

**saput** – ფარდა, საფარველი

**bak** – ჭურჭელი

**balai** – სახლი

**baluarti** – სიმაგრე, ბასტიონი

**bawal** – შალითა

**bedeng** – ქოხი

**bela** – დაცვა, გაფრთხილება

**pembela** – დამცველი

**belubur** – კასრი

**bendung** – დამბა, ჯებირი

**benteng** – ციხეკოშკი, ბასტიონი

**bina** – სახლი, შენობა

**bok, peti** – ყუთი

**depo** – სანყოფი

**ebek** – ჩარდახი, ფარდული

**hidjab** – ფარდა, ჩადრი

**kabun** – ბალი, პარკი

**lepau** – ფარდული

**panti** – საცხოვრებელი სახლი

**parak** – ბალი, პლანტაცია

**pasara** – საფლავი

**pelihara** – დაცვა, გაფრთხილება

**puri** – ციხეკოშკი (წყლის თხრილით შემოვლებული)

**tabir** – ფარდა  
**atap** – სახურავი

სუაჰილი:

**banda** – დიდი ფარდული  
**behewa** – სანყოფი  
**beti** – სახლი  
**bohari** – ბელელი, სანყოფი  
**boma, buruji** – ციხეკოშკი, სიმაგრე, გალავანი  
**buniani** – ნაგებობა  
**bustani** – ბაღი  
**bweta** – ყუთი  
**jumba** – სასახლე, მუზეუმი  
**lambo** – დამბა  
**makaburi** – სასაფლაო  
**nyumba** – სახლი, ქონი  
**pazia** – ფარდა

ურარტუ:

**bitu** – სახლი  
**burgana** – საცხოვრებელი

თურქული:

**bahçe** – ბაღი  
**bostan** – ბოსტანი  
**depo** – ბელელი  
**barınak** – თავშესაფარი  
**perde** – ფარდა

რუსული:

**обиталище** – საცხოვრებელი  
**андр** – ბელელი  
**берлога** – ბუნაგი  
**покровитель** – მფარველი



## უბეჯიშე – თავშესაფარი

ხეთური:

**happu** – ღობე, ზღუდე

**apuzi** – ბელელი

**ბ** ბგერა ერთ-ერთი იმ ბგერათაგანია, რომლის პირველადი მნიშვნელობაც ძალზე ფართოდ შემორჩა თანამედროვე სამეტყველო ენებში. იგი განსაკუთრებულად გამოკვეთილია ქართულ ენაში. ზოგადად თუ შევადარებთ, შესამჩნევია, რომ **ბ** ბგერის პირველადი შინაარსი აღმოსავლეთის ხალხთა ენებში უფრო მეტადაა შენარჩუნებული, ვიდრე დასავლეთში.

## R (რ)

„რ“ არის მთრთოლი ბგერა, რომელიც ღრმად უკავშირდება ყველა იმ პროცესს, რაც ადამიანში რიტმს განსაზღვრავს. უპირველეს ყოვლისა, იგი შეეხება ჰაერის მონაცვლეობას ადამიანის ორგანიზმში. ეს არის სუნთქვის რიტმი. სუნთქვის რიტმი, თავის მხრივ, ჩართულია სხვა რიტმულ პროცესებშიც, მაგალითად, სისხლის მიმოქცევის ან დაძინება-გაღვიძების რიტმებში, ადამიანის ორგანიზმის ცირკულაციის მოვლენებში.

„რ“ ბგერის წარმოთქმისას ადამიანს აქვს განცდა იმისა, რომ მასში რალაც ირხევა, რალაც რიტმულად ვიბრირებს.

ადვილად შევამჩნევთ, რომ ქართულ ენაში სიტყვა „**ჰაერი**“ სწორედ „რ“ ბგერას ეყრდნობა, მის შინაარსში სწორედ „რ“ ბგერას შეაქვს რიტმული მოძრაობის განცდა, რაც ნიშანდობლივ დამახასიათებელია ადამიანის ჰაერთან მიმართებისთვის. სიტყვა „**რიტმიც**“, რომელიც ადვილად დამკვიდრდა ქართულ ენაშიც, ასევე ძალზე ზუსტად გამოსახავს „რ“ ბგერის ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს.

ჰაერის მოძრაობა, ცხადია, მხოლოდ ადამიანის ორგანიზმთან არ არის დაკავშირებული, ბუნებაშიც მას იმპულსური,

მთრთოლი მოძრაობის ხასიათი აქვს. ქართულ ენაში ჰაერის მოძრაობისთვის დამახასიათებელი მოვლენებიც „რ“ ბგერის არსებობით გამოირჩევა:

ქარი

ფრიალი

ჰაერთან, ჰაერის მოძრაობასთან და სუნთქვით პროცესებთან „რ“ ბგერის კავშირი ნათლად ჩანს ბევრ ენაში:

ქართული:

ჰაერი

ქარი

ქროლვა

ბერვა

რუსული:

ветер – ქარი

ინგლისური:

air – ჰაერი

aura – ქროლვა

breath – სუნთქვა

respire – სუნთქვა

ირლანდიური:

aer – ჰაერი

არაბული:

ri:h: – ქარი

სუაჰილი:

roho – სუნთქვა, სამშენველი, სიცოცხლე

ბერძნული:

aeras – ჰაერი

ებრაული:

**avir** – ჰაერი  
**ruakh** – ქარი

ესპანური:

**aire** – ჰაერი  
**respirar** – სუნთქვა  
**vierto** – ქარი

ინდონეზიური:

**udara** – ჰაერი

ავარიული:

**ghuri** – სუნთქვა, ქარი

სანსკრიტი:

**marut** – ქარი

თურქული:

**rüzgar** – ქარი

„რ“-ს შინარსს კარგად გამოხატავს სიტყვები: **თრთის**, **ფარფატებს**.

ასევე რიტმულ მოვლენას წარმოადგენს ფრინველთა ფრენაც. შესაბამის სიტყვებშიც აშკარაა „რ“-ს ხასიათი:

**ფრთა**

**ფრენა**

**ფრინველი**

ასევე რიტმულ მოძრაობას აფიქსირებს სიტყვა – **მარაო**.

ანალოგიური სიტყვაა – **მორიგეობა**.

„რ“ ბგერისთვის დამახასიათებელი რიტმული მოძრაობა ფიზიკურ პლანში გამოკვეთილია წრიულ მოძრაობაში. ყველა სახის წრიული მოძრაობა, ცხადია, რიტმით ხასიათდება. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ წრესთან და საერთოდ წრიულ

მოძრაობასთან დაკავშირებულ სიტყვებში სწორედ „რ“ ბგერა დომინირებს:

წრე  
წრენირი  
რადიუსი  
დიამეტრი  
ორბიტა  
რკალი  
რგოლი  
ლერძი  
ირგვლივ  
ფარგალი  
მრგვალი  
ბრუნვა  
ბზრიალი  
ბორბალი  
ბორჯღალა  
რული  
ტრიალი  
ცირკულაცია  
გორვა  
გრეხა  
როკვა  
რყევა  
რხევა  
თრთოლვა  
რწევა

ადვილად შევამჩნევთ, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ასო „რ“ გრაფიკული ფორმით სწორედ ბრუნვით მოძრაობას გამოხატავს:

რ

ბრუნვითი მოძრაობის განცდა თითქმის ყველა სამეტყველო ენაში გამოკვეთილად ფიქსირდება.

რიტმის და ბრუნვის განცდები ბერძნულ ენაშიც თვალში

საცემია. სიტყვა „რიტმიც“ სწორედ ბერძნული ენიდან მომდინარეობს:

**rithmos** – რიტმი  
**iiros** – წრე  
**troxos** – ბორბალი  
**ologyra** – ირგვლივ  
**gyrizo** – ბრუნვა, ტრიალი  
**strefo** – ბრუნვა  
**ftero** – ფრთა  
**strongilos** – მრგვალი  
**gyro** – გარშემო

სვანური:

**ჩირჯიკ** – ბზრიალი  
**ბარბელდ** – ბორბალი  
**მურგველ** – მრგვალი  
**ლიმდრანი** – დაგრეხა

ლათინური:

**verto** – ბრუნვა  
**rota** – ბორბალი  
**repeto** – გამეორება  
**rotundus, teres** – მრგვალი  
**radium** – რადიუსი  
**circus** – რკალი  
**vibro** – რხევა  
**orbis** – წრე

ინგლისური:

**stir, reel** – რხევა, ბრუნვა  
**repeat** – გამეორება  
**ring, circle** – რგოლი, წრე  
**roller** – გორგოლაჭი, ლილვი  
**rotate** – ბრუნვა

**rotor** – როტორი  
**round** – წრიული, მრგვალი  
**vary** – ცვალებადობა  
**wring** – დაგრეხა  
**twirl** – ბრუნვა, გრეხა  
**whirl** – ტრიალი, ბრუნვა  
**orbit** – ორბიტა

ირლანდიური:

**ciorcal** – წრე  
**rothlaigh** – ბრუნვა  
**cruinn** – წრიული, მრგვალი  
**abair, aris** – გამეორება  
**roth** – ბორბალი

რუსული:

**вращаться** – ბრუნვა  
**круг** – წრე  
**круглый** – წრიული  
**крыло** – ფრთა  
**повторить** – გამეორება  
**вертеть** – ბრუნვა  
**крутить** – გრეხა

გერმანული:

**Drehung** – ბრუნვა  
**schwirbeln** – ბრუნვა  
**Ring** – წრე  
**Runde** – წრე, რაუნდი  
**Kreis** – წრე, წრენიერი  
**rund** – მრგვალი  
**Rad** – ბორბალი  
**Zirkel** – წრე  
**rollen** – გორვა

არაბული:

mudawwar – მრგვალი  
da'ra – წრე  
dawr – წრეწირი  
rawa:j – ბრუნვა  
irtajafa – თრთოლვა

ჰინდი:

p<sup>h</sup>ir'na', chakkar, avartan – ბრუნვა  
dai'ra, g<sup>h</sup>era, chakr' – წრე  
golakor – მრგვალი  
par – ფრთა  
gakh-rana – გამეორება

ებრაული:

khazara – გამეორება

ესპანური:

girar, giro – ბრუნვა  
circulo – წრე  
vibracion – რხევა  
redondo – მრგვალი  
rueda – ბორბალი  
repetir – გამეორება  
entorchar – გრეხა  
rodar – გორვა

ავარიული:

torize, sverdize – ბრუნვა  
gor – წრე  
gurginab – მრგვალი  
charkh – ბორბალი  
kbarki – ფრთა  
takrarli – გამეორება

სპარსული:

daiere – წრე, წრენირი  
charkhesh – ბრუნვა  
charkh – რგოლი  
gardesh – ბრუნვა, შემობრუნება  
charkh – ბორბალი  
faregar – ფარგალი  
piramun – ირგვლივ  
teqrar – განმეორება

იაპონური:

sharin – ბორბალი  
marui – მრგვალი  
mavaru – ბრუნვა, ტრიალი  
rooraa – გორგოლაჭი  
yureru – ქანაობა

ფინური:

liereä, pyöreä – მრგვალი  
harppi – ფარგალი  
horjua – ქანაობა, რწევა  
kierto, rotaatio – ბრუნვა  
kierros – წრე, შემობრუნება  
kierukka – სპირალი  
piiri – წრე  
pyörä – ბორბალი  
rengas, sormus – რგოლი  
rulla – გორგოლაჭი, ლილვი  
kerrata – გამეორება

ხეთური:

irhatta – წრე  
hurki – ბორბალი



სუაჰილი:

bikari – ფარგალი  
duara – წრე, წრენირი  
duru – ბრუნვა, ტრიალი  
kariri – მრავალჯერადად განმეორება  
mviringo – წრე, მრგვალი  
gurudumu – ბორბალი

ინდონეზიური:

bundar – მრგვალი  
irama – რიტმი, ტაქტი  
kirap – ფრთების ქნევა, რხევა  
putar, kitar – ბრუნვა, ტრიალი  
kring – წრე, წრენირი  
berlegar – ბრუნვა, მონაცვლეობა  
lereng – ლილვი  
plintir — დაგრეხა  
pusar – ბზრიალი  
roda – ბორბალი

თურქული:

yuvarlak – მრგვალი  
daire – წრე  
çevre – წრენირი  
kivrak – გრეხა  
çark, tekerlek – ბორბალი

„რ“ ბგერის რიტმული მოძრაობის მნიშვნელობა მკვეთრადაა გამოხატული ისეთ სიტყვაში, როგორცაა „კარი“. ცხადია, ყველა ადამიანს აქვს ყოველდღიური განცდა, რომ კარი მუდმივად იღება და იხურება. მისი გაღება-დახურვის პროცესი რიტმულია. ცხადია, რიტმული გაღება-დახურვის თვისება ერთადერთი დამახასიათებელი ნიშანი არ არის კარისათვის. ზოგიერთ ენაში მისი სხვა ნიშნები ფიქსირდება (რასაც ქვემოთ კიდევ შევეხებით), თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრ

ენაში სწორედ კარის გაღება-დახურვის რიტმულობაზედაცაა აქცენტი:

ქართული: კარი  
სვანური: ყორ  
რუსული: дверь, ворота  
ლათინური: porta  
ინგლისური: door  
ირლანდიური: doras  
ბერძნული: porta  
სპარსული: dar  
სუაჰილი: tarabe  
გერმანული: Tür  
ფინური: portti  
ჰინდი: dvar, darvaza  
ებრაული: shaar  
ესპანური: puerta  
ავარიული: rago  
სომხური: dur  
თურქული: spor

„რ“ ბგერის განცდა ძველთაგანვე კიდევ უფრო ფართო გაგებითაც არსებობდა. კოსმოსურ ასპექტში ადამიანი „რ“ ბგერის წარმოთქმისას განიცდიდა რაღაც ისეთს, რაც კოსმოსურ სივრცეში ვიბრირებს, პულსირებულად ასხივებს დედამიწისკენ. ყოველდღიურად რაღაც საჩუქარივით მოდის ზენა სამყაროდან და მას ადამიანი განიცდის ყოველი გამოღვიძებისას, ყოველ დილას. ადამიანი გაღვიძებისას ალტაცებით ხვდება ამ ზეციურ საჩუქარს. ძველი ეგვიპტელები მზიურ ღმერთს გამოხატავდნენ ამ ბგერით – „რა“. ყოველ დილით მზე ამოდის. „რ“ ბგერის ამ კოსმოსურ ასპექტს ბევრ სიტყვაში ვხვდებით.

ადამიანის ყოველდღიური განცდა, რაც მას ქვეცნობიერად დილაობით ეუფლება, როგორც ზევიდან მიღებული საჩუქარი, კარგად ჩანს ისეთ სიტყვებში, რომლებიც დილასთან დაკავ-

შირებულ განცდებს გამოხატავს. ბევრ ენაში სიტყვა „დილა“ რ ბგერას ეფუძნება:

სვანური: ძინარ  
მეგრული: ოჭმარე  
რუსული: утро  
ინგლისურად: morning  
გერმანული: Morgen  
ჰინდი: savera  
ბერძნული: proi  
ებრაული: boker  
ინდონეზიური: fadjar  
ავარიული: rogel  
სანსკრიტი: prātar

ზოდიაქოების კოსმოსურ წრეზე „რ“ ბგერა კუროს ზოდი-აქოს შეესაბამება. ძველი წარმოდგენით „რ“ ბგერა სწორედ ამ ზოდიაქოდან მომდინარეობს. ადამიანის ფიზიკურ აგებულებაში იგივე კუროს ზოდიაქოს შეესაბამება ხორხის არე. საინტერესოა, რომ სწორედ ამ არეში წარმოიქმნება ბგერა. ბგერის წარმოქმნაც თავისთავად ვიბრირებადი პროცესია. მართალია, ამ თემას „ხ“ ბგერასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად შევეხებით, მაგრამ აქვე მოკლედ შევნიშნავთ, რომ სწორედ „რ“ ბგერითაა განსაზღვრული შესაბამისი სიტყვები:

ხორხი  
კურო (ზოდიაქო)  
ბგერა

ასევე „რ“ ბგერა გვხვდება იმ სიტყვებშიც, რომლებიც ასევე ხორხის არეში წარმოქმნილ მოვლენებს გამოსახავს და ასევე ვიბრირების ხასიათი აქვს: ხვრინვა, ხრიალი, ხროტინი და სხვა.

რ ბგერა ერთ-ერთი იმათაგანია, რომელსაც მონათესავე ბგერები არ ჰყავს. სწორედ ამიტომაც იგი ყველა ძველ და ახალ ენებში ძალზე მკვეთრადაა გამოვლენილი. გამონაკლისე-

ბი თითქმის არც კი გვხვდება. ბგერა რ ყველგან ერთი და იმავე შინაარსის გამომხატველია.

## С (ც)

„ც“ ბგერაში ადამიანი განიცდის სიმძიმის ძალის შემსუბუქებას, ზეანევისას. „ც“ ბგერაში თითქოსდა წონის შემსუბუქება შეიგრძნობა.

გრაფიტაციის ძალის დაძლევა და მკვეთრად გამოხატული ზესწრაფვა ძალზე ზუსტადაა მოცემული ისეთ ქართულ სიტყვაში, როგორცაა „ცეცხლი“. ცეცხლი სწორედ ის სტიქიაა, რომელიც მუდმივად სიმძიმის ძალის საწინააღმდეგო მიმართულებით მიისწრაფვის.

„ც“ ბგერის ორმაგი განმეორება კიდევ უფრო ამძაფრებს ცეცხლში მოცემულ ზესწრაფვის ტენდენციას.

„ც“ ბგერის შინაარსი ასევე მკვეთრადაა გამოკვეთილი სიტყვაში – „ცა“. ცა სწორედ იმ სფეროდაა წარმოდგენილი, რომელიც თავისუფალია მიწიერი სიმძიმის ძალების მოქმედებისაგან.

ქართულ ენაში არსებობს ბევრი სიტყვა, სადაც გრაფიტაციის შემსუბუქების განცდა სწორედ „ც“ ბგერითაა გამოხატული. მაგალითად:

### ცურვა

ცურვისას, ცხადია, ადამიანს სიმძიმის შემსუბუქების აშკარა განცდა აქვს.

ასევე სიმსუბუქეს შეიგრძნობს ადამიანი ცეკვისას. სიტყვა ცეკვაც სწორედ ანალოგიურ განცდას იძლევა.

რაიმე სივრცის მასისგან განთავისუფლებაც, ცხადია, სიმძიმის შემსუბუქებაა, რაც კარგადაა გამოხატული ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა:

### ცარიელი, დაცლა

ქართულ ენაში ადამიანის ქცევასთან დაკავშირებით არსებობს სიმძიმისა და სიმსუბუქის ცნებებთან დაკავშირებული

ასოციაციები. ადამიანის ზოგიერთ ქცევაზე ამბობენ, რომ ის „მძიმედ“ იქცევა, ზოგიერთზე კი – „მსუბუქად“, „მჩატედ“. ამგვარ „მსუბუქ“, „მჩატე“ საქციელის შესახებ არსებობს გამოთქმები:

**ცერცება**

**ცანცარა**

**ცქვიტი**

**ცმუკვა**

**ანცი**

ამ სიტყვების ასოციაციები ზუსტად შეესაბამება თავად „ც“ ასოს შინაარსს. ადამიანის მოქმედება როგორღაც გამსუბუქებულადაა წარმოდგენილი. ანალოგიური ასოციაციაა სიტყვაში:

**ოცნება**

იგი გულისხმობს ზეატაცებას, რეალობიგან მოწყვეტას.

შინაგანი სულიერი შემსუბუქების განცდას გამოხატავს სიტყვა „ლოცვა“.

ასევე ადამიანის სამშვინველის გაფართოების, შემსუბუქების განცდაა მოცემული ისეთ ადამიანურ ქმედებაში, როგორიცაა „სიცილი“. სიცილის დროს ადამიანი გრძნობს, რომ მისი შინაგანი სამყარო თითქოს ფართოვდება, მსუბუქდება.

„ც“ ბგერის მნიშვნელობა საოცარი სიღრმითაა მოცემული ძველ ქართულში არსებულ სიტყვაში – „ცახე“. სულხან-საბას მიხედვით ეს სიტყვა ასე განიმარტება:

„რა მზის შუქი სახლად შედგეს, მას შინა იხილვებიან ვითარცა მტვერი აღმავალი, მას მცირესა ენოდების“.

ესე იგი, „ცახე“ არის მტვრის ის უმცირესი ნაწილაკები, რომლებიც ჰაერში მხოლოდ მზის სხივებში ჩანს და რომლებიც არ ემორჩილებიან სიმძიმის ძალის გავლენას – ისინი ჰაერში აღმავალი მიმართულებითაც კი მოძრაობენ. ჰაერში მტვრის ნაწილაკების აღმავალი მოძრაობა ადამიანის ყოველდღიურ გამოცდილებაში თვალნათელი ფაქტია. „ც“ ბგერის შინაარსიც ძალზე ზუსტად შეესაბამება გრავიტაციის დაძლევის ამ მოვლენას.

„ც“ ბგერის მნიშვნელობა ასევე ზუსტადაა გადმოცემული

ქართულ სიტყვაში – „ცენება“, რაც მცენარის ამოსვლას ნიშნავს. ეს მოვლენაც გრაფიკაციის დაძლევის ნათელი მაგალითია. იგივე შინაარსი იგულისხმება თავად სიტყვა „მცენარე“-შიც.

ძველ ქართულში არის კიდევ ერთი საინტერესო სიტყვა – ცეკუნა (ცეკვანა). სულხან-საბას განმარტებით ეს არის შავი ფერის მწერი, რომელიც წყალზე დარბის და არ იძირება.

როგორც ვხედავთ, აქაც აქცენტის სწორედ სიმძიმის ძალის დაძლევაზეა.

„ც“ ბგერის ანალოგიურ მნიშვნელობებს სხვა ენებშიც ვხვდებით. მაგალითად, ავარიულ ენაზე „ცეცხლი“ სწორედ ამ ბგერით გამოიხატება – ts|a.

რუსულში ცეკვის აღმნიშვნელი სიტყვა „ც“ ბგერითაა განსაზღვრული – танец, танцевать. ანალოგიური შემთხვევაა გერმანულშიც: Tanz – ცეკვა.

იგივე სიტყვის გამოთქმისას ასევე „ც“ ბგერას ვხვდებით მაიას ენაზეც: bal-ts'am – ცეკვა. მაიას ენაზე ცისა და ცეცხლის შესატყვის სიტყვებშიც „ც“ ბგერით გამოისახება:

itsam-nga – ცა

nuts' – ცეცხლოვანი

შეიძლება შევნიშნოთ, რომ „ც“ ბგერის პირველადი მნიშვნელობა საოცარი სიზუსტითაა შენარჩუნებული ქართულ ენაში. სხვა ენებში მისი მნიშვნელობა შედარებით გაფერმკრთალებულია.

## L (ლ)

„ლ“ ბგერის წარმოთქმისას ადამიანს აქვს განცდა, რომ რაღაც მატერიალური თითქოსდა ქრება, გვშორდება, თვალთახედვიდან იკარგება, ჩვენგან მიცურავს. რაღაც მატერიალური იშლება, განქარვდება, ერთი ცენტრიდან ფართოვდება, განივრცობა.

„ლ“ ბგერა ძალზე ღრმადაა დაკავშირებული ყველა იმ მოვლენასთან, რაც მეტ-ნაკლებად წყლის სტიქიას უკავშირდება. ეს შეეხება როგორც ბუნებაში, ასევე თავად ადამიანის

სხეულში არსებულ წყლოვან პროცესებს.

ადამიანის ორგანიზმში უდიდეს ნაწილს სწორედ სითხე წარმოადგენს. ეს ძირითადად არის სისხლი, ასევე ქსოვილოვანი სითხე, ლიმფა, თავის ტვინის და ზურგის ტვინის სითხეები და სხვა. ყველა ეს ფიზიკური სუბსტანცია განსაზღვრავს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს.

რამდენადაც „ლ“ ბგერა უმთავრესად წყლის სტიქიის განცდას გამოსახავს, შემთხვევითი არ არის, რომ ქართულ ენაში ამ სიტყვაშიც გვხვდება ბგერა „ლ“ – წყალი.

იგივე განწყობილებაა სიტყვებში – ტალღა, ღელვა.

ადამიანის ორგანიზაციაში არსებული „წყლოვანი“ პროცესების დასახელებებშიც შეიმჩნევა „ლ“ ბგერის არსებობა:

ლიმფა

სისხლი

ჯირკვალი

ცრემლი

ოფლი

„ლ“ ბგერის თხევად სტიქიასთან დაკავშირება კარგად ჩანს ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა:

ლიანქერი – დამდნარი თოვლის ნადენი ღვარი

ლივლივი – წყლის ზედაპირის მოძრაობა

ლორწო

ლტობა – დასველება

ლუმბრა – წყლის მორევი

ლლობა, ლხობა

ლბობა

სველი

ოლე – ჭანჭრობი

წყლის სტიქიასთან და საერთოდ წყლოვან პროცესებთან „ლ“ ბგერის კავშირი გამოკვეთილია სხვა ენებშიც:

სვანური:

ლიც – წყალი  
ჭალა – მდინარე  
ლითრე, ლიშვე – სმა  
ჭავლ – ტალღა

ბერძნული:

talassa – ზღვა  
limni – ტბა  
melani – მელანი

არაბული:

sai`l – სითხე  
muballal – სველი

სპარსული:

batlagh – ჭაობი  
talab – წყალსაცავი, გუბე  
mahlul – ხსნარი  
laban – რძე

ლათინური:

flumen – წყალი, მდინარე  
lac – რძე  
liquor – სითხე  
solutio – ხსნარი  
palus – ჭაობი  
uligo – სისველე  
lacus – ტბა  
palagus, salum – ზღვა

ინგლისური:

lillow – დიდი ტალღა, აღელვება  
blood – სისხლი



liquid – თხევადი, სითხე  
solute – ხსნარი  
lake – ტბა  
milk – რძე

ირლანდიური:

fuil – სისხლი  
suaslagan – ხსნარი  
bligh – რძე

ჩინური:

lán – ტალღა  
lèi – ცრემლი  
lin – მორწყვა, დასხმა  
linyü – თავსხმა წვიმა  
liú – წყლის დინება, გაოფლიანება

ფინური:

aalto, laine – ტალღა  
tulva – წყალდიდობა, ნაკადი  
liko – ხსნარი

მაია:

tul – წყალი  
in-el – წვიმა  
ol-om – სისხლი  
muluk – წყალი, წვიმა

ინდონეზიური:

gelombang – ტალღა  
kali – მდინარე  
kolam – ტბა, წყალსაცავი  
lamun – დატბორვა, ჩასხმა  
larutan – ხსნარი

laut – ზღვა  
letjet – სველი  
luak – ჭა  
telaga – ტბა  
balong – გუბე, წყალსაცავი

სანსკრიტი:  
jala – წყალი

სუაჰილი:  
lowa – დასველება, ნესტიანი  
lowefu – სველი

რუსული:  
молото – ჭაობი  
лужа – გუბე  
молоко – რძე  
поливать – მორწყვა  
волна – ტალღა

ჰინდი:  
jal – წყალი  
lahar – ტალღა

გერმანული:  
Welle – ტალღა  
Fluß – მდინარე

ებრაული:  
gal – ტალღა

შუმერული:  
lakhamu – წყალი

ხეთური:

**luli** – ტბა, გუბე, ჭა  
**lawatta** – ჭყაპი, ტალახი  
**lah** – დინება, სითხის დაღვრა  
**alanni/a** – წყარო

ესპანური:

**ola** – ტალღა  
**lluvia** – წვიმა  
**balsa** – ტბა  
**liquido** – სითხე

ავარიული:

**lim** – წყალი  
**karachel** – ტალღა

თურქული:

**göl** – ტბა  
**dalga** – ტალღა

განცდა იმისა, რომ „ლ“ ბგერაში მოცემულია რაღაც ისეთი, რაც თითქოს ქრება, თვალთახედვისგან იკარგება, კარგად ჩანს ისეთ ქართულ სიტყვაში, როგორცაა – „ლანდი“ („აჩრდილი“).

ლ ბგერის ეს თვისება სხვა ენებშიც შეიმჩნევა:

სვანური: ლანდ  
ინდონეზიური: **halimun, zill**  
ირლანდიური: **bladhm, lasair**  
ლათინური: **larva**  
არაბული: **Zill, ḥaia:l**  
სუაჰილი: **mvuli**  
თურქული: **gölge**

ასევე მატერიის დაშლის, განქარვების ტენდენცია ცხადადაა მოცემული სიტყვებში: ლპობა, ლლობა.

მატერიის დაშლის, განქარვების უნარი აქვს ცეცხლსაც. მართალია, იგი არ არის წყლის სტიქიასთან კავშირში, პირიქით, მისი სანინაალმდეგოა, მაგრამ „ლ“ ბგერას მასში სწორედ დემატერიალიზაციის განცდა შეაქვს.

სხვა ენებშიც სურათი ანალოგიურია:

ქართული:

ლპობა

ლლობა

ცეცხლი

ალი

სვანური:

ჰელ, მულამ – ალი

ლიჰნე – დნობა

რუსული:

пламя – ალი

ლათინური:

flamma – ცეცხლი, ალი

გერმანული:

verfaulen – ლპობა

Flamme – ცეცხლი, ალი

ბერძნული:

liono – დნობა

floga – ალი

შუმერული:

gibili – ცეცხლი

ინგლისური:

**smelt** – გადნობა, გაღობა

**flame** – ალი

ფინური:

**sulaa** – დნობა

**lahota** – ღობა

**liudentaa** – წყალში გახსნა (სითხედ ქცევა)

ინდონეზიური:

**kelasah** – დამპალი

**larut** – გახსნა

**njala** – ალი

სუაჰილი:

**mwali** – ალი

ხეთური:

**lap** – აალება

თურქული:

**alev** – ალი

„ლ“ ბგერის მძერწავი, ფორმაქმნადი ძალა კარგად ჩანს ისეთ სიტყვებში, როგორიცაა – პლასტიკა, **ლბილი**, მოქნილი ... ანალოგიური შემთხვევებია სხვა ენებშიც:

ბერძნული:

**malakos** – რბილი

ლათინური:

**lenis** – რბილი

**mollis** – მოქნილი

ინგლისური:

**limp** – რბილი

**pliant** – მოქნილი

**plastic** – პლასტიური

**pulp** – რბილი მასა

**supple, lithe** – მოქნილი, დამყოლი

ირლანდიური:

**liobarnach** – რბილი

ინდონეზიური:

**lemas** – მოქნილი

**labil** – ცვალებადი ფორმის

**lembek** – რბილი

**leutuk** – მოქნილი

ესპანური:

**agil, elastico** – მოქნილი

ზემოთ, „ც“ ბგერასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ ქართულ ენაში განსაკუთრებით აქცენტირებულია ზესწრაფვის, გრავიტაციის შემცირების, შემსუბუქების ტენდენცია. სიტყვა „ცურვა“-ში სწორედ ეს მნიშვნელობა იგულისხმებოდა.

შეიძლება შევნიშნოთ, რომ ცურვის ცნებაში ბევრი ენა მყარი მდგომარეობის ცვალებად, არამდგრად მდგომარეობაში გადასვლას „ლ“ ბგერით გამოსახავს. სწორედ ამიტომაც ცურვის აღმნიშვნელ სიტყვებში ხშირად გვხვდება ბგერა „ლ“:

რუსული: **плыть, плавание**

ბერძნული: **kolimbo**

სანსკრიტი: **plu**

სუაჰილი: **leo**

ფინური: **ajelehtia**  
ჰინდი: **plavan**  
ებრაული: **liskhot**  
ავარიული: **ledeze**

„ლ“ ბგერით გაცხადებული სუბსტანცია დიდ მიდრეკილებას იჩენს გაფართოებადი, გაშლადი პროცესისადმი. როცა რაიმე, თუნდაც ამ ეტაპზე შეკუმშული, თავის თავში გაშლის ტენდენციას შეიცავს, ხშირად იგი სწორედ „ლ“ ბგერაში გამოიხატება:

ყვავილი  
ფოთოლი  
თესლი  
მარცვალი

ამ ქართულ სიტყვებში „ლ“ ფუძის ძირითადი ბგერა არ არის. მას მხოლოდ დამატებითი ასპექტები შეაქვს სხვა ბგერებით განსაზღვრულ შინაარსში. ზოგიერთ ენაში იგი ფუძის წამყვანი ნაწილია და უფრო ნათლად მიანიშნებს გაშლის, გაფართოების ტენდენციას:

სვანური: **ლაში** – თესლი  
ჩინური: **luān** – კვერცხი  
რუსული: **лист** – ფოთოლი  
ლათინური: **flos** – ყვავილი, **folium** – ფოთოლი  
ესპანური: **flor** – ყვავილი  
გერმანული: **Blume** – ყვავილი, **Blatt** – ფოთოლი  
სპარსული: **gol** – ყვავილი  
ინგლისური: **flower** – ყვავილი, **leaf** – ფოთოლი  
ირლანდიური: **blath** – ყვავილი, **duille** – ფოთოლი, **siol** – თესლი

## M (მ)

„მ“ ბგერა ყველაზე უფრო ცნობილია ინდური ცნობიერების ისეთი მაგიური სიტყვიდან, როგორცაა – „აუმ“. ამ ბგერით ფორმულას მრავალმხრივი კომენტარი აქვს და ინდური სულიერი ცხოვრების ძალზე ღრმა ფენებიდან მომდინარეობს. ერთ-ერთი განმარტებით იგი აერთიანებს წარსულის (ა), აწმყოსა (ჟ) და მომავლის (ბ) იმპულსებს. მის წარმოთქმისას ადამიანი ერთობლიობაში შეიგრძნობს კავშირს წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. ამ კონტექსტში „მ“ ბგერა მიანიშნებს იმ ჯერ კიდევ უცნობ მომავალს, რომლისკენაც ადამიანი აწმყოში წარსულის გავლით ისწრაფვის. „მ“ ბგერის განცდაში ადამიანი მომავლისკენ მოძრაობს – ის სადღაც მიდის.

თანხმონებს შორის, „მ“ ბგერა იმით გამოირჩევა, რომ იგი გამოკვეთილად ამოსუნთქვაზეა ორიენტირებული.<sup>38</sup> „მ“ ბგერის წარმოთქმისას ადამიანს აქვს განცდა, რომ მისგან ამოსუნთქვისას მოედინება რაღაც ისეთი ძალა, რომელსაც თავად ადამიანიც შიგნიდან გარეთ მისდევს. თითქოსდა „მ“-ში მოცემულ სუნთქვაში ადამიანსაც აქვს სურვილი სადღაც წავიდეს, რაღაცისკენ ისწრაფვოდეს.

სადღაც წასვლის, მოძრაობის ეს განცდა კარგადაა გამოხატული ბევრ ქართულ სიტყვაში. მოძრაობის მიმართულების განმსაზღვრელი თავსართები სწორედ „მ“ ბგერითაა წარმოდგენილი (მი-დის, მი-აქვს, მო-დის, მო-აქვს).

ხშირად იგი სწორედ მომავლის განცდებს გამოხატავს.

„მ“-ს მნიშვნელობა ცხადად ვლინდება სიტყვაში – მალე. მასში მიენიშნება, რომ მოკლე დროში რაღაც უნდა მოხდეს.

„მ“ ბგერის შინაარსში მოცემული მიზნისკენ სწრაფვა ძალზე ზუსტადაა გამოხატული სიტყვაში „მიზანი“. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც კონკრეტული სამიზნე, ასევე ადამიანის სწრაფვის უფრო ზოგადი ფორმაც:

ქართული:

**მიზანი**



**მცდელობა**  
**იმედი**

ინგლისური:

**aim** – მიზანი, სამიზნე, განზრახვა

**dream** – ოცნება

**attempt** – მცდელობა

ირლანდიური:

**taibreamh** – ოცნება

**mian** – სურვილი

არაბული:

**ḥulm** – მიზანი, ოცნება

**ṭumu` (y)** – მცდელობა, სწრაფვა

**amal** – იმედი

სპარსული:

**tasmim** – განზრახვა, მტკიცე გადანყვეტილება

**adm** – განზრახვა, მიზანი

**omid** – იმედი

ფინური:

**aikomus** – განზრახვა

**maali** – სამიზნე, მიზანი

**määrä** – დასახული მიზანი

**mieliä** – ნდომა

ჩინური:

**màijīn** – წინ ნასვლა

**mǐǎn** – მცდელობა

**míáo** – დამიზნება

**mùdì** – მიზანი

ინდონეზიური:

**maksud** – განზრახვა, მიზანი, მცდელობა, ჩანაფიქრი  
**mau, amuh** – ნდომა  
**matalamat** – სამიზნე, მიზანი  
**idam** – სურვილი (საჭმლის ნდომა)  
**azam** – მიზანი, განზრახვა  
**kelamun** – ოცნება

სუაჰილი:

**mradi, dhamiri** – განზრახვა, სურვილი  
**herimia** – მიზნის ქონა, განზრახულობა  
**kakamia** – მგზნებარედ სწრაფვა მიზნისკენ  
**maana** – მიზანი, განზრახვა  
**maelekeo** – მცდელობა, მიდრეკილება, იდეალი  
**matilaba** – სურვილი, განზრახვა, მიზანი  
**mede** – მიზანი, სამიზნე  
**matarajio, tumaini** – იმედი, მოლოდინი  
**tamaa** – მგზნებარე სურვილი, სწრაფვა, ოცნება

იაპონური:

**mokuhio** – მიზანი  
**nodzomi** – იმედი  
**iume** – ოცნება  
**tsumori** – განზრახვა

ხეთური:

**mali** – განზრახვა

ებრაული:

**matara** – მიზანი

ჩინური:

**mùdi** – მიზანი  
**miáo** – დამიზნება

ავარიული:

**murad** – მიზანი

რუსული:

**умысел, намерение** – განზრახვა

**мишень** – სამიზნე

**стремление** – მისწრაფება

**мечта** – ოცნება

სანსკრიტი:

**kāma** – სურვილი, სიყვარული

ლათინური:

**meta** – მიზანი

**meditor** – განზრახვა

**mox** – მალე

**ambitus** – სწრაფვა

გერმანული:

**Traum** – ოცნება

ჰინდი:

**man-modak** – ოცნება

ებრაული:

**khalom** – ოცნება

თურქული:

**maksat, murat, amaç** – მიზანი

როგორც ზემოთ აღინიშნა, „მ“ ბგერა ასევე გამოსახავს სადღაც წასვლის განწყობილებას, რაც ასევე ნიშანდობლივად ვლინდება ყველა ენაში:

ქართული:

**მგზავრი**

**მიმავალი**

სვანური:

**მეზი** – მიმავალი

სანსკრიტი:

**gam** – სვლა

იაპონური:

**omomuku** – წასვლა, გამგზავრება

**michi** – გზა

ინგლისური:

**move, motion** – მოძრაობა

ირლანდიური:

**imigh** – სვლა

სპარსული:

**mosafer** – მგზავრი

**masir** – გზა

ინდონეზიური:

**kadim** – მომავალი დრო

**ambulan** – მოგზაური

**mara** – წასვლა

ლათინური:

**meatus** – სვლა

**motio** – მოძრაობა

**motus** – სწრაფვა, მოძრაობა

**momentum** – მოძრაობა

**limes** – გზა

ჩინური:

**mài** – წასვლა

**mànyóu** – მოგზაურობა

ინდონეზიური:

**kadim** – მომავალი დრო

**ambulan** – მოგზაური

**mara** – წასვლა

სუაჰილი:

**dema** – მიემართება

**tuma, mauko** – გამგზავრება

ესპანური:

**camino** – გზა

**marcha, movimiento** - წასვლა

ბერძნული:

**dromos** – გზა

ესკიმოსური:

**tuma** – გზა

**iglimak'** – წასვლა

თურქული:

**gitmek** – წასვლა

შემჩნეულია, რომ თავად ადამიანის შინაგან ბუნებაში „მ“ ბგერა გარკვეულ წონასწორობას ქმნის „ზედა“ და „ქვედა“ ადამიანურ ბუნებას შორის. ძველი წარმოდგენებით „მ“-ს გამოთქმისას შეიძლება ადამიანის ქვენა ბუნებიდან მომდინარე სექსუალური ლტოლვების განწონასწორება – ადამიანის ზენა

ბუნების ცხოველურ ინსტინქტებთან ჰარმონიაში მოყვანა.

„მ“ ბგერის ეს გამანონასნორებელი თვისება ძალზე ხშირად გვხვდება ყველა ენის სიტყვათა აგებულებაში. სხვა ბგერებთან თანწყობაში მ ბგერა ხშირად ანონასნორებს მათით გამოხატულ რადიკალურ თვისებებს. ცალკეულ სიტყვებზე საუბრისას ამ თემას ქვემოთ შევხებით.

## V, W (ვ)

„ვ“ ბგერა შეესაბამება ისეთ მოვლენას, რაც ერთგვარ ტალღისებურ სახეს ატარებს. ეს არის რაღაც ისეთის განცდა, რაც მშფოთვარე ტალღის მსგავსად უსასრულოდ მიემართება შორეთში.

იგივე ტალღოვანი, მშფოთვარე ბუნებით „ვ“ ბგერა ადამიანის მშვიინვიერების ნიშანიცაა. სწორედ ტალღისებური ბუნებისაა ის პროცესები, რაც ადამიანის სამშვიინველში მიმდინარეობს.

ძველთაგანვე „ვ“ ბგერა ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვის ნიშანსაც წარმოადგენდა.

რაც შეეხება „ვ“ ბგერის უფრო ფართო სულიერ ასპექტს, იგი იძლევა განცდას, თუ როგორაა ადამიანი დაკავშირებული ღვთაებრივ ქმედებასთან, ღვთაებრივ წესრიგთან.<sup>39</sup>

„ვ“ ბგერის ტალღოვანი ბუნება ნათლად ჩანს ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა:

ზღვა

ზვირთი

ნიავი

ზვავი

ვნება

„ვ“ ბგერის ღრმა კავშირი ადამიანის მშვიინვიერ პროცესებთან ცხადადაა გამოხატული მრავალ ქართულ სიტყვაში:

ვალალ

ვაება

**ვარამი**

**ვაი!** – „ხმაი სავაებო“ (სულხან-საბა)

**ვაიმე!**

**ვაშა!** – სულხან-საბას განმარტებით მოასწავებს შურის მიგებასა და სანადელის მიმთხვევას.

**ვახ!** – შურისგების ხმა (სულხან-საბა)

„ვ“ ბგერის მშფოთვარე, ტალღოვანი ბუნება შესამჩნევია სხვა ენებშიც:

სვანური:

**ზვირთ** – ზვირთი

**ბიქვ** – ქარი

**ჭავლ** – ტალღა

**ძულვა** – ზღვა

რუსული:

**вода** – წყალი

**волна** – ტალღა

**ветер** – ქარი

**лалина** – ზვავი

**волнение** – მღელვარება

იაპონური:

**kava** – მდინარე

**voofun** – წყლის ღელვა

ფინური:

**tulva** – წყალდიდობა, ნაკადი

**vasi** – წყალი

**virta** – მდინარე

**vuoksi** – დინება

ინგლისური:

**river** – მდინარე

sway, swing – რხევა, რწევა  
swirl – მორევი  
water – წყალი  
wave – ტალღა  
wind – ქარი

ინდონეზიური:

hawa – ჰაერი  
njawa – სიცოცხლე  
wai – წყალი, მდინარე

სანსკრიტი:

vāri – წყალი  
jīva – ცხოვრება, სიცოცხლე

სუაჰილი:

hawa – ვნება  
uziwa – ღია ზღვა  
wimbi – ტალღა  
wimbo – სიმღერა  
ziwa – ტბა

ლათინური:

ferveo – ღელვა  
ventus – ქარი

გერმანული:

Wind – ქარი  
Welle, Woge – ტალღა  
Wasser – წყალი

ებრაული:

taava – ვნება



ჰინდი:

hava, vaiu – ქარი

ესპანური:

viento – ქარი

ბერძნული:

kvima – ტალღა

„ვ“ ბგერის ტალღისებური ბუნება ასევე ნათლადაა გამოხატული ლათინური ანბანის შესაბამისი ასოს ფორმაშიც – W. თავისი ფორმით იგი სწორედ ტალღას გამოხატავს.

ის ფაქტი, რომ „ვ“ ბგერა ზოგადად სიტყვის, ანუ მეტყველების უმთავრესი ნიშანია, ასევე ნათლად დასტურდება მრავალ ენაში:

ქართული:

სიტყვა

სვანური:

ლიქვ – თქმა, სიტყვა

რუსული:

слово – სიტყვა

говорить – თქმა

იაპონური:

ivaku – ლაპარაკი

ლათინური:

verbum – სიტყვა

vox – ბგერა, ხმა

ინგლისური:

word – სიტყვა

სპარსული:

vazhe – სიტყვა, ტერმინი

ჩინური:

wèi – თქმა

wén – ენა

სანსკრიტი:

svara – ბგერა, ყვირილი, ხმა

vac – თქმა

vad – ლაპარაკი, თხრობა

vyāhr – ლაპარაკი

ტიბეტური:

sun-va – ლაპარაკი

გერმანული:

Wort – სიტყვა

ბერძნული:

kuventa – თქმა

მეტყველების პროცესი, ცხადია, ტალღისებური მოვლენაა. როგორც ვხედავთ, „ვ“-ს ეს თვისება მეტყველებასთან დაკავშირებულ სიტყვებში ფართოდაა წარმოდგენილი.

## H, CH (ჰ, ხ)

„ჰ“ ბგერა ძალიან თავისებურად უკავშირდება ადამიანის სუნთქვის პროცესს. ზემოთ ჩვენ „რ“ ბგერაც სუნთქვასთან მიმართებაში განვიხილეთ. „რ“ განსაზღვრავდა სუნთქვის

რიტმს. „ჰ“-ს მოქმედება განსხვავებულია. მას შეიძლება დავაკვირდეთ, მაგალითად, სიცილის პროცესში. ამ დროს ამოსუნთქვა ძალიან სწრაფად, ბიძგისებურად ხდება, თითქოსდა ჰაერი ფილტვებიდან ამოიტუმბება და იქ გაიშვიათება იქმნება. შემდეგ სიცილის პროცესში ამ ვაკუუმის ძალით თითქოსდა ჰაერი სტვენით ძლიერად შეინოვება.

„ჰ“ ბგერა, ფაქტობრივად, ერთი ამოსუნთქვაა. ადამიანი თითქოს შინაგანიდან გარეთ გადმოღვრას ცდილობს.<sup>40</sup>

სიცილისას დაძაბულობა იხსნება, ადამიანის ანიმალური სხეული დასვენდება. ამოსუნთქვა მოკლე და ინტენსიურია, ჩასუნთქვა – უფრო ხანგრძლივი.

სიცილისას ადამიანი შინაგანად სწრაფად იწყებს გაფართოებას. ადამიანი შეკუმშულობიდან თავისუფლდება – ხდება მისი შინაგანი სამყაროს განვრცობა. სიცილისას ორგანულ სამყაროზე მიჯაჭვული ადამიანი დროებით თავისუფლდება ამ ნნეხისაგან.

„ჰ“ ბგერის გაფართოებადი ბუნება კარგად ჩანს ისეთ სიტყვაში, როგორცაა – ჰაერი. ამ სიტყვაში შედის „რ“ ბგერაც. „ჰ“ და „რ“ ბგერები საოცარი სიზუსტით გადმოსცემენ ჰაერის არსს.

„ჰ“ („ხ“) ბგერის აღნიშნული თვისებები სხვა ენებშიც მკვეთრად შეინიშნება:

სვანური:

ჰაში – მსუბუქი

ჰაერ – ჰაერი

მეგრული:

ჰავა – ჰაერი

ჩინური:

hā – ხარხარი, სიცილი

hēhē – სიცილი

hūxī – სუნთქვა

ლათინური:

**halitus** – სუნთქვა

**hilaris** – მხიარული

გერმანული:

**lachen** – სიცილი

**leicht** – მსუბუქი

**fröhlich** – მხიარული

ირლანდიური:

**loch** – სიცილი

რუსული:

**воздух** – ჰაერი

**смех** – სიცილი

**дыхание** – სუნთქვა

არაბული:

**ḥawa'** – ჰაერი

**dahk** – სიცილი

**farḥa:n** – მხიარული

**ḥafi:f** – მსუბუქი

ინდონეზიური:

**ngakah** – სიცილი

ხეთური:

**ḥḥḥars** – სიცილი

სუაჰილი:

**furaha** – მხიარულება, სიხარული

**hai** – მოცინარი, აღტაცებული, გასულიერებული

**hewa** – ჰაერი, ატმოსფერო

**roho** – სუნთქვა

**hema** – ჰაერი

ფინური:

**henki** – ჰაერი, სუნთქვა, სიცოცხლე

**hengen** – სულიერი

**hohottaa** – ხარხარი

ავარიული:

**hava** – ჰაერი

თურქული:

**hava** – ჰაერი

**hafif** – მსუბუქი

**kahkaha** – ხარხარი

იაპონური:

**iki o haku** – სუნთქვა

ესპანური:

**halito** – სუნთქვა

სუფისტური მისტიკის მიხედვით, ყველა ბგერათაგან ყველაზე უნმინდესად ითვლება „ჰუ“. ეს ბგერა არის ყველა ბგერათა სანყისი და, ამავე დროს, ბოლოც. სუფისტების აზრით, ღვთაებას სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა სახელით მიმართავენ, მაგრამ მისტიკოსებისთვის მას ჰქვია ზოგადი სახელი „ჰუ“. ეს არის ბუნებრივი სახელი, რომელიც არ არის ადამიანის შექმნილი. ეს არის ერთადერთი სახელი, რომლითაც ღვთაებას მიმართავენ არა მხოლოდ ადამიანები, არამედ მთელი ბუნება – ცხოველებიც, ფრინველებიც. მის ხმას საგნებიც კი გამოსცემენ. სიტყვა „ჰუ“ არის ყველა ბგერისა და სიტყვის სული და ის არის დაფარული მათში, როგორც სული – სხეულში. ეს სიტყვა არ ეკუთვნის არცერთ ენას, მაგრამ არის ყველა ენაში.<sup>41</sup> ბგერა „ჰ“ ყველა ხმოვნის შემადგენელ უხილავ ნაწილად ითვლება.

მაშინაც კი, როცა ის არ იწერება, თითქოსდა ყველა ბგერაში ბუნებრივად იგულისხმება. ძველად მას ზოგჯერ დამოუკიდებელ ბგერად არც გამოსახავდნენ. იგი ყველა ბგერის იდუმალ ნაწილად მოიაზრებოდა. შეიძლება ამითაც აიხსნას ის ფაქტი, რომ VIII საუკუნემდე ძველ ქართულ ტექსტებში ის დამოუკიდებელი ასოს სახით არ გვხვდება.

„ხ“ ბგერაც ძალიან ღრმად და დაკავშირებული ადამიანის ისეთ ფიზიოლოგიურ პროცესთან, როგორცაა სუნთქვა.

„ჰ“ და „ხ“ მონათესავე ბგერებია. ორივე მათგანი ასტროლოგიური თვალსაზრისით ერთი და იმავე ზოდიაქური არედან მომდინარეობს. ეს არის ტყუპების ზოდიაქო.

ასევე ასტროლოგიური თვალსაზრისით „ხ“ ბგერა ადამიანის სხეულზე მხრების არეს შეესაბამება. ეს სხეულის ის ნაწილია, სადაც ჯვარედინად იკვეთება როგორც ადამიანის ვერტიკალური საყრდენი – ხერხემალი, ასევე ხელეზი, მხრები. ამავე არეშია ის სფეროც, სადაც მეტყველება იბადება.

მართალია, ხორხი კუროს (ხარის) ზოდიაქოს განეკუთვნება, მაგრამ ამ ორი ზოდიაქოს (კუროს და ტყუპების) არეები, ფაქტობრივად, ერთ სიბრტყეზეა განლაგებული.

„ხ“ ბგერის ადამიანის ფიზიოლოგიასთან მიმართება ძალზე მკვეთრადაა გამოსატყული ქართულ მეტყველებაში.

აღნიშნულ არეალთან დაკავშირებული ადამიანის სხეულის ნაწილები მკვეთრად „ხ“ ბგერის დომინირებით ხასიათდება.

**მხარი**

**ხელი**

**ხერხემალი**

**ხორხი**

**ხახა**

რამდენადაც ხორხის არეში წარმოიქმნება ბგერა, და ამავე დროს, იმავე არეალთან „რ“ ბგერა, ანუ ხარის ზოდიაქოცაა დაკავშირებული, ბგარათწარმოქმნის შესაბამისი სხვადასხვა სიტყვები ხშირად სწორედ „ხ“ და „რ“ ბგერების შემცველობით გამოირჩევიან:

**ხრიალი**

**ხროტინი**

**ხარხარი**

**ხვრინვა**

**ხრინნი**

ასევე ხ ბგერას ვხვდებით სიტყვებში:

**ხმა**

**ხითხითი**

**ხველება**

**ხენემა**

სუნთქვასთან „ხ“ ბგერის კავშირი რუსულ ენაშიც გამოკვეთილია – **дыхание** (სუნთქვა). აქაც ხორხის არემი წარმოქმნილი სხვადასხვა ხმოვანება ხშირად „ხ“ ბგერით გამოიხატება.

**храпеть** – ხვრინვა

**хохот** – ხარხარი

„ხ“ ბგერის ანალოგიური მნიშვნელობები გვხვდება სხვა ენებშიც, მაგალითად, ბერძნულში:

**khakhanisma** – ხარხარი

**khakhanizo** – ხარხარი

**vikho** – ხველა

**rokhhalizo** – ხვრინვა

ირლანდიურ ენაშიც გვხვდება მსგავსი სიტყვები, მაგალითად:

**tacht** – ხორხი

ბევრ ენაში ჰაერის (სუნთქვის) და სულის მნიშვნელობები ერთი და იგივეა. ჰაერის და სუნთქვის აღმნიშვნელი სიტყვები ხშირად სწორედ „ჰ“ ან „ხ“ ასოებითაა განსაზღვრული, მაგალითად, ებრაულში ჰაერი, ქარი და სული ერთი და იგივე სიტყვით აღინიშნება – **ruakh**.

## F (ფ)

ქართულ ენაში ასო F არ გვაქვს. მისი ზუსტი შესატყვისი თანამედროვე ქართულში არ არსებობს. ფ და F ბგერების შინაარსი ქართულში ფ ბგერაშია გაერთიანებული. გარკვეულ პერიოდში F-ს შესატყვისი ასო შემოტანილი იყო ქართულ ანბანში, რათა უცხოური სიტყვები უფრო ზუსტად გამოსახულიყო, მაგრამ, საბოლოოდ, ის მაინც ამოღებულ იქნა ანბანიდან და მისი ფუნქციები ძირითადად ფ ასოზე გადავიდა.

ბგერა „ფ“ თავისი მნიშვნელობით ძალიან ახლოა ისეთ ბგერებთან, როგორებიცაა „ბ“ და „პ“. ზემოთ ჩვენ ეს სამი ბგერა სწორედ ერთ ჯგუფში განვიხილეთ. ისინი ფონეტიკური თვალსაზრისითაც მონათესავე ბგერებია – სამივე ხშული ლაბიალია.

სიტყვათა აგებულებაშიც „ბ“, „პ“ და „ფ“ ბგერებს მსგავსი შინაარსი შეაქვთ – გარკვეულად თავშესაფრის, დაცულობის განცდას გამოსახავენ.

როგორც ითქვა, „ფ“ ბგერა ქართულ ენაში ხშირად ენაცვლება სხვა ენებში არსებულ ისეთ ბგერას, როგორიცაა F. ფონეტიკური თვალსაზრისით ისინი ერთ ჯგუფში არ ერთიანდებიან, მაგრამ უღერადობის მსგავსების გამო სიტყვის ერთი ენიდან მეორეში გადასვლისას ერთმანეთს ენაცვლებიან. ზოგ ენაში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი არსებობს, ზოგში კი ორივეა. როცა ენაში ორივე მათგანია, ცხადია, აღნიშნული ჩანაცვლების აუცილებლობა არ არსებობს.

F ბგერის სულიერ შინაარსს უძველეს მისტერიებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯერ კიდევ ეგვიპტურ მისტერიებში ითვლებოდა, რომ საბურველით შემოსილი იზიდას შემეცნებისთვის „ვინც უწყის წარსული, აწმყო და მომავალი“, მასთან F ბგერით მიახლებაა საჭირო. „იზიდას განცდა ამოსუნთქვის პროცესში არის F-ში.“<sup>42</sup>

F ბგერა ყოვლისმომცველ არსებად აღიქმებოდა და ითვლებოდა, რომ ადამიანი F-ს წარმოთქმისას უნდა შეიგრძნობდეს, თუ როგორ ცნობიერდება სიბრძნე სიტყვაში.

ძველ სკოლებში არსებობდა სპეციალური სავარჯიშოები,



სადაც ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სუნთქვის პროცესში სიბრძნის F ბგერაში განცდა.

ძველი მისტიკების გაუფერულებასთან ერთად F ბგერის ეს მისტიკური განცდაც თანდათან დაქვეითდა. F ბგერის რაიმე განსაკუთრებულობა შემდეგში ნაკლებად გვხვდება.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით F-ს გამოხატულებას ადამიანის არსებაში, შევამჩნევთ, რომ მისი განცდა უკავშირდება ადამიანის მყისიერ რეაქციას რაიმე გარეგან ზემოქმედებაზე. ადამიანის შინაგანი სასიცოცხლო პროცესები თითქოს უეცრად აქტიურდება გარე სამყაროდან მოსული რაღაც იმპულსის ზემოქმედებით. შინაგანი სიმშვიდე ირღვევა, ადამიანი გარეგანი მოძრაობის შესაბამისობაში მოდის, მასზე რეაქციას გამოხატავს. თუ F-ში მოცემულ სიბრძნის ასპექტს დავუბრუნდებით, შეიძლება ვთქვათ, რომ ის შინაგანი სიბრძნის გარეგან სიბრძნეზე რეაგირებაა.<sup>43</sup>

ყოველსმომცველი ღვთაებრივი სიბრძნის გამოხატულება კარგად ჩანს ქართულ სიტყვაში – უფალი. ღვთაებრივი სიტყვა – ლოგოსი, სწორედ უფალში გამჟღავნდა.

დაფარულობის მისტიკური შეგრძნება მოცემულია ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა:

საფარი

საფლავი

დაფლვა

ცხადია, ამ სიტყვებში „ფ“ ბგერის საფარველთან, მფარველობასთან დაკავშირებული მნიშვნელობაცაა მოცემული, რაც ზემოთ აღნიშნულიც იყო.

ანალოგიური სიტყვები შეიძლება მოვიძიოთ სხვა ენებშიც:

სვანური:

მ/ლფარი – საბურველი

გერმანული:

Vorhang – ფარდა

სპარსული:

**makhfi** – დაფარული, საიდუმლო  
**takfin** – დამარხვა

არაბული:

**dafn** – დაფლვა  
**ahfa'** – დაფარვა

ჩინური:

**beifù** – დაფარვა

სუაჰილი:

**fichwa** – დამალვა  
**funika** – დაფარვა  
**mafa** – სასაფლაო

ლათინური:

**fallo** – დამალვა

ბერძნული:

**tafos** – საფლავი  
**krifos** – ფარული

ადამიანის მიერ შინაგანი სიბრძნის გარეგან სიბრძნესთან მიმართება ძალზე ზუსტად გამოიხატება სიტყვაში – ფიქრი (სულხან-საბას ცნობით, ეს სიტყვა არაბულიდან მომდინარეობს, ზოგი ფიქრობს, რომ იგი სპარსულიდანაა).

მსგავს სიტყვებს სხვა ენებშიც ვხვდებით:

ინგლისური:

**boffin** – მკვლევარი  
**prophet** – წინასწარმეტყველი

ირლანდიური:

**faidh** – წინასწარმეტყველება

ლათინური:

**fatum** – მისნობა

სპარსული:

**fazel**– მეცნიერი

**fal** – წინასწარმეტყველება

**farjud** – საოცრება

**aref** – ბრძენი მისტიკოსი

არაბული:

**fikr** – ფიქრი

ინდონეზიური:

**arfi** – ჭკვიანი

**firasat** – წინასწარმეტყველების უნარი

**fitrah** – რელიგიური გრძნობა, ნიჭი

**marifat** – ცოდნა, შემეცნება

**tafsir** – განმარტება, კომენტარი

სუაჰილი:

**fali** – წინასწარმეტყველება

**fikira** – ღრმა აზრი

ბერძნული:

**sofos** – სიბრძნე

**skeftome** – ფიქრი (ზმნა)

თურქული:

**fikir** – ფიქრი

ესპანური:

reflexion – ფიქრი

რაც შეეხება ადამიანის მყისიერ რეაქციას გარეგან ზემოქმედებაზე, ქართულ სიტყვებში ძალზე მკვეთრადაა გამოკვეთილი „ფ“ ბგერაში მისი განცდის ტენდენცია.

რაიმე არასასურველ, მოულოდნელ გარეგან აღქმაზე ადამიანი წარმოთქვამს – ფუი!..

ასევე თვალნათელია „ფ“ ბგერის მნიშვნელობა შემდეგ სიტყვებში:

**ფათერაკი** – მოულოდნელად და უნებლიედ იქმნის რამ ანაზღად (სულხან-საბა).

**ფანცქალი** – გულის ჩქარი ძგერა

**ფეთი** (დაფეთება) – ღამით საოცრებისგან შეშინება (სულხან-საბა)

**ფორიაქი**

**ფრთხობა** (დაფრთხობა)

**ფიცხი** – სწრაფი რეაგირება

**ფრიალი**

**ფრფინვა** – გუნებით შეხარილი (სულხან-საბა)

რადგან ქართულ ენაში F ბგერა არ არის, ცხადია, ზემოთ განხილულ მაგალითებში ქართული **ფ** ბგერისა და F-ს შესაბამისობა აბსოლუტური არ არის და იგი გარკვეულ მიახლოებას გულისხმობს.

## თავი 4

### სმოვნები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სმოვნები ადამიანში იმას გამოხატავენ, რაც მასში გრძნობებისა და ემოციების სახით არსებობს. ესე იგი, მეტყველებისას ადამიანი თავის შინაგან არსებას და განცდებს სმოვნების საშუალებით გადმოსცემს.

შეიძლება მოკლედ განვიხილოთ ცალკეული სმოვნების მნიშვნელობები.

#### A (ა)

ცალკე მდგომი ბგერა „ა“, სხვა სმოვნების მსგავსად, დამოუკიდებელი, უკვე დასრულებული შინაარსის შემცველია.

„ა“ ბგერით ადამიანი გამოხატავს სამშინველის ერთ-ერთ ძირითად შეგრძნებას – გაოცებას, გაკვირებას. გაოცება, ცხადია, სხვადასხვა მიმართებაში შეიძლება გამოიხატოს. მაგალითად, ადამიანის განვითარების პროცესში მას ძალზე ცხადლივი ხასიათი აქვს ბავშვობის იმ პერიოდში, როცა იგი გარემოს შემეცნებას იწყებს. გარესამყაროს ყველა მოვლენის აღქმას გაოცების გრძნობა ახლავს თან.

ადამიანს ასევე გაოცების მძაფრი განცდა მოიცავს სულიერ სამყაროსთან მიმართებაშიც. სიტყვები, რომლითაც ადამიანი ღმერთს აღიღებს, ხშირად „ა“ სმოვნით გამოისახება.

ერთადერთი არსება, ვისაც დედამიწაზე გაოცება შეუძლია, ადამიანია. უძველეს მისტიკურ წარმოდგენებში ბგერა „ა“ უშუალოდ ადამიანთან ასოცირდებოდა. მაგალითად, ძველ ებრაულ ანბანში პირველ ადგილზე სწორედ ბგერა „ალეფ“-ი დგას, რომელიც ერთ-ერთ ასპექტში სწორედ „ადამიანს“ ნიშნავს.

თავად პირველი ადამიანის დასახელებაც სწორედ ამ ბგერით იწყება – „ადამ“. საინტერესოა, რომ უძველეს მაიას

კულტურაშიც პირველი მითოსური ადამიანი მსგავსი სიტყვით აღინიშნებოდა – „ანომ“.

უძველესი მისტიკების თითქმის ყველა მაგიური ფორმულა უთუოდ „ა“ ბგერას ეფუძნებოდა. გავიხსენოთ თუნდაც ეფესოს მისტიკების უმთავრესი ფორმულა „იოა“. მანამდე მსგავსი სულიერი იმპულსები ედო საფუძვლად კიდევ უფრო ძველი სულიერი სკოლების ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც გამოიხატებოდა ფორმულით – „ტაო“.

განსაკუთრებით ცნობილია ძველი ინდოეთიდან მომდინარე მაგიური სიტყვა „აუმ“.

ინდური წარმოდგენით, ამ ფორმულაში „ა“ ბგერა წარსულს გამოსახავს, „უ“ – აწმყოს, ხოლო „მ“ – იმ მომავალს, საითკენაც ადამიანი ისწრაფვის.

ასევე ინდური სიტყვა „მაია“-ც „ა“ ბგერის ერთ-ერთ ასპექტს წარმოაჩენს. ამ შემთხვევაში „ა“ უარყოფის აღმნიშვნელი ბგერაა. ამ მნიშვნელობით სიტყვა „მაია“ აღნიშნავს „დიად არარსებობას“.

„ა“ ბგერის ეს მნიშვნელობა ცხადადაა მოცემული ქართულ ენაშიც. უარყოფის გამომსახველი ნაწილაკები „არ“, „არა“, სწორედ მისითაა განსაზღვრული. თავსართი ნაწილაკი „ა“-ც იგივე მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად: აპოლიტიკური – არა პოლიტიკური, ალოგიკური – არა ლოგიკური.

სხვა ენებშიც ეს კანონზომიერება დაცულია. მაგალითად, ინგლისურად: *unknown* – უცნობი.

უარყოფელი ნაწილაკი ანტი-ც, ცხადია, იმავე ხმოვანს ეყრდნობა.

„ა“ ბგერის განცდას აქვს კიდევ ერთი ასპექტი. ადამიანის ანიმალური სხეულის სფეროში „ა“ ბგერით გამოისახება ადამიანის მიერ გრძნობადი დაუკმაყოფილებლობა, რაღაცის მიღების მძაფრი სურვილი. „ა“ ბგერის ეს თავისებურება ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

რუსული:

**жажда** – ნყურვილი

სპარსული:

**atshan** – მწყურვალი, სურვილით შეპყრობილი

ფინური:

**halata** – მგზნებარე სურვილი, წყურვილი

ჩინური:

**bä** – რალაცის წყურვილი

**bäbär.de** – მოუთმენლად სწრაფვა

ებრაული:

**taava** – ვნება

სუაჰილი:

**hawa** – ძლიერი სურვილი, მგზნებარე სიყვარული

**kakamia** – მგზნებარე სწრაფვა რალაცისკენ

**tamaa** – მგზნებარე სურვილი, სწრაფვა, ოცნება

**kama** – სურვილი

ირლანდიური:

**tart** – წყურვილი

## I (ი)

ადამიანის არსებაში „ი“ ბგერის წარმოთქმა უკავშირდება რალაცისკენ სწრაფვის, რალაცასთან შეერთების სურვილს. ამ ბგერით ადამიანი, თითქოსდა, რალაც მთლიანობასთან შეერთებას ესწრაფვის.

თუ „ი“ ბგერას ადამიანის რელიგიური განწყობილების კონტექსტში განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ ის არის ღვთაებისკენ სწრაფვის ტენდენციის გამომხატველი. ადამიანის ეს სწრაფვა მეტყველებაშიც მკვეთრად ახახული. მაგალითად, ქართულში სუბიექტიდან ობიექტისკენ მიმითვებელი სიტყვები ხშირად

სწორედ „ი“ ბგერით ხასიათდება: ის, იქ, იქით...

ძველი სამყაროდან ცნობილ ფორმულაში „იოა“, „ი“ ბგერა ადამიანის „მე“-ს გამოსახავს. შემთხვევითი არ არის, რომ ბევრ ენაში ადამიანი საკუთარ არსებას (საკუთარ მე-ს) სწორედ „ი“ ბგერით გამოხატავს:

I ინგლისური

ich გერმანული

Я [ia] რუსული

ადამიანის ყოველდღიურ ემოციურ განწყობილებაში „ი“ ბგერა გამოითქმის მსუბუქი სიხარულის გამოსახატავად. მაგალითად, ის მკვეთრადაა გამოკვეთილი მსუბუქი სიცილი-სას, ერთგვარი ხითხითის, ჩაცინების დროს.

## E (ე)

„ე“ ბგერის წარმოთქმისას ადამიანი ერთგვარი მსუბუქი შიშის გრძნობას გამოხატავს. თითქოს იგი რალაცის წინაშე ჩერდება, უკან იხევს, მკვეთრად ემიჯნება მას. ადამიანი ჩერდება რალაც ისეთის წინაშე, რისგანაც თითქოს თავს იცავს.

„ე“ ბგერის წარმოთქმისას ადამიანი საკუთარ თავს გამოყოფს, განაცალკევებს გარემოსგან. ის საკუთარ მეობას არა ფიზიკურ, არამედ სასიცოცხლო სხეულში განიცდის. სასიცოცხლო სხეული არ ექვემდებარება სიმძიმის ძალების ზემოქმედებას. „ე“-ს თითქოს წონასწორობაში მოჰყავს ადამიანის ფიზიკური სხეული და მისი სასიცოცხლო ძალები. შინაგანად სიმძიმის ძალის დაძლევა ხდება და ადამიანი თავის მე-ს ამაღლებულად განიცდის.

სწორედ ამგვარ ასოციაციას გამოხატავს ქართული სიტყვა – მე.

„ე“ ბგერაში ადამიანი საკუთარ თავს განიცდის.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებში ადამიანი საკუთარ მე-ს „ი“ და „ა“ ბგერე-



ბის კომბინაციით გამოხატავს. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ სა-  
კუთარ თავთან მიმართების გამოსახატავად ამ ენებშიც ბგერა  
„ე“ ძალზე აქტიურია.

meine – გერმანული

MHe – რუსული

me – ინგლისური

რელიგიურ მიმართებაში „ე“ ბგერაში გამოხატულია უფლი-  
სადმი მორიდებული ლოცვითი თაყვანისცემა.

როგორც ცნობილია, დელფოს ტაძრის ფრონტონზე ეწე-  
რა ასო „ე“, რაც ნიშნავდა „შენ ხარ“. პლუტარქე აღნიშნავს,  
რომ ეს ბგერა გამოხატავდა ღვთაების მისალმებას ტაძარში  
შემსვლელისადმი. დელფოს ფრონტონზე გამოსახულ „ე“-ს  
რიცხვითი მისტიკის ენაზეც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. ის  
გამოსახავდა რიცხვ 5-ს.

რიცხვ 5-ით გამოსახული „ე“-ს მისტიკური მნიშვნელობა  
ძალზე მკვეთრი იყო ძველი გნოსტიკოსების მსოფლმხედ-  
ველობაშიც. ისინი მას აკავშირებდნენ ისეთ საკრალურ ცნე-  
ბასთან, როგორცაა „მხსნელი“. მსგავსი განწყობილება  
პირველი საუკუნეების მსოფლმხედველობაშიც გვხვდება.<sup>44</sup>

ადვილად შევამჩნევთ, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში  
ასო „ე“ სწორედ მე-5 ადგილზე ზის და სწორედ რიცხვ 5-ს  
გამოსახავს. სიტყვა „მხსნელ“-შიც იგი ფუძის განმსაზვრელი  
ერთადერთი ხმოვანია. სიტყვა „შენ“-შიც იგი ერთადერთი ხმო-  
ვანია („შენ ხარ“).

ადამიანური ემოციის დონეზე ბგერა „ე“ გამოხატავს ერთ-  
გვარ მსუბუქ სასიხარულო გაკვირვებასაც. ამ მხრივ, მისი  
წარმოთქმა ცალკე მდგომ დამოუკიდებელ ბგერადაც საკმა-  
რისია – ე!..

## U (უ)

„უ“ ბგერა ღრმად უკავშირდება ადამიანის ისეთ წარმოდგენას, როგორცაა მისი სხეულის მყარად დგომა დედამიწაზე. ადამიანი თითქოს საკუთარი საყრდენი ჩონჩხის სიმყარეს განიცდის. „უ“ შეიგრძნობა იმად, რაც ადამიანს მშვინვიერად ამყარებს.

სულიერ სფეროებთან მიმართებაში „უ“ ბგერა იძლევა მთელი ღვთაებრივი სამყაროს განცდის სურვილს, იგი განაცხადებს ღვთაებრივ სიმშვიდეს.

სიმშვიდისა და დუმილის მდგომარეობა ნიშანდობლივ დამახასიათებელია „უ“ ბგერისათვის.

„უ“ ბგერის შინაარსი ზუსტადაა გამოხატული ქართულ სიტყვებში:

**უფალი**

**სასუფეველი**

**დუმილი**

ცნობილ ინდურ ფორმულაში – აუმ – „უ“ ბგერა გამოხატავს ანმყოს, ჩვენს გარშემო არსებულ მთელ ქვეყნიერებას.

## O (ო)

„ო“ ბგერა დიამეტრულად განსხვავდება „ე“ ბგერისაგან. თუ „ე“-ში ადამიანი საკუთარი თავის განცდამდე მიდის, „ო“-ში, პირიქით, იგი გარე სამყაროს მოვლენებისა და არსებების აღქმას ცდილობს.

ეს განცდა არ არის კონკრეტიზებული, არამედ იგი ყოვლისმომცველია. ადამიანი თითქოს სიყვარულის გრძნობით ცდილობს ყოველივე მის ირგვლივ არსებულის მოცვას.

აღბათ არ არის შემთხვევითი, რომ „ო“ ბგერა გვხვდება ისეთ სიტყვაში, როგორცაა „კოსმოსი“.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ბევრ ანბანში „ო“ ასოს მომ-

რგვალებული წრიული ფორმა აქვს.

ადამიანის შინაგან სამყაროში ასევე „ო“-ში შეიძლება შეიგრძნობოდეს ადამიანის სამშენებლის მიერ თავისივე სხეულის მოცვა.

ემოციურ სფეროში ხშირად „ო“ ბგერა გაკვირვებასაც გამოხატავს, მაგრამ ეს გრძნობა მკვეთრად განსხვავდება „ა“ ბგერით გამოხატული გრძნობისგან.

„ო“-ში განიცდება მოულოდნელი გაოცება, რომელსაც ადამიანი წინ ვერ აღუდგება, იგი მოულოდნელად გაცხადდება და მის მიმართ ადამიანის დამოკიდებულება გაურკვეველი, შეიძლება ნეგატიურიც კი იყოს. ადამიანი თითქოს უკან იხევს. „ო“-სგან განსხვავებით „ა“ ბგერაში განიცდება ისეთი გაკვირვება, რომელსაც ადამიანი სიხარულით იღებს.

## თავი 5

### ცალკეული სიტყვის გპირათმეცხველა

ძველ ანბანურ დამწერლობაში ყველა ასოს თავისი განსაზღვრული სახელი ჰქონდა. ეს სახელები ასოების შესაბამისი ბგერების შინაარსებიდან მომდინარეობდა. შემდეგში ახალი ანბანური სისტემების ჩამოყალიბებისას ამგვარი შესატყვისობა გაფერმკრთალდა. გაჩნდა ანბანები, სადაც ზოგმა ასომ შეინარჩუნა ძველი სახელი, ზოგმა კი უკვე ისეთი დასახელება მიიღო, რომელიც კონკრეტულ საგანს აღარ ნიშნავდა, ისინი მხოლოდ ჟღერადობის მიხედვით იქნა შერჩეული.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, თანხმოვნების დასახელებებში დიდი მნიშვნელობა აქვს, თანმხლები ხმოვნები მათ წინ დგას, თუ უკან. ძველ ქართულ ასომთავრულ ანბანში ადვილად შევნიშნავთ, რომ არც ერთი თანხმოვნის სახელი არ იწყება ხმოვნით. ეს თავისთავად ზემოთ აღნიშნულ ძველ ფსიქიკურ განწყობილებას გამოხატავს, როცა ადამიანი ძირითადად გარე სამყაროს შემეცნებისკენ იყო მიმართული. ქართულ ასომთავრულში არსებობს განსაკუთრებული თავისებურებაც. თანხმოვანთა დასახელებების უმრავლესობა არ მთავრდება ხმოვნით. უმთავრეს თანხმოვანს მოსდევს ხმოვანი და შემდეგ კვლავ თანხმოვანი (ძირითადად, **ნ ან ლ**). ასოთა დასახელებები რომ შემთხვევითი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ზოგადად ანბანის განსაკუთრებულად განსხვავებულ ასოებს ასევე განსაკუთრებულად განსხვავებული სახელები აქვთ.

ყველა ანბანში სრულიად განცალკევებული და განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ ბგერებს, როგორებიცაა სონორები „ლ“ და „რ“. ასომთავრულში ორივე ამ ასოს სრულიად განსაკუთრებული დასახელება აქვთ: „ლას“ და „რაე“. სწორედ „რაე“ ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელსაც ორი ხმოვანი მოსდევს და არ მთავრდება თანხმოვნით. ასეთივე სურათი გვაქვს

„ჰაე“ და „ვიე“-ს შემთხვევაში. ეს ასოებიც გამორჩეული არიან ანბანთა წყობებში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანბანი, სადაც ბგერებმა უკვე დაკარგეს საგანთა სახელები და მხოლოდ ჟღერადობით განისაზღვრნენ, იყო ლათინური ანბანი. იმ დროისთვის დასავლურ ცნობიერებაში უკვე იკვეთებოდა გარეგანიდან შინაგანისკენ მიმართების ტენდენციები, რაც ანბანშიც მკვეთრად გამოიხატა. გაჩნდა თანხმოვნები, რომელთა დასახელებაც ხმოვნით იწყებოდა. მაგალითად, ef, el, em, en... (ფონეტიკურად **ლ, მ, ნ** სონორებია). ხშულმა ბგერებმა ძირითადად შეინარჩუნეს ძველი განწყობილება (თანხმოვანი ხმოვნის წინ დგას).

უკვე ეს ფაქტი მიაჩნებოდა, რომ დასავლურ საზოგადოებაში გამოიკვეთა ინდივიდუალიზაციის პროცესი – „მე“-ს ძალების მკვეთრი გაძლიერება.

ჩვეულებრივ, თანხმოვანი განცალკევებულად იშვიათად წარმოითქმის (მაგალითად, ს...! ჰმ!...). უმთავრეს შემთხვევაში თანხმოვანს უთუოდ რომელიმე ხმოვანი ახლავს. ხმოვანი მას ერთგვარ „შეფერილობას“, ჟღერადობას ანიჭებს.

ამა თუ იმ ხალხის ფსიქიკიდან გამომდინარე, არსებობს სხვადასხვა განწყობილება, ცალკეულ თანხმოვანს უფრო მეტად რა ხმოვნით ააჟღერებენ და ამავე დროს ეს ხმოვანი მის წინ იდგება თუ უკან. ხშირად ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ თანხმოვნის დასახელებაშიც გამოიხატება. მაგალითად, დასავლურ ენებში ამბობენ eL-ს და არა Le-ს, რაც იმას მიაჩნებოდა, რომ ძველი ფორმებიდან გასვლის მძლავრი ტენდენციაა გამოკვეთილი. ესე იგი, ცალკეულ ასოებთან მიმართებაში ხდება იმ გარემოების ასახვა რაც ამა თუ იმ ხალხის ფსიქიკურ მდგომარეობაში ხდება.<sup>45</sup>

სიტყვისგან მომდინარე განცდა, ცხადია, მისი მხოლოდ ერთი ბგერით არ განისაზღვრება. არც ის იქნება სწორი, ვიფიქროთ, რომ სიტყვაში შემავალი ყველა ბგერა ცალ-ცალკე შინაარსებით მექანიკურად უნდა შეიკრიბოს. ბგერებს ერთმანეთთან სრულიად თავისებური ურთიერთობები აქვთ. ზოგჯერ ისინი ერთმანეთის შინაარსს აძლიერებენ, ზოგჯერ კი პირიქით,

ასუსტებენ. მაგალითად, შეიძლება განვიხილოთ ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული ორი ბგერა – „ს“ და „მ“. თავიანთი შინაარსით ისინი პოლარულად განსხვავდებიან.<sup>46</sup> როგორც ზემოთ „მ“ ბგერაზე საუბრისას აღინიშნა, მას ადამიანში „ზედა“ და „ქვედა“ ადამიანურ ბუნებას შორის ერთგვარად გამანონასწორებელი ძალა გააჩნია. ანალოგიური სურათია იმ შემთხვევაშიც, როცა სიტყვაში „ს“ ბგერას უშუალოდ მოსდევს „მ“ ბგერა. ამ შემთხვევაში „ს“ ბგერის აქტიური ხასიათი რბილდება, მისი ზემოქმედების ძალა სუსტდება.

როგორც ითქვა, „ს“ ბგერას ორგვარი ბუნება აქვს. ერთი მხრივ, „ს“ ბგერა თავის თავში რალაც შინაგან ცეცხლს შეიცავს. მის წარმოსატქმელად შინაგანი ცეცხლოვანი ნებაა საჭირო. იგი მკვრივის დაშლისკენა მიმართული. მეორე მხრივ კი, იგივე „ს“ ბგერა გამამკვრივებლად მოქმედებს ადამიანის ფიზიკურ სხეულზე. რადიკალურ გამოვლინებაში მის „გაძვალებას“, გამკვრივებას იწვევს.

„ს“-ს მომდევნო „მ“ ბგერა სწორედ ამ რადიკალურ გამოვლინებებს ანონასწორებს, არბილებს, ერთგვარ ჰარმონიაში მოჰყავს.

ანალოგიური შემთხვევაა, როცა, მაგალითად, „მ“ ბგერა „ს“-სგან დიამეტრულად განსხვავებულ ბგერას – „ჰ“-ს მოსდევს. „ჰ“ ბგერის წარმოთქმისას ადამიანი თითქოს შინაგანიდან გარეთ გამოდის, შინაგანიდან გარეთ გადმოღვრას ცდილობს. შინაგანი „მუხრუჭები“ ეშვება, შინაგანიდან გარეთ განივრცობა და თითქოს ამ განვრცობაში ადამიანი შინაგან სიმყარესაც კი კარგავს. სწორედ „ჰ“ ბგერის მომდევნო „მ“-ს ზემოქმედებით ეს გადაჭარბებული განვრცობის ტენდენცია იზღუდება. მისი აქტივობა მცირდება – უფრო ზომიერ ჩარჩოებში ექცევა.

ესე იგი, ორ დიამეტრულად განსხვავებულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, „ს“ და, მეორე მხრივ, „ჰ“ ბგერებთან მიმართებაში „მ“ ბგერა გამანონასწორებელ, შემარბილებელ ძალად წარმოდგება.

ამ შემთხვევაში, „მ“ ბგერის ერთ-ერთი თვისება მეტყველების თავისებურების თვალსაზრისით განვიხილეთ. მაგრამ ახლა

თუ ადამიანის შინაგან ბუნებას დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ მასში უმთავრეს შინაგან გამანონასწორებელ ძალას მისი „მე“ წარმოადგენს. სწორედ ადამიანური „მე“ ცდილობს ადამიანის ქვენა ბუნებაზე გაბატონდეს, ქვენა ლტოლვები და ინსტინქტები თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. „ზენა“ ადამიანთანაც „მე“ არკვევს ურთიერთობას. „ქვენა“ და „ზენა“ ბუნებას შორისაც ისაა შუამავალი – მათი ჰარმონიაში მომყვანი ძალა. ამ მხრივ, „მე“-ს მოქმედება ძალზე ნააგავს ბგერა „მ“-ს ფუნქციას მეტყველების ფარგლებში. ამიტომაც ძალზე ნიშანდობლივია, რომ ქართულ ენაში სიტყვა „მე“ სწორედ „მ“ ბგერითაა განსაზღვრული.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „ე“ ბგერის თვისებაა, რომ ადამიანის „მე“ მისსავე სასიცოცხლო სხეულში დააფიქსიროს, მასში ძლიერად აღბეჭდოს. ესე იგი, „ე“ ბგერა ძალზე თავისებურად და ნიშანდობლივად უკავშირდება ასევე ადამიანის „მე“-ს გამოვლინებას. ქართული სიტყვა „მე“ საოცარი სიზუსტით გამოხატავს მასში შემავალი ბგერების შინაარსებს.

ზემოთ ჩვენ სიტყვებში მხოლოდ იმ ცალკეული ბგერების მნიშვნელობებს შევხებით, რომლებიც ამ სიტყვის ძირითად შინაარსს განსაზღვრავდნენ. ცხადია, იმავე სიტყვებში სხვა თანხმოვნებიც არ არიან უფუნქციოდ. მათაც გარკვეული ასპექტები შეაქვთ სიტყვის შინაარსში.

აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად ხშირად ერთსა და იმავე ენაში რამდენიმე სინონიმი შეიძლება არსებობდეს. ხშირად ისინი სხვადასხვა ბგერებზე არიან დაფუძნებული. ეს გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ სიტყვის შინაარსი არასოდეს არ არის ცალსახა და ხშირად არსებობს მოთხოვნილება, რომ მისი გამოსახვა სხვადასხვა ასპექტში მოხდეს. ამასთან, სხვადასხვა ხალხი საგნის მრავალრიცხოვანი ასპექტებიდან, საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, სხვადასხვა ნიშნებს გამოარჩევს ხოლმე და ამდენად ლექსიკაში სიტყვათა საოცარი მრავალფეროვნება არსებობს.

მაგალითისთვის შეიძლება რამდენიმე სიტყვა განვიხილოთ. პირველად შევეხებით ისეთი სიტყვას, რომლის შინაარსის წარ-

მოდგენაც შედარებით ვიწრო ჩარჩოებშია შესაძლებელი.

## კურკა

კურკის ცნება ყველა ხალხისთვის კარგადაა ნაცნობი.

რა ძირითადი ნიშნები შეიძლება გამოიყოს მის დახასიათებისას? რა ძირითადი თვისებების გამო შეიძლება ამა თუ იმ ხალხმა სახელი უწოდოს კურკას?

კურკაზე დაკვირვებისას ყველაზე უფრო თვალსაჩინო, ცხადაა, ის არის, რომ იგი ძალზე მკვრივია. სიმყარე, სიმკვრივე კურკის ფიზიკურ თვისებათა შორის ყველაზე თვალნათელია.

თუ აზრობრივად მივაღვევებთ თვალს კურკის შინაარსს, ასევე ძალზე ნათელია ისიც, რომ ეს სიმკვრივე მომდინარეობს იმ აუცილებლობიდან, რომ კურკის გარსი თავის შიგნით ძალზე მნიშვნელოვან ნაწილს გარეშე ზემოქმედებისგან იფარავს. კურკაში მცენარის მომავალი სუბსტანციაა. თუმცა გარეგნულად იგი თვალთახედვისთვის უხილავია, მაგრამ გამოცდილებით ყველასთვის ცხადლივია ის ფაქტი, რომ კურკის ძირითადი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ ნებისმიერი გარეშე ატმოსფერული ზემოქმედების მიუხედავად, დაიცვას და დიდი ხნის მანძილზე შეინახოს თავისი ის ნაწილი, რომლიდანაც შესაბამის გარემოში მცენარის იგივე სახეობა უნდა დაიბადოს.

ესე იგი, თუ კურკის დახასიათებისას ყველაზე უფრო თვალნათელი მისი გარეგნული სიმკვრივე და სიმყარეა, ასევე მნიშვნელოვნად შეიძლება ვიგულისხმოთ ის დაცვისა და შენახვის ფუნქციაც, რაც მას გააჩნია, და თუმცა გარეგნულად არ ჩანს, მაინც აზრობრივად ყველასთვის ცხადია.

კურკიდან მცენარის აღმოცენების პროცესი მიწაში ხდება. ესე იგი, გარკვეულ გარემო პირობებში კურკის მყარი გარსი ირღვევა და მისგან მცენარე ვერტიკალურად იწყებს მოძრაობას. მცენარის აღმოცენება გრავიტაციის სანინაალმდეგო მიმართულებით ხდება. მცენარე სხვა ფიზიკური საგნებისგან



განსხვავებით, ქვევიდან ზევით ესწრაფვის. იგი კურკის მკვრივ გარსს ამსხვრევს და ვერტიკალურად ზევით მიემართება.

კურკისთვის დამახასიათებელი ეს თვისებაც შეიძლება ცალკე გამოვყოთ.

ესე იგი, ყველაზე უფრო თვალსაჩინოა კურკის სიმკვრივე, სიმყარე, მდგრადობა (ამ თვისებებს გამოხატავენ **გ-კ-ქ-ყ**).

შემდეგ ნიშნად შეიძლება დავასახელოთ მისი დამცავი, მფარველობითი ფუნქცია (**ბ-პ-ფ**), და მესამე ნიშნად ასევე ნათელია მისგან მცენარის დაბადებისა და ვერტიკალურად სწრაფვის ტენდენცია (**მ**).

ვფიქრობთ, ადამიანთა ყოველდღიური დაკვირვებითა და გამოცდილებით კურკის ეს ნიშნები ყველაზე უფრო გამოკვეთილია.

ახლა ამოცანად დავისახოთ გავარკვიოთ, სხვადასხვა ენებმა ჩამოთვლილთაგან რომელი თვისებები გამოარჩიეს მისი სახელის შექმნისას. ანდა თუ არსებობენ ენები, რომლებმაც კიდევ უფრო განსხვავებული თვალთახედვა წარმოადგინეს კურკის სახელის შექმნისას. ერთსა და იმავე ენაში თუ არსებობს სინონიმები, ან განსხვავებული თვალთახედვები ერთი და იმავე საგნის შესახებ.

კურკის პარალელურად შეიძლება განვიხილოთ ისეთი ახლობელი ცნებაც, როგორიცაა ამა თუ იმ მარცვლეული კულტურის თესლი, რომელიც კურკისგან, ცხადია, განსხვავდება, მაგრამ გარკვეულად იმავე ნიშნების მატარებელია. მაგალითად, ხორბლის მარცვალი ატმის კურკას შესაძლოა სიმკვრივით ჩამორჩება, მაგრამ მასთან მცენარის დაბადების თვისებით იდენტურია. ცხადია, ხორბლის მარცვლის მკვრივი გარსიც საიმედო საფარია თესლისთვის და ამდენად ეს თვისებაც თვალნათელია.

კურკაც და მარცვალიც ამავე დროს თავის თავში იფარავს მცენარის სიცოცხლის ხელახალი წარმოშობის, ანუ განმეორებადობის ტენდენციას.

სხადასხვა ენებზე კურკის დასახელების ზედაპირული დაკვირვებითაც კი თვალში საცემია, რომ მათში გამოკვეთილად

**კ-გ-ქ-ყ** ბგერები დომინირებენ. პირველად შეიძლება ის სიტყვები გამოვყოთ, რომლებშიც კურკის სიმტკიცის თვისება ცალმხრივად ამ ბგერებითაა წარმოდგენილი. ამით განსაკუთრებულად ხაზგასმულია კურკაში ჩაკეტილობის მოვლენა.

კურკის აღსანიშნავად იაპონურად გვაქვს სიტყვა:

**kaku (k-k)**

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვაში მხოლოდ და მხოლოდ „კ“ თანხმოვანია და ამავე დროს იგი ორჯერ მეორდება. ესე იგი, კურკის იაპონური შესატყვისი სიტყვა ძალზე ცალმხრივად, რადიკალურად გამომხატავს სიმტკიცის, სიმყარის თვისებას.

კურკის ანალოგიურ მნიშვნელობას ვხვდებით ბერძნულ ენაშიც:

**kokos (k-k-s)**

ამ სიტყვის ფუძე კვლავ ორმაგი კ-თია წარმოდგენილი.

კვლავ „კ“ ბგერა, მაგრამ ამჯერად „ნ“-სთან ერთად გვხვდება ფინურ სიტყვაში **akana (k-n)**. თუ „ნ“ ბგერის მნიშვნელობას გავიხსენებთ, ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ კურკის მყარი გარსი უზრუნველყოფს რალაც მნიშვნელოვანი ნაწილის დანარჩენი გარემოსგან გამოყოფის ფაქტს. „ნ“ ბგერა სწორედ ამგვარ გამოცალკეებაზე მიანიშნებს. კურკისთვის ეს მოვლენა ნიშანდობლივია დამახასიათებელი. თესლი უნდა გამოეყოს დანარჩენ გარემოს და კურკის მკვრივ გარსში ჩაიკეტოს, რათა თავი გადაირჩინოს გარემოს მავნე ზემოქმედებისგან – სათანადო დრომდე შეინახოს თავისი უმთავრესი თვისებები.

ზოგიერთ ენაში იმავე ცნების გადმოცემისას „კ“ ბგერას რალაც გარკვეულ ნიუანსებს უმატებენ სხვა თანხმოვნები. მაგალითად, დაუბრუნდეთ ქართულ სიტყვას – **კურკა (კ-რ-კ)**.

„კ“ ბგერის აქცენტირება, ცხადია, აქაც თვალსაჩინოა. იგი აქაც გაძლიერებულიადაა წარმოდგენილი.

ქართული სიტყვა – კურკა – შეიცავს სამ თანხმოვანს: **კ-რ-კ**. ესე იგი, ამ სიტყვაში ორი „კ“ ბგერაა, მათ შორის კი ერთი „რ“ ბგერაა მოქცეული. „კ“ ბგერის დომინირება ცხადად აჩვენებს, რომ ამ ქართულ სიტყვაში აქცენტირებულია

კურკის სიმკვრივის, სიმყარის, მდგრადობის თვისება. ორ „კ“-ს შორის არსებულ „რ“-ს ამ სიმტკიცესა და უძრაობაში ახალი ელემენტი შეაქვს – რ რიტმული მონაცვლეობის თვისებაზე მიანიშნებს. როგორც აღვნიშნეთ, კურკისთვის ეს თვისებაც ნიშანდობლივია. კურკა შინაგანად შეიცავს მცენარის სიცოცხლის კვლავნარმოქმნის, განმეორებადობის ტენდენციას. ამ განწყობილებას კი ბგერათაგან სწორედ „რ“ გამოხატავს.

ასე რომ, ქართული სიტყვა „კურკის“ თანხმოვანთა მეტყველება ძალზე ცხადად გამოხატავს კურკის გარკვეულ ნიშან-თვისებებს: კურკა არის ძალიან მყარი, ძალიან მტკიცე, მაგრამ ეს სიმყარე არ არის უცვლელი, უძრავი. იგი შეიცავს კვლავ განახლების, რიტმული განმეორებადობის ტენდენციას.

კურკის შინაარსის ანალოგიურ სურათს ვხვდებით სვანურ ენაში:

**კვირკვ** – (კვ-რ-კვ)

**კაკალ** – (კ-კ-ლ)

ორივე სიტყვაში კვლავ „კ“ ბგერა დომინირებს. ერთგვარი სირბილის ელემენტი პირველ შემთხვევაში ასევე „რ“ ბგერას შეაქვს, ხოლო მეორეში „ლ“-ს. „ლ“ ბგერა მატერიის განქარვების, „კ“-თი გამოხატული სიმკვრივის დაშლის ტენდენციას წარმოგვიდგენს. აღნიშნული ბგერათმეტყველება ბევრ ენაში შეიმჩნევა:

ჩინური:

**kēli** (k-l)

გერმანული:

**Kern** (k-rn)

ლათინური:

**granum** (g-r-n-m)

ინგლისური:

**corn** (k-(r)-n)

თურქული:

**çekirdek** (ç-k-r-d-k) – კურკა

**gram** (g-r-m) – მარცვალი

მაია:

**ngal (n-g-l)**

ებრაული:

**galin (g-l-n)**

ჰინდი:

**gut'li (g-t-l)**

კურკის მნიშვნელობა ასევე „კ“ თანხმოვნითაა გამოხატული მეგრულშიც:

ნკა (ნ-კ)

კურკის რუსულ შესატყვისში კვლავ „კ“ ბგერებს ვხედავთ:

**косточка**

„კ“ ბგერის დომინირებით აღინიშნება კიდევ ერთი ბერძნული სიტყვა

**kukuci (k-k-c)**

როგორც ვხედავთ, კურკის ლექსიკური გამოსახვისას ენების დიდი უმრავლესობა ერთსულოვანია. ყველა მათგანმა აქცენტი მის სიმტკიცეზე, სიმყარეზე, მდგრადობაზე გააკეთა. ამავე დროს ზოგჯერ კურკის აღმნიშვნელ სიტყვებში სხვა თანხმოვნების სახით მისი დამატებითი ნიშნებიცაა ჩართული.

ბევრ ენაში ანალოგიური ნიშან-თვისებები მარცვლის აღნიშვნაზეც ვრცელდება.

ქართულში სიტყვა „მარცვალი“ თანხმოვანთა სიმრავლით გამოირჩევა – (მ-რ-ც-ვ-ლ). აქ არ არის აქცენტი სიმტკიცეზე. წინა პლანზე სწორედ მარცვლისგან ახალი სიცოცხლის დაბადების, სიცოცხლის კვლავწარმოქმნის ტენდენციაა, რასაც სხვადასხვა ასპექტებში გამოხატავენ „მ“, „რ“ და „ც“ ბგერები.

ზემოთ კურკიდან მომდინარე წარმოდგენებზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ მისი ერთ-ერთი თვისება შენახვის, მფარველობის ფუნქციაა. კურკის ეს თვისება უკვე განხილულ სიმტკიცის **კ-გ-ქ-ყ** ბგერებით წარმოდგენილ თვისებასთან შედარებით მკრთალადაა მოცემული სხვადასხვა ენებში. მფარველობის თვისებას ბგერათაგან **ბ-პ** თანხმოვნები გამოხატავენ. ამ

ბგერებით განსაზღვრული სიტყვები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. მაგალითად, მაიას ენაზე **chob** (ch-b) და ინგლისურ სიტყვაში **pip** (p-p), აქცენტი სწორედ „ბ“ და „პ“ თანხმოვნებიდან მომდინარე წარმოდგენებზეა. აქ კურკა თესლის დამცველ, მფარველ არსადაა წარმოდგენილი (**ბ, პ**).

ანალოგიური სურათი გვაქვს არაბულშიც:

**haba** – მარცვალი

რამდენიმე მაგალითი ინდონეზიურიდანაც შეიძლება მოვიყვანოთ:

**benih** – თესლი, მარცვალი

**butir** – მარცვალი

**bidji** – თესლი, მარცვალი, ანატომიური კვერთხი

იაპონურში მარცვლის გამომხატველი სიტყვა – **mom** (**m-m**) – მკვეთრად მომავლის ტენდენციაზეა ორიენტირებული. მასში ორმაგად წარმოდგენილი „მ“ ბგერა მარცვლიდან მცენარის მოსალოდნელ დაბადებას მიანიშნებს.

ანალოგიური შინაარსი გვხვდება თურქულ ენაშიც – **Tohum**.

ასევეა არაბულშიც: **‘ajama** – კურკა.

## კარი

ახლა განვიხილოთ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ცნება, როგორიცაა „კარი“. თუ საცხოვრებელი სახლის, ან რაიმე საცხოვრებელი გარემოს კარს წარმოვიდგენთ, შეიძლება მას შევხედოთ ორი სხვადასხვა მხრიდან: ერთი, როცა ჩვენ ვართ სახლში და კარს ვუყურებთ შიგნიდან. ამ დროს ჩვენ გარკვეული განწყობილება გვაქვს მის მიმართ. ჩვენი განწყობილება სრულიად განსხვავებული იქნება, თუკი ჩვენ ვუახლოვდებით რაღაც ნაგებობას, გვაქვს მასში შეღწევის სურვილი და მის კარს ვუყურებთ გარედან.

კარის ცნების კიდევ უფრო შთამბეჭდავი ინტერპრეტაცია შეიძლება მივიღოთ, თუკი მას რელიგიური განწყობილებით

განვიხილავთ. მსოფლიოს მრავალ ხალხს აქვს რელიგიური წარმოდგენები, რომლის მიხედვითაც მინიერ და ზეციურ სამყაროს შორის არსებობს გარკვეული გამყოფი არე. მინიერიდან სულიერ სამყაროში გადასვლა, ან პირიქით, ზეციური კარის გავლით ხდება. ბუნებრივია, ამგვარი განწყობილებიდან დანახული კარი სახლის კარისგან განსხვავებულ ასოციაციას იწვევს. ასე რომ, როცა რომელიმე ხალხში იქმნება სიტყვა „კარი“, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ხალხის სულიერ მიდრეკილებას, თუ რომელ ინტერპრეტაციას ანიჭებს იგი უფრო მეტ მნიშვნელობას. ხშირად ერთსა და იმავე ენაში არსებობს კარის რამდენიმე სინონიმი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ შინაარსებს გამოხატავენ.

ახლა შევეცადოთ, მოკლედ დავახასიათოთ ის განწყობილებები, რაც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა შემთხვევაში.

როცა ადამიანი იმყოფება საცხოვრებელში და კარს შიგნიდან განიცდის, ბუნებრივია, წინა პლანზე გამოდის დაკეტილი კარის სურათ-ხატი. კარს ამ შემთხვევაში სიმტკიცის, დაცულობის, სიმყარის ნიშნით წარმოიდგენს. შეიძლება გავიხსენოთ, რომ სიმტკიცის, სიმყარის განცდა გამოხატულია თანხმობებში **კ**, **გ** და **ქ**. ანალოგიური მნიშვნელობა აქვთ ნაკლები სიხშირით ხმარებულ ბგერებსაც: **ყ**, **ღ**.

როცა ჩაკეტილი კარის გამო ადამიანი საკუთარ დაცულობას განიცდის, ეს განწყობილება **ბ**, **პ** და **ფ** ბგერებით გამოიხატება.

როცა კარს გარედან ვუყურებთ, ესე იგი, მისკენ მივემართებით, ჩვენი განწყობილება განხილულთან შედარებით დიამეტრულად სანინააღმდეგოა. ამ შემთხვევაში აქტიუალურია არა კარის დაკეტვა, არამედ გაღება. ჩვენი სურვილია კარი გაიღოს და ჩვენ სასურველ სივრცეში შევალნიოთ, ან კარი გაიღოს და ჩვენ შესახვედრად იქიდან სასურველი არსება გამოვიდეს. ამ განწყობილებას თანხმობანთაგან ნიშანდობლივად **დ**, **ტ** და **თ** ბგერები გამოსახავენ.

ზეციური კარის მიმართ განწყობილებაც სწორედ **დ**, **ტ**,

თ ბგერებში მჟღავნდება, რადგან ცის კარის გახსნა და იქიდან რალაც მნიშვნელოვანის მოლოდინი, სწორედ ამ ბგერებს უკავშირდება.

კიდევ ერთი გამოკვეთილი განცდა, რაც ადამიანს ზოგადად კარის მიმართ აქვს, არის ის, რომ კარი არ არის უცვლელ მდგომარეობაში. ის ხან იღება და ხან იკეტება. კარისთვის გაღება-დაკეტვის მოვლენა ნიშანდობლივადაა დამახასიათებელი. ეს რიტმული მოვლენა **რ** ბგერით გამოიხატება.

ჩვენ ამჟერად პირობითად მოვინიშნეთ ადამიანის ძირითადი განწყობილებები ისეთი ცნების მიმართ, როგორცაა კარი. გამოვყავით ამ განწყობილებათა შესაბამისი ბგერებიც. ახლა შეიძლება ვაჩვენოთ, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სხვადასხვა ენებს ერთი და იმავე ცნების, „კარის“ მიმართ:

სიმტკიცის, სიმყარის განწყობილება მკვეთრადაა გამოხატული ფინურ სიტყვაში: **uksi** (k-s).

ანალოგიურია ხეთური სიტყვაც: **aška** (š-k).

ერთდროულად სიმტკიცისა და დაცულობის გრძნობა ცხადლივია მოცემული სპარსულ სიტყვაში:

**gāpu** (g-p)

კარის აღსანიშნავად იგივე სიტყვაა ავარიულ ენაშიც.

თურქულ სიტყვაში – **kale**, მტკიცე კარის ცნება **ლ** ბგერითაა შერბილებული.

ანალოგიურია ბევრი სიტყვა, სადაც სიმტკიცის განცდას ემატება კარის გაღება-დაკეტვასთან დაკავშირებული რიტმის შეგრძნებაც (ბგერა – **რ**). სწორედ ასეთია ქართული სიტყვაც:

**კარი** (კ-რ)

მეგრული: **კარ** (კ-რ)

სვანური: **ყორ** (ყ-რ)

ავარიული: **rag<sup>h</sup>** (r-g<sup>h</sup>)

კარის დაცულობის თვისება ცალმხრივადაა მოცემული არაბულ, სპარსულ და ინდონეზიურ შესატყვისებში. სამივე ენაში ერთი და იგივე სიტყვა გვაქვს:

**bab** (b-b)

ასეთივე სურათია თურქულშიც:

### **bap (b-p)**

დაცულობის გრძნობას რიტმის განცდაც ემატება კიდევ ერთ თურქულ სიტყვაში

**spor (s-p-r)** – კარი

ესკიმოსები კარში ასევე სიმტკიცეს გულისხმობენ, მაგრამ ეს განცდა შევსებულია „მ“ ბგერით, რაც კართან გარკვეულ მომავლის იმედსაც აკავშირებს – კარიდან სადღაც წასვლის სურვილსაც შეიცავს. ესკიმოსურად კარი არის

**amik (m-k)**

მსგავსი განწყობილებაა სუაჰილის ენაშიც:

**mlango (m-l-n-g)**

ახლა გამოვყოთ ის ენები, სადაც კარის მიმართ დიამეტრულად განსხვავებული დამოკიდებულებაა. ესე იგი, კარს ვუყურებთ გარედან – აქტუალურია კარის გაღება და იქიდან რაღაც სასიკეთოს მოლოდინი (**დ-ტ-თ**).

ამგვარი განწყობილება ძალზე მკვეთრადაა გამოხატული სიტყვებში:

სპარსული: **dar (d-r)**

იაპონური: **doa (d)**

ინგლისური: **door (d-r)**

სომხური: **dur (d-r)**

გერმანული: **Tür (t-r)**

ებრაული: **delet (d-l-t)**

შუმერული: **dalem (d-l-m)**

რუსული: **дверь (d-v-r), ворота (v-r-t)**

ირლანდიური: **doras (d-r-s)**

ლათინური: **ostium (s-t-m)**

შესამჩნევია ისეთი სიტყვების არსებობა, სადაც ორივე ზემოთ განხილული განწყობილება ერთ სიტყვაშია გაერთიანებული. ესე იგი, კარის აღმნიშვნელ სიტყვაში ორივე ძირითადი ჯგუფიდან (**დ-ტ-თ** და **გ-კ-ქ**) თითო ბგერა მაინც შედის. მაგალითად:



იაპონური: **kado** (k-d)  
ინგლისური: **gate** (g-t)  
ხეთური: **kaštīp** (k-š-t-p)

p და t-ს ერთობას ვხვდებით საერთო წარმოშობის სიტყვებში:

ბერძნული: **porta** (p-r-t)  
ლათინური: **porta** (p-r-t)  
ესპანური: **puerta** (p-r-t)  
ფინური: **portti** (p-r-tt)

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კარის ცნებასთან დაკავშირებით ძალზე კონკრეტული, ძალზე მცირერიცხოვანი შესაძლო ასოციაციები წარმოვადგინეთ, ირკვევა, რომ არსებულ ენათა უდიდეს უმრავლესობაში სიტყვა „კარის“ გამოსახვისას სწორედ ამგვარი წარმოდგენები გამოუსახავთ შესაბამისი ბგერებით. სხვადასხვა ენებზე კარის ცნების შესატყვისი სიტყვების მრავალფეროვნება მხოლოდ მოჩვენებითია. მათ ძირითადად საერთო საფუძვლები აქვთ.

ცხადია, სხვადასხვა ენებში შეიძლება მოვიძიოთ კარის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვებიც, რომლებიც განხილული წარმოდგენებისგან განსხვავებულ კონცეფციას გვთავაზობენ.

მაგალითად, გავიხსენოთ ჩინური სიტყვა:

**men** (m-n)

ამ შემთხვევაში ბგერათმეტყველება ზემოთ განხილულისგან განსხვავებულია. „ნ“ ბგერა გამოხატავს რაღაც მთელისგან გამოყოფას. სახლის კართან მისი კავშირიც აშკარაა. სახლი დანარჩენი სივრცისგან ნამდვილად გამოყოფილია. ადამიანი მას თავისად განიცდის. კარი სახლის შიდა და გარე სივრცის საზღვარს აფიქსირებს. ასეთია ჩინური სიტყვის (**men**) დამოკიდებულება კარის მიმართ.

ამგვარი ბგერათა წყობა (**მ-ნ**) სხვადასხვა ენებში სხვა ცნებების გამოსახატავად გვხვდება. ინგლისურში იგი ადამი-

ანს (ქალს, კაცს) გამოხატავს. ამ შემთხვევაშიც ინგლისური ენის წარმოდგენა ანალოგიურია – ადამიანის დასახელებით ჩვენ მას გამოვარჩევთ გარეშე სამყაროდან. ინგლისურ ენაში (მ-ნ) ბგერათა წყობა არსებობის სხვა სფეროშია ნახმარი, ასოციაცია კი იგივეა.

იგივე ასოციაცია შეიძლება შევნიშნოთ ფინურ ენაშიც. აქ კვერცხის დასახელება არის **muna** (m-n).

თანხმოვანთა წყობა აქაც იგივეა, მაგრამ ეს ასოციაცია ასევე სხვა სფეროშია ნახმარი – კვერცხი სწორედ თვალნათლივ იძლევა გარეშე სამყაროდან გამოცალკევების, რაღაც არსის ცალკე გამოყოფის ასოციაციას და რადგან ეს გამოყოფა მომავლის ტენდენციას შეიცავს (ახალი სიცოცხლის დაბადებას), იგი ნ-სთან ერთად გამოხატულია შესაბამისი ბგერით – „მ“.

„ნ“ ბგერით კარის აღნიშვნა კიდევ უფრო თვალნათელია კიდევ ერთ ლათინურ სიტყვაში **ianna**, რაც ასევე კარს ნიშნავს. აქ მხოლოდ ერთი თანხმოვანია – **ნ**.

იგივე ლათინურ ენაში არსებობს კარის კიდევ ერთი სინონიმი – **foris** (f-r-s). საინტერესოა, რომ ეს სიტყვა ამავე დროს ნიშნავს – „გარედან“, „გარეთ“, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ამ შემთხვევაში სწორედ კარის გარედან განცდა იგულისხმება. რიტმულობის მაჩვენებელი **r** ბგერის გარდა აქ წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება **f**-ს. ეს ბგერა მიანიშნებს ადამიანის იმგვარ განწყობილებას, როცა იგი კარს გარედან უყურებს და ესწრაფვის იმ რაღაც იდუმალისკენ, რასაც ეს კარი იფარავს. კარის ამგვარი განცდა ძალზე ზუსტად შეესაბამება რომაულ პოლიტიკურ განწყობილებას, რომელიც მუდამ საკუთარი ტერიტორიების გაფართოებით იყო დაკავებული და მუდმივად სხვათა კარს მიღმა იმზირებოდა.

## დრო

როცა რაიმე ცნებას კონკრეტული მნიშვნელობა აქვს და მისი სხვადასხვა სახით ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც

შეზღუდულია, სხვადასხვა ენებში მისი ბგერებით გამოსახვა უფრო ერთგვაროვანია.

რაც უფრო ზოგადი და მრავლისმეტყველია ცნების შინაარსი, შესაბამისი სიტყვების აღნაგობაც მრავალფეროვანია.

როგორც ნესი, სიტყვის აღნაგობა ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული მისი შემქმნელი ხალხის მსოფლმხედველობასთან. ხალხში არსებული მითოსური, რელიგიური, მორალური შეხედულებები მკვეთრად ირეკლება ენაში. რადგან სხვადასხვა ხალხების მსოფლმხედველობა მრავალფეროვანია, ასევე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ენაზე გამომსახველობაც.

ამა თუ იმ ხალხის ლექსიკაში გასარკვევად აუცილებელია მის მსოფლმხედველობაში ჩაღრმავება.

შეიძლება მაგალითისთვის განვიხილოთ ისეთი რთული ცნება, როგორიცაა „დრო“.

დროის განცდა მსოფლიოს ყველა ხალხში არსებობს, მაგრამ ამ კატეგორიის მიმართ ყველა კულტურაში ძალზე განსხვავებული მიდგომებია. დროის ცნება ძალზე მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

რამდენადაც დრო ზოგადად ყოველი ადამიანის არსებობის პერიოდს უკავშირდება, ერთგვარად ბუნებრივია ამ ნიშნის გამოსახვა **დ-ტ-თ** ბგერებით. ადამიანს არსებობის დრო ზეციური განგებულებით ეძლევა, რასაც ამ ბგერების შინაარსი გამოხატავს.

მეორე დამახასიათებელი ნიშანი დროის პერიოდულობაა. დროის უწყვეტობაში შესამჩნევია სხვადასხვა სახის რიტმების არსებობა (დღე-ღამე, წლის დროები, სხვადასხვა დროითი ციკლები). დროის ეს ნიშანი **რ** ბგერით გამოიხატება.

ქართულ ენაში ორივე ეს ნიშანი ძალზე ზუსტად და ლაკონიურადაა გამოხატული:

**დრო** (დ-რ)

იგივე ცნების აღსანიშნავად **დ-ტ-თ** ბგერები გვხვდება ბევრ სხვა ენაშიც:

ინგლისური: **time**

გერმანული: **Zeit**  
არაბული: **waqt, tawqi :t**  
სპარსული: **modat, vaght**  
ირლანდიური: **trath**  
ლათინური: **dies, tempus, aetas**

ზოგიერთ ენაში დროის რიტმულობის განცდა შეიმჩნევა:

რუსული: **время (v-r-m)**  
ლათინური: **hora (h-r)**  
ესპანური: **hora (h-r)**  
ირლანდიური: **trath (t-r-th)**

ირლანდიურში არის დროის აღმნიშვნელი კიდევ ერთი სიტყვა – **am**. მასში ძალზე მკვეთრად დროის დინების ასპექტია აქცენტირებული.

ზემოთ დასახელებული ნიშნები ძალზე ლოგიკურად უკავშირდება დროის ცნებას.

ამჯერად, განსხვავებული მსოფლმხედველობის ნიმუშად განვიხილოთ დროის აღნიშვნა სანსკრიტულად.

სანსკრიტის ენაზე დროს ეწოდება „კალა“, რაც ნიშნავს „დანგრევა“. აღმოსავლური განმარტების მიხედვით სამყაროში არავითარი ცვლილება არ შეიძლება განხორციელდეს „დანგრევის“ გარეშე. „დანგრევა“ შეიძლება დახასიათდეს როგორც „ცვლილება“. დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება. ერთი სტრუქტურა ინგრევა და მეორეთი იცვლება. ის, რაც დღეს მტკიცე და უცვლელია (ბგერა „კ“), ხვალ დაიშლება, განქარდება (ბგერა „ლ“). სანსკრიტული სიტყვა „კალა“ სწორედ დროის ამ ასპექტზე აკეთებს აქცენტს.<sup>47</sup>

ბუნებრივია, ინდურ სამყაროში არსებული ამგვარი რელიგიურ-ფილოსოფიური წარმოდგენების გაუთვალისწინებლად ძნელია განხილული სიტყვის შინაარსის დაკავშირება შესაბამის ბგერათმეტყველებასთან.

## კვერცხი

კვერცხის მნიშვნელობა, ერთი შეხედვით, ძალზე კონკრეტულია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი ხალხის მითოსურ-რელიგიურ წარმოდგენებში მას ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ერთ-ერთ ასპექტში კვერცხის მნიშვნელობა ნააგავს ზემოთ განხილული კურკის ერთ-ერთ ნიშანს – ისიც თავის თავში იფარავს მომავალ სიცოცხლეს. თუმცა კვერცხის გარსი სიმკვრივით ვერ შეედრება კურკისას, მაგრამ მასაც აქვს უნარი გარეშე ფაქტორებისგან დაიცვას შიგთავსი. კვერცხში არსებული მასა არ არის ისეთი მკვრივი, როგორც კურკაში – კვერცხში ფაქტობრივად თხევადი მასაა. მისგან არა მცენარე, არამედ ფრინველი ან ცხოველი იბადება, რაც მას კურკისგან მნიშვნელოვნად განარჩევს.

თუ სხვადასხვა ენებზე კვერცხის აღმნიშვნელ სიტყვებს განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ კვერცხის სიმყარის თვისება აქაც **გ-კ-ქ** ბგერებით გამოიხატება. თუმცა კურკის იგივე ნიშნის გამომსახველობასთან შედარებით იგი ისე არ დომინირებს. ეს ბუნებრივია, რადგან კურკისთვის სიმტკიცისა და სიმყარის თვისება უფრო გამოკვეთილად არის დამახასიათებელი.

სიმტკიცის თვისება, კვერცხის შემთხვევაში, ცალმხრივადაა გამოხატული ინგლისურ ენაში: **egg**.

იმავე მნიშვნელობას ვხვდებით ბევრ სხვა ენაშიც. მაგრამ იქ **გ-კ-ქ** ბგერებით გამოსახული სიმკვრივის განცდა შესაძლებელია სხვა წარმოდგენებით შეივსოს: მაგალითად, **ლ** – ერთგვარი თხევადი სუბსტანციის არსებობა; **ჰ** – ჰაერის სტიქიასთან კავშირი იმ შინაგანი სუბსტანციისა, რაც კვერცხში არსებობს და შემდეგ ფრინველის სახით ჰაერის სტიქიას უნდა დაუკავშირდეს; **ც** – კვერცხში მოცემულია სიმძიმის ძალის დაძლევის პოტენცია. კვერცხიდან ფრინველის წარმოშობა მკვეთრად უპირისპირდება მიწიერ სიმძიმეს – გრავიტაციას.

**გ-კ-ქ** ბგერების ამ ასოციაციებით განონასწორება მკვეთრად იგრძნობა ბევრ ენაში:

ქართული: კვერცხი (კ-ვ-რ-ც-ხ)  
სვანური: ლ\გრე (ლ-გ-რ)  
მეგრული: მარგვალ (მ-რ-გ-ვ-ლ)  
ბერძნული: avgho (v-gh)  
იაპონური: tamago (t-m-g)

კვერცხის დაცვითი, მფარველობითი ფუნქცია და მომავალი ზესწრაფვის ტენდენცია ნათლადაა მოცემული ებრაულში: **beitsa (b-ts)**

მფარველობითი ფუნქცია ანალოგიურია ირლანდიურ სიტყვაში – **abh (b)**.

მსგავს განწყობილებას ვხვდებით არაბულშიც – **baid (b-d)**. აქ უკვე მფარველობის ცნებას ზენით მონიჭებული მადლის განცდაც ემატება.

მეორე უკიდურესობაში, ძალზე ცალმხრივადაა კვერცხის მნიშვნელობა რუსულ ენაში: **яйцо (-ც-)**.

აქ აქცენტი მხოლოდ კვერცხიდან მომდინარე სუბსტანციის ზესწრაფვის ტენდენციაზეა.

კვერცხის მნიშვნელობა კიდევ უფრო ცალმხრივაა გამოხატული გერმანულში:

Ei

აქ თანხმოვანი საერთოდ არ მონაწილეობს. კვერცხი მხოლოდ ადამიანის შინაგანი განცდითაა წარმოდგენილი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფინურ ენაში კვერცხი გამოხატულია „მ“ და „ნ“ ბგერებით:

**muna (m-n)**

ესე იგი, ფინური ენა გულისხმობს, რომ ის, რაც მთელს გამოეყო და განცალკევდა („ნ“ ბგერა), თავის თავში მომავლის ტენდენციას მოიცავს („მ“ ბგერა).

„მ“ ბგერა გვხვდება კვერცხის კიდევ ერთ შესატყვისში ლათინურ ენაზე: **ovum**. კვერცხი იგივე სიტყვით (**ovum**) გამოისახება ირლანდიურშიც.

მსგავსი თვალსაზრისია მოცემული სპარსულ ენაში: **tokhm**.

კიდევ უფრო თავისებურია კვერცხის მნიშვნელობა ჩინურ ენაში:

### **dàn (d-n)**

ჩინური მითოლოგიის მიხედვით, დედამიწა პირველქმნილი გოლიათის პან გუს სხეულისგან შეიქმნა, რომელიც ინისა და იანის კოსმოსური კვერცხისგან იშვა. ესე იგი, ჩინური მსოფლმხედველობით, ხილული სამყარო კოსმოსური კვერცხისგან დაიბადა.

კვერცხის ამ გრანდიოზულ სურათ-ხატს ყველაზე უფრო ზუსტად სწორედ „დ“ ბგერა გამოხატავს. „ნ“ ბგერის მნიშვნელობა კი იმის ანალოგიურია, რაც ფინურ ენასთან დაკავშირებით იყო ნათქვამი.

ანალოგიური სურათია სანსკრიტშიც. აქაც კვერცხის მნიშვნელობა იგივე თანხმობებითაა გამოხატული: **anda** (n-d). ჩინურისგან განსხვავებით, აქ მათი განლაგება შებრუნებულია.

თურქულში გვხვდება m, r და t ბგერები: yumurta.

## **ცა**

განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვა, როგორიცაა „ცა“. ცის ცნება შეიძლება განუსაზღვრელად ფართო მნიშვნელობით დახასიათდეს. ყველა დროში ცას უკავშირდებოდა მითოსური, თუ რელიგიური წარმოდგენების ფართო სპექტრი. ცას ყველა ხალხის კოსმოგონიაში უმთავრესი ადგილი ეკავა. ცხადია, ფიზიკურად ხილულ ცასაც გარკვეული წარმოდგენები უკავშირდებოდა. მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ნვიმა, ჭექა-ქუხილი და უამრავი ხილული მოვლენაც, ცხადია, ცის არეში აღიქმება. ზოგიერთ ხალხს ცა მყარი სახით ჰქონდა წარმოდგენილი.

ცის ცნების ასეთი განუსაზღვრელი სიფართოვის გამო, ცხადია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი შესაბამისი სიტყვის შექმნისას სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა თვალსაზრისს აირჩევდა. ესე იგი, სხვადასხვა ენაზე ცის გამომხატველი სიტყვები

ძალზე მრავალფეროვანი უნდა იყოს.

ძალიან ლაკონიურია ქართული სიტყვა – **ცა**. აქ მხოლოდ ერთი თანხმოვანია – **ც**. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, **ც** თანხმოვანი აქცენტს ცის უწონადობაზე, მის საოცრად ფაქიზ სუბსტანციაზე აკეთებს. იგივე **ც** ბგერა დედამიწიდან ზევით სწრაფვის ტენდენციასაც გამოსახავს, რაც, ცხადია, გარკვეულ რელიგიურ განწყობილებასაც გულისხმობს – ადამიანი ცისკენ, ანუ სულეთისკენ ისწრაფვის. აქ მინიერი ძალები დაძლეულია.

ცის განცდა ანალოგიურია სვანურ ენაშიც:

**დეც** (დ-ც)

აქ ცის შინაარსს კიდევ უფრო აძლიერებს „დ“ ბგერა, რაც ზენა სფეროებიდან მომდინარე მაღლზეც აკეთებს აქცენტს.

სხვა ენებს თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მრავალფეროვანი წარმოდგენების მიუხედავად, შეიმჩნევა ორი ძირითადი განწყობილება: ერთი, რაც სწორედ (**დ-ც-თ**) ბგერებიდან მომდინარეობს და ზენა სფეროებიდან მომადლებულ იმპულსებს გულისხმობს და, მეორე, მინიერი სამყაროსგან ცის მკვეთრი განცალკევების გრძნობა, რაც **ნ** ბგერაში გამოიხატება. იგივე **ნ** ბგერა გამოხატავს კოსმოსური, ანუ ღვთაებრივი გონის, აზრის დაკავშირებას ცის სფეროსთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან არაადამიანური, ზეციური გონების არსებობა სხვადასხვა რელიგიური ფორმით ყველა ხალხისთვის იყო ცნობილი.

წარმოდგენილი მსოფლმხედველობის ტიპიური ნიმუშები გვხვდება ბევრ ენაში:

სპარსული: **aseman** (s-m-n)

ბერძნული: **uranos** (r-n)

ჩინური: **tiän** (t-n)

შუმერული: **ani** (-n-)

ხეთური: **an** (n), **napiš** (n-p-š)

მაია: **itsam-nga** (ts-m-n-g) ცის ღმერთი

ჰინდი: **as'man** (s-m-n)

იაპონური: **ten** (t-n)



ინდონეზიური: **langit** (l-n-g-t), **awang** (v-n-g)

სუაჰილი: **uwingu** (v-n-g)

სანსკრიტი: **div** (d-v); **talū** (t-l)

ფინური: **taivas** (t-v-s)

ზოგიერთ ენაში ზეციური ძალების მფარველობითი თვისებებიცაა გამოკვეთილი (ბგერა **ბ**), მაგალითად:

რუსული: **небо** (n-b)

ავარიული: **zob** (z-b)

ინგლისურში **ნ** ბგერაა გამოკვეთილი, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ნიუანსი შემოაქვს **ჰ** ბგერასაც, რომელიც ჰაერის სტიქიის ნიშნებს უმატებს:

**heaven** (h-v-n)

გერმანულ ენაში ცის ჰაეროვნებაზე **ჰ** ბგერა აკეთებს აქცენტს: **Himmel**.

მყარი ცის განცდაა მოცემული თურქულ სიტყვაში:

**gök** – ცა

ასევეა ლათინურშიც: **coelum**

## ნაცარი

ამ სიტყვაში ძალზე თვალნათლივანა წარმოდგენილი შემადგენელი თანხმონების როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობები, ასევე მათი ურთიერთმიმართებაც. ფუძისეული **ც** ბგერის მნიშვნელობა ზუსტად იგივეა, რაც „ცა“-სა და „ცეცხლში“. იგი აქაც მიაწვდის გრავიტაციის დაძლევისა და ზესწრაფვის ტენდენციას, მაგრამ **ც** ბგერის შემცველ „ცა“ ნაწილაკს წინ ერთვის **ნ** ბგერის შემცველი „ნა“ ნაწილაკი. სიტყვის დასაწყისში ნაწილაკი „ნა“ ქართულ ენაში უარყოფის აღმნიშვნელია და მიუთითებს რაღაც არსის უკვე აღარ არსებობას (მაგალითად: ნა-სოფლარი, ნა-ვენახარი, ნა-სახლარი და სხვა). სიტყვა „ნაცარშიც“ „ნა“ ნაწილაკი სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება.

ესე იგი, ცეცხლის სუბსტანციისთვის დამახასიათებელი ტენდენცია სიტყვა „ნაცარში“ **ც** ბგერითაა გამოხატული. მის წინ დართული უარყოფითი „ნა“ ნაწილაკით იგი უარყოფილია და ვიღებთ შემდეგ შინაარსს:

ნაცარი არის ის სუბსტანცია, რომელსაც წინ უძღოდა მისი განსხვავებული მდგომარეობა (იგულისხმება ცეცხლი), რომელიც სწორედ **ც** ბგერითაა გამოხატული და ძალზე ზუსტად გამოხატავს მის მნიშვნელობას – გრავიტაციის ძალების დაძლევისა და ზესწრაფვის ტენდენციას. განსახილველ შემთხვევაში ეს მდგომარეობა უკვე შეცვლილია. იგი წარსულში იგულისხმება. ახალი სუბსტანციური მდგომარეობა მისი საწინააღმდეგოა. ნაცარი უკვე ნაცეცხლარია. ფაქტობრივად, სიტყვა „ნაცარი“ არის სიტყვა „ნაცეცხლარის“ შემოკლებული ფორმა.

## ცნობა, ცნება

**ც** და **წ** ბგერების საინტერესო ურთიერთმიმართებას ვხვდებით ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა „ცნობა“ (შეცნობა), ანდა „ცნება“.

**ც** ბგერის მნიშვნელობა იმის ანალოგიურია, რაც ზემოთ იყო განხილული (მაგალითად, ცა, ცეცხლი და სხვა). მაგრამ აქ **წ** ბგერა წარმოდგენილია არა უარყოფის, არამედ გარემოდან განდგომის და რალაციის შემეცნების მნიშვნელობით. **წ**-ს ამ შინაარსსაც ზემოთ უკვე შევეხეთ. რაიმე არსის შეცნობისთვის აუცილებელია, რომ სუბიექტი გარემოს გამოეყოს და დაუპირისპირდეს ობიექტს, რათა მოახდინოს მისი აღქმა.

განსახილველ სიტყვებში **ც** და **წ**-ს ურთიერთობა ისეა წარმოდგენილი, რომ წინა პლანზე ჯერ **ც** ბგერა დგას, ხოლო მას უკვე **წ** მოსდევს. ესე იგი, სიტყვაში „ცნება“ მოცემულია რალაც ისეთი, რაც საგნობრივს არ გულისხმობს. იგი არის არამატერიალური (ბგერა **ც**). ესე იგი, ის რალაც აზრია, რომელიც

გონისმიერია და თავის ტვინის ფუნქციისგან მომდინარეობს (ბგერა **ნ**).

## ორსული

შედგენილი სიტყვების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქართული სიტყვა „ორსული“. იგი ორი სიტყვისაგან შედგება: „ორი“ და „სული“. ორივე ამ სიტყვას დამოუკიდებლად ფართო მნიშვნელობები აქვთ. ორივე სიტყვის შინაარსობრივი ინტერპრეტაცია იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი შეერთებით რაღაც კონკრეტულ შინაარსზე მექანიკურად დასვლა შეუძლებელია.

ამ სიტყვებში შემავალი ბგერები მათ დამოუკიდებელ შინაარსებს კი გამოხატავენ, მაგრამ შეერთების შემდეგ იგივე ბგერებით უკვე აღარ შეიძლება შედგენილი სიტყვის შინაარსზე ვიმსჯელოთ.

სიტყვა „ორსულის“ სინონიმად თანამედროვე ქართულ ენაში არსებობს კიდევ ერთი შედგენილი სიტყვა „ფეხმძიმე“. ისიც ორი ძირისგან შედგება – „ფეხი“ და „მძიმე“. ამ შემთხვევაშიც ცალკეული შინაარსების მექანიკური შეერთება ვერ წარმოაჩენს ზუსტ განწყობას.

აქვე შეიძლება მაგალითისთვის მოვიყვანოთ ისეთი შემთხვევა, როცა იგივე ცნება ბგერათმეცყველებითაა გადმოცემული. მაგალითად, ინდონეზიურ ენაზე ფეხმძიმობა გადმოიცემა სიტყვით:

**mimba** (m-m-b).

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვაში დომინირებს **მ** ბგერა, რაც ხაზგასმით მიანიშნებს მომავლის ტენდენციას – ფეხმძიმობა გულისხმობს იმ ნაყოფის არსებობას, რომელიც მკვეთრადაა ორიენტირებული მომავალზე. **მ** ბგერებს მოსდევს **ბ** ბგერა. **ბ** ბგერაც ძალზე მკვეთრად ნაყოფის მიმართ მფარველობაზე, დედობრივ მფარველობაზე მიანიშნებს.

როგორც ვხედავთ, ინდონეზიური სიტყვა **mimba** ძალზე

ზუსტი ბგერათმეცყველებით გადმოსცემს შესაბამის შინაარსს.

**მ** ბგერით გამოხატული განწყობილება ქართულ ენაშიც არსებობს. სიტყვა „**მაკე**“, რასაც თანამედროვე ქართულში ცხოველების მიმართ ვხმარობთ, სწორედ **მ** ბგერის აღნიშნულ მნიშვნელობას გულისხმობს.

## თავი 6

### ზგერეზის ასტროლოგიური თანხმოზა

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ყოველი თანხმოვანი კოსმოსიდან მომდინარე იმ ძალებს უკავშირდება, რომლებიც თავიანთ მხრივ გარკვეული ზოდიაქური არედან მომდინარებს. ყოველი ბგერა განსაზღვრული ზოდიაქური ნიშნის ქვეშაა „დაბადებული“. ამ ზოდიაქური არეებიდან მომდინარე იმპულსები ნათლად ირეკლება შესაბამისი ბგერების ხასიათში.

ამჯერად, შეიძლება შეჯამებული სახით წარმოვადგინოთ ზოდიაქურ არეებზე თანხმოვანი ბგერების განაწილების სქემა. ამ შემთხვევაში ჩვენ ქართულ ენაში არსებულ ძირითად თანხმოვნებს შევეხებით:

ლომი	დ, ტ, თ
ქალწული	ბ, პ, ფ
სასწორი	ც
მორიელი	ს, ზ, შ, ჟ
მშვილდოსანი	გ, კ, ქ
თხის რქა	ლ
მერწყული	მ
თევზები	ნ
ვერძი	ვ
ხარი	რ
ტყუპები	ჰ,
კიბო	ფ, (ფ)

ამ შემთხვევაში ზოდიაქოების მიხედვით მხოლოდ ბგერების ნაწილია განაწილებული. სხვა დანარჩენი ბგერებიც, მათი ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებით, შეიძლება ამ სქემას შევეუსაბამოთ. მაგალითად, სასწორის ზოდიაქოში ც-ს

გვერდით შეიძლება ვიგულისხმოთ ყველა დანარჩენი აფრიკატიც, ესე იგი, **ც - ძ - წ, ჩ - ქ - ჯ**. მათ, როგორც აფრიკატებს, ბგერი საერთო თვისება აქვთ. ამავე დროს, იგივე აფრიკატებში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას, რომ ისინი ორორი ბგერის ჯამისაგან შედგებიან და მათში გარკვეულად ამ შემადგენელი ბგერების თვისებებიც შეიძლება გამოვლინდეს. ეს შემადგენელი ბგერები კი თავიანთ მხრივ სხვა ზოდიაქურ ნიშნებს შეესაბამება.

შეიძლება გავიხსენოთ ამ აფრიკატების შემადგენლობა:

**ძ** - დ + ზ

**ც** - თ + ს

**წ** - ტ + ს

**ჯ** - დ + ყ

**ჩ** - თ + შ

**ქ** - ტ + შ

რამდენადაც აფრიკატები სასწორის ზოდიაქოს მიეკუთვნებიან, შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამ ზოდიაქოში აღნიშნული განსხვავებული წყვილები ერთმანეთითაა განწონასწორებული და ამით ახალ ბგერას ქმნიან.

**ღ** ბგერა ახლოა მშვილდოსნის ზოდიაქოს ტიპიურ წარმომადგენლებთან (**გ, ვ, ქ**). **ღ** მათთან ერთად უკანაენისმიერი ბგერაა. ამიტომ **ღ-ც** იგივე ზოდიაქოში შეიძლება ვიგულისხმოთ. **ყ** ბგერაც ნაწილობრივ მშვილდოსნის ზოდიაქოს მიეკუთვნება.

მართალია, **ღ** და **ხ** ფონეტიკური თვალსაზრისით ერთმანეთთანაა დაკავშირებული (ისინი სპირანტთა წყვილს ქმნიან), მაგრამ **ხ** ბგერა ასევე გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს **ჰ** ბგერასთანაც. ამიტომ **ხ** შეიძლება ნაწილობრივ **ჰ-ს** შესაბამის ტყუბების ზოდიაქოში ვიგულისხმოთ და ნაწილობრივ **ღ-ს** გვერდითაც განვიხილოთ მშვილდოსნის ზოდიაქოში.

როგორც ვხედავთ, თანხმოვანი ბგერების ასტროლოგიური თვალსაზრისით ნათესაობა შესაბამისობაშია მათ შორის არსებულ ფონეტიკურ ნათესაობასთანაც. ფონეტიკურად ერთმანეთთან ახლოს მდგომი ბგერები ასევე ახლოს დგანან თავი-

ანთი შინაარსებითაც.

თანხმოვნებისგან განსხვავებით, ხმოვნები „განიცდიან“ არა ზოდიაქური არეების, არამედ პლანეტარული ძალების მოქმედებას. ისინი ადამიანის უფრო ინტიმურ, შინაგან განცდებს გამოხატავენ. კოსმოსური თვალსაზრისითაც პლანეტების სფერო უფრო მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის შინაგან ბუნებას. ასტროლოგიიდან ცნობილი განწყობილებები, რაც პლანეტარული ძალებიდან მომდინარეობს, ნათლად ირეკლება ხმოვნებით გამოხატულ განცდებში:

მზე – აუ

მთვარე – ეი

მერკური – ი

ვენერა – ა

მარსი – ე

იუპიტერი – ო

სატურნი – უ

როგორც თანხმოვნების, ასევე ხმოვნების ზეციურ წარმომავლობას უძველეს მისტიკურ მოძღვრებებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აღმოსავლეთის ზოგიერთ სკოლაში ბგერათმეცყველებისა და სახელთა წარმოქმნის პრინციპები დღემდე ასტროლოგიურ წარმოდგენებს ეფუძნება. ცხადია, დასავლეთის ქვეყნებში ამგვარი განწყობილება გაფერმკრთალებულია.

ზოგადად, ბგერების ასტროლოგიური წარმომავლობა ვრცელი თემაა და ამჯერად მას მეტად არ შევეხებით.

## ბოლოთქაა

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ კაცობრიობის შორეულ წარსულში პრაენის არსებობა მითი არ არის. ამავე დროს, სრულიად ლოგიკური იყო ის ფაქტიც, რომ დღეისთვის არსებულ სამეტყველო ენათა შორის მისი ძიება წარუმატებლად დამთავრდა. კონკრეტულად რომელიმე თანამედროვე სამეტყველო ენის კაცობრიობის პირველად ენად მიჩნევა არ არის მართებული და ეს მცდელობა მხოლოდ დაბნეულობას ეფუძნება.

როცა კაცობრიობის პირველად ენაზე ვსაუბრობთ, უთუოდ უნდა წარმოვიდგინოთ ის შორეული ეპოქა, როცა მეტყველების ფორმა დღევანდელისგან მკვეთრად განსხვავდებოდა, როცა ადამიანი აზრებს რთული წინადადებებით კი არ გამოთქვამდა, არამედ თავის გრძნობებსა და მისწრაფებებს, თავის შეხედულებებს გარეშე საგნებსა და მოვლენებზე ცალკეულ ბგერებსა და მარცვლებში ახმოვანებდა.

კაცობრიობის პირველადი ენის მაძიებელთა ძირითადი შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ პირველად ენას სამეტყველო ენების განვითარების თანამედროვე საფეხურზე განიხილავდნენ – პრაენას თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი სიტყვიერი სტრუქტურების საფეხურზე ეძებდნენ.

ყველა ენას ნამდვილად აქვს საერთო საფუძველი – ყველა ენა ერთსა და იმავე სამეტყველო პრინციპებს ეფუძნება, მაგრამ იგი უნდა განვიხილოთ არა ჩამოყალიბებული სიტყვების, არამედ ბგერების საფეხურზე. ცალკეული ბგერების მნიშვნელობები ნამდვილად საერთოა მთელი კაცობრიობისთვის. ისინი არ არის დამოკიდებული ცალკეული ხალხის განწყობილებაზე. ეს თავისებურებები მეტყველების განვითარების მხოლოდ შემდეგ საფეხურზე ვლინდება, როცა ამა თუ იმ ხალხში ბგერები თანდათან სიტყვებად იწყებენ ჩამოყალიბებას. ბგერების მნიშვნელობები, ცხადია, არც ამ შემთხვევაში იცვ-



ლება, მაგრამ მათი გამოვლენის ხარისხიც და ინტენსივობაც უკვე ინდივიდუალურია და კონკრეტულად ამა თუ იმ ხალხის ცნობიერების ფორმიდან მომდინარეობს.

კაცობრიობის პირველადი ენიდან სხვადასხვა ენების წარმოშობის პროცესი მრავალი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ხალხთა ჯგუფების განვითარების სხვადასხვა დონეების არსებობის გამო მათი სამეტყველო ენების ევოლუცია სხვადასხვა ეპოქაში მოხდა.

ევოლუციის შემდგომ პერიოდშიც მოვლენები ისე განვითარდა, რომ ზოგი ენა უფრო ახლოს დარჩა წინარე ენის საფუძვლებთან, ხოლო ზოგ ენაში უფრო განსხვავებული ნიშანთვისებები განვითარდა და პრაენისგან უფრო მეტად ჩამოშორდა.

არც ერთი თანამედროვე ენა არ შეიძლება მივიჩნიოთ კაცობრიობის პირველად ენად, მაგრამ მისი კვალი ყველა თანამედროვე ენაში შეიძლება მოვიძიოთ. რამდენადაც პრაენის განხილვა მხოლოდ ბგერების მნიშვნელობათა საფეხურზე შეიძლება, მათი საშუალებით სიტყვათა ჩამოყალიბების პროცესს მსოფლიოს ყველა ენის ფარგლებში შეიძლება მივადევნოთ თვალი. ამავე დროს როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ თემის კვლევისას უთუოდ უნდა გამოვარჩიოთ ის სიტყვები, რომელთაც ჩვენ პირობითად „ბგერათმეტყველებითი“ სიტყვები ვუწოდეთ. ეს ის სიტყვებია, რომლებმაც ყველაზე მეტად შეინარჩუნა ბგერების პირველადი შინაარსი.

კაცობრიობამ პირველადი ენიდან დღემდე ევოლუციის გრძელი გზა განვლო. პრაენის ეპოქას კაცობრიობის ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი უკავია. არც მისი სხვა ეპოქაში ხელოვნურად გადატანაა საჭირო და არც მისი რეალური მნიშვნელობის უარყოფა.

## შენიშვნები:

1. ჰეროდოტე, ისტორია, II, 1<sup>1</sup>
2. Умберто Эко, Поиски совершенного языка, Санкт-Петербург, 2007, ст. 25
3. იგივე, გვ. 26
4. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბილისი, 1989, გვ. 186
5. Умберто Эко, Поиски совершенного языка, Санкт-Петербург, 2007, ст. 41
6. იგივე, გვ. 103
7. „Teutsche Sprachkunst“, 1641, Умберто Эко, «Поиски...» ст. 107
8. Умберто Эко, Поиски совершенного языка, Санкт-Петербург, 2007, ст. 98
9. იგივე, გვ. 111
10. იგივე, გვ. 121
11. ფერდინანდ დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2002, გვ. 31
12. იგივე, გვ. 75
13. იგივე, გვ. 78
14. Хазрат Инайят Хан, Мистицизм звука, Москва, 1998, ст. 267-268
15. რ. შტაინერი, სამკურნალო ევრითმია, თბილისი, 2006, გვ. 27
16. Р. Штайнер, Метаморфоз душевной жизни, Москва, 2004, ст. 17
17. ფერდინანდ დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2002, გვ. 236
18. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 80
19. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბილისი, 1989, გვ. 128
20. იგივე, გვ. 152
21. В. В. Шеворошкин, Звуковые цепи в языках мира, Москва, 1969, ст. 105
22. იგივე, გვ. 35
23. იგივე, გვ. 98
24. იგივე, გვ. 100

25. რ. შტაინერი, სამკურნალო ევრითიმია, თბილისი, 2006, გვ. 47, 48
26. მარგარეტე კირხნერ-ბოკჰოლტი, სამკურნალო ევრითიმის ძირითადი ელემენტები, თბილისი, 2007, გვ. 24
27. რ. შტაინერი, სამკურნალო ევრითიმია, თბილისი, 2006, გვ. 43
28. მარგარეტე კირხნერ-ბოკჰოლტი, სამკურნალო ევრითიმის ძირითადი ელემენტები, თბილისი, 2007, გვ. 132
29. Михаэль Лайтман, Книга ЗОАР, Москва, 2003, ст. 315
30. იგივე, გვ. 332
31. მარგარეტე კირხნერ-ბოკჰოლტი, სამკურნალო ევრითიმის ძირითადი ელემენტები, თბილისი, 2007, გვ. 122-123
32. იგივე, გვ. 168
33. Михаэль Лайтман, Книга ЗОАР, Москва, 2003, ст. 327
34. იგივე, გვ. 330
35. მარგარეტე კირხნერ-ბოკჰოლტი, სამკურნალო ევრითიმის ძირითადი ელემენტები, თბილისი, 2007, გვ. 152
36. იგივე, გვ. 140-141
37. Михаэль Лайтман, Книга ЗОАР, Москва, 2003, ст. 343
38. მარგარეტე კირხნერ-ბოკჰოლტი, სამკურნალო ევრითიმის ძირითადი ელემენტები, თბილისი, 2007, გვ. 145
39. Р. Штайнер, Собрание эзотерических уроков (конспекты) тома I-III, Дорнах, 1996-1998. ст. 88
40. მარგარეტე კირხნერ-ბოკჰოლტი, სამკურნალო ევრითიმის ძირითადი ელემენტები, თბილისი, 2007, გვ. 127
41. Хазрат Инайят Хан, Мистицизм звука, Москва, ст. 259
42. მარგარეტე კირხნერ-ბოკჰოლტი, სამკურნალო ევრითიმის ძირითადი ელემენტები, თბილისი, 2007, გვ. 153
43. იგივე, გვ. 156
44. Р. Штайнер, Собрание эзотерических уроков (конспекты) тома I-III, Дорнах, 1996-1998. ст. 127-128
45. რ. შტაინერი, სამკურნალო ევრითიმია, თბილისი, 2006, გვ. 48
46. იგივე, გვ. 39-40
47. Хазрат Инайят Хан, мистицизм звука, Москва, 1998, ст. 230

